The New ECONOMIST

DOI suffix: 10.36962/NEC17022022

N1, 2023, VOL 18, ISSUE 1

INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL QUARTERLY JOURNAL, PRECISE AND REVIEWED

Economy is the basis of everything!

ISSN 2667-9752 (ONLINE)
ISSN 1512-4649 (PRINT)

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ყოველკვარტალური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

ეკონომიკა ყველაფრის საფუძველია!

ახალი ეკონომისტი

The Magazine "The New Economist"
HAS BEEN REVIEWED:
In "Georgian Reviewed Magazine" –
P.L.L.E. Institute of Techinform.
Identifiable in the **Google Scholar**
and **Research Gate** bases.
ACKNOWLEDGED TO BE REVIEWED BY:

- Georgian Academy of Business Sciences;
- Georgian Academy of Economical Sciences;
- I. Javakhishvili Tbilisi State University;

- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robakidze University;
- Tbilisi Free University, (Business School ESM);
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Samtskhe-Javakheti State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;

- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia;

- East European University;
- Odessa Mechnikov National University (Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucassus (Baku, Azerbaijan);
- State University of Belarus (Minsk);
- University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade (Nursultan).

ADDRESS: 5 A. Jorjadze str.,
0105, Tbilisi, Georgia.
Tel.: +995 (32) 2 990 576;
Mob.: +995 55 277 554; +995 (58) 944 800.

ჟურნალი "ახალი ეკონომისტი"
რეფერირებულია:
სსიპ ინსტიტუტ ტექინფორმის ელექტრონულ გამოცემებში „ქართულ რეფერატულ ჟურნალში".
იდენტიფიცირებადია **გუგლ სქოლარსა** და **რისერჩ გეიტსის** ბაზებში.

რეფერირებულად აღიარებულია:

- საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია;
- საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, (ბიზნესის სკოლა ESM);
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი (ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (მინსკი);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ნურსულტანი).

მისამართი: საქართველო,
0105, თბილისი, ა. ჯორჯაძის ქ. №5
ტელ.: +995 (32) 2 990 576;
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (58) 944 800.

E-mail: editor@neweconomist.com.ge; loidk@yahoo.com
web-site: www.neweconomist.com.ge; www.loi.com. ge

The New
ECONOMIST

INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL QUARTERLY JOURNAL,

PRECISE AND REVIEWED N1(68), 2023, VOL.18, ISSUE 1.

LOID KARCHAVA - Editor-in-Chief and Head of Editorial Board;
Doctor of Business Administration,
Professor of Georgian Technical University;
Head of the Council of Scientists of Georgia;
Academician of the Georgian Academy of Business Sciences;
Academician of the Georgian Academy of Fazisi Sciences.

EDITORIAL BOARD

Doctors of science, Professors:

GIORGI ABASHISHVILI; RAMAZ ABESADZE; NINO ABESADZE; ANZOR ABRALAVA; IURI ANANIASHVILI; TEIMURAZ BABUNASHVILI (Prezident of the Georgian Academy of Business Sciences); EVGENI BARATASHVILI; GIVI BEDIANASHVILI; ROSTOM BERIDZE; RAMAZ GERLIANI; REVAZ GVELESIANI; VLADIMIR GRIGOLAIA (Moscow, Russian Federation); ALEKSEY DANILCHENKO (Belarusia State University); SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE (Rector of Kutaisi University); NATIA TURNAVA; NAMIG YSAZADE; MERAB KAKULIA; REVAZ KVATASHIDZE; GIA KVASHILAVA (Prezident of the Academy of Phasis); MURTAZ KVIRKVAIA (Editor of the Scientific part); VASIL KIKUTADZE; KAKHA KORZAIA (Rector of Caucasus International University); PAATA KOGUASHVILI (Academician of Georgian Academy of Agriculture); The Rt Hon STEVEN LORD LLOYD-BAGRATIONI (University of Oxford, England); REVAZ LORDKIPANIDZE; LASHA MGELADZE; ELGUJA MEQVABISHVILI; DAVID NARMANIA (Georgian National Energy and Water Supply Regulatory Commission (GNERC), Chairman); SOLOMON PAVLIASHVILI (Academician of Georgian National Academy of Science; Deputy Minister of Environmental Protection and Agriculture of Georgia); ETER SARJVELADZE; AVTANDIL SILAGADZE (Academician of Georgian National Academy of Science); ALEKSANDRE SICHINAVA; GELA SVIRAVA; LASHA TABATADZE (Risponsible Secretary); SLAVA FETELAVA; LEVAN KISTAURI (Dean of the School of Business, Computing and Social Sciences of Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia); RUSUDAN KUTATELADZE (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Tecnical University); TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI; FAIA SHULENBAYEVA (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); LALI CHAGELISHVILI; DAVID CHERKEZISHVILI; NIKO CHIKHLADZE; ETER KHARAISHVILI; VASIL KHIZANISHVILI; DAVID JALAGONIA; JAMLET JANJGAVA (Deputy of Editor-in-Chief); DIMITRI JAPARIDZE (Ilia State University, Dean of the Faculty Business, Technology and Education); MICHAEL JIBUTI (Academician of Georgian National Academy of Science, Prezident of the Georgian Academy of Economics Sciences); NANA JGHARKAVA.

ახალი ეკონომისტი

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ყოველკვარტალური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №1 (68), 2023, ტ. 18, გამოც.1

ლოიდ ქარჩავა - მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი; საქართველოს მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე; საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი.

სარედაქციო კოლეგია:

მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

გიორგი აბაშიშვილი; რამაზ აბესაძე; ნინო აბესაძე; ანზორ აბრალავა; იური ანანიაშვილი; თეიმურაზ ბაბუნაშვილი (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ევგენი ბარათაშვილი; გივი ბედიანაშვილი; როსტომ ბერიძე (ბათუმის შ. რუსთაველის სახელმფიფო უნივერსიტეტი); რამაზ გერლიანი; რევაზ გველესიანი; ვლადიმერ გრიგოლაია (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); ალექსეი დანილჩენკო (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტი); შოთა ვეშაპიძე; ნუგზარ თოდუა; გოჩა თუთბერიძე (ქუთაისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი); ნათია თურნავა; ნამიგ ისაზადე; მერაბ კაკულია; რევაზ კვატაშიძე (მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის დირექტორი); გია კვაშილავა (ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); მურთაზ კვირკვაია (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი); ვასილ კიკუტაძე; კახა კორძაია (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი); პაატა კოლუაშვილი (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, აკადემიკოსი); ლორდი სტივენ ლორდ ლოიდ-ბაგრატიონი (ოქსფორდის უნივერსიტეტი, ინგლისი); ეკატერინე ლოიმია; რევაზ ლორთქიფანიძე; ლაშა მგელაძე; ელგუჯა მექვაბიშვილი; დავით ნარმანია (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე); სოლომონ პავლიაშვილი (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე); ეთერ სარჯველაძე; ავთანდილ სილაგაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი); ალექსანდრე სიჭინავა; გელა სვირავა; ლაშა ტაბატაძე (პასუხისმგებელი მდივანი); სლავა ფეტელავა; ლევან ქისტაური (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი); რუსუდან ქუთათელაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); თეიმურაზ შენგელია; გიორგი შიხაშვილი; ფაია შულენბაევა (ყაზახეთის რესპუბლიკა); ლალი ჩაგელიშვილი; დავით ჩერქეზიშვილი; ნიკო ჩიხლაძე; ეთერ ხარაიშვილი; ვასილ ხიზანიშვილი; დავით ჯალაღონია; ჯამლეტ ჯანჯღავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე); დიმიტრი ჯაფარიძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანი); მიხეილ ჯიბუტი (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი; საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ნანა ჯღარკავა.

სტატიაზე, მის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი.

© ჟურნალი „The New Economist“, „ახალი ეკონომისტი“, 2023წ.
© გამომცემლობა „ლოი“

ფასი 15 ლარი

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

SCIENCE

KETEVAN CHIABRISHVILI, TINATIN KROPADZE
Mobbing in the organization: causes and likely consequences ---------- 7

PAATA KOGUASHVILI, INA MAISURADZE
Regional agrarian strategy - the basis of inclusive development of the region ----------19

GUGULI ZARNADZE
The Aspects of Implementing Eco-innovations in Business ----------26

LALI OKROTSVARIDZE
New Visions and Approaches for the Development of the Georgian Economy ----------34

SHOTA VESHAPIDZE, LASHA MGELADZE
Some aspects of protection of labor freedom in higher education institution----------40

GIORGI GARAKANIDZE
Kazakhstan to supply crude oil to Germany ----------48

TEIMURAZ GODERDZISHVILI
A New Era of Banking in Georgia: Prospects of Digital Bank ----------52

MADONA KANTIDZE
The importance of quality management and its impact on the organization's reputation--------59

LIANA SIGUA
Narrative of collective trauma in Georgian media ----------64

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

მეცნიერება

ქეთევან ჭიაბრიშვილი, თინათინ კროპაძე
მობინგი ორგანიზაციაში: მიზეზები და სავარაუდო შედეგები ---------- 7

პაატა კოღუაშვილი, ინა მაისურაძე
რაციონალური აგრარული სტრატეგია -
რეგიონის ინკლუზიური განვითარების საფუძველი ---------- 19

გუგული ზარნაძე
ბიზნესში ეკოინოვაციების დანერგვის ასპექტები ---------- 26

ლალი ოქროცვარიძე
ახლებური ხედვები და მიდგომები საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის ------ 34

შოთა ვეშაპიძე, ლაშა მგელაძე
უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შრომის
თავისუფლების დაცვის ზოგიერთი ასპექტი ---------- 40

გიორგი გარაყანიძე
ყაზახური ნავთობი გერმანიისთვის ---------- 48

თეიმურაზ გოდერძიშვილი
საბანკო საქმიანობის ახალი ერა საქართველოში:
ციფრული ბანკის პერსპექტივები ---------- 52

მადონა კანტიძე
ხარისხის მართვის მნიშვნელობა და მისი გავლენა ორგანიზაციის რეპუტაციაზე --------- 59

ლიანა სიგუა
კოლექტიური ტრავმის ნარატივი ქართულ მედიაში ---------- 64

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

MOBBING IN THE ORGANIZATION: CAUSES AND LIKELY CONSEQUENCES

Copyright © 2023 The Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: December 26, 2022
Published: January 20, 2023
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC18012023-7

Ketevan Chiabrishvili
Doctor of Economic Science.
Professor, National Defence Academy of Georgia
ORCID iD: 0000-0001-7293-5786
E-mail: kchiabrishvili@eta.edu.ge

Tinatin Kropadze
Doctor of Social Science.
Chief Scientist of the Scientific Research Center, National Defence Academy of Georgia
ORCID: 0000-0001-8339-4129.
E-mail: tkropadze@eta.edu.ge

ABSTRACT

Workplace mobbing is a highly severe occurrence that costs businesses a lot of money and harms the health of those who are targeted. The study discusses mobbing, one of the contemporary issues that prevent organizations, particularly educational institutions, from developing sustainably. Mobbing is the conduct of group members that could endanger groups and their leaders' ability to maintain an atmosphere of peace and prevent conflicts and crises from arising.

The paper offers a definition of the idea, a background on the problem, and an interdisciplinary analysis; basic categorization of mobbing types and manifestations at work; potential financial and social (image-altering) effects of mobbing; theoretical overview of statistical approaches to mobbing at work and analysis of results; methods for early mobbing detection and statistical study of this social phenomenon (bossing, staffing, bullying). The study will assist organizational leaders in identifying the root causes of issues, spotting emerging crisis situations, and swiftly resolving them.

Keywords: *Mobbing, bullying, violence, Organizational Ethics, aggression, conflict, crisis.*

REFERENCES:

1.Denhart R, Denhart J, Public Management; Tb. 2012

2.Nelson B, Economist, Management made easy; Tb. 2015

3.Robbins S, Judge T, Foundations of Organizational Behavior; Tb. 2009;

4.Branch, S., Ramsay, S., & Barker, M. (2012). Workplace bullying, mobbing and general harassment: A review. International Journal of Management Reviews. Retrieved from http://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1111/j.1468-2370.2012.00339.x/abstract

5.Davenport, N., Distler-Schwartz, R., & Pursell-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

Elliott, G. (1999). Mobbing: Emotional abuse in the American workplace. Ames, IA: Civil Society Publishing

6.Einarsen, S., Hoel, H., Zapf, D., & Cooper, C. (2003). The concept of bullying at work: The European tradition. In S. Einarsen, H. Hoel, D. Zapf, & C. Cooper (Eds.), Bullying and emotional abuse in the workplace: International perspectives in research and practice (pp. 3–30). New York, NY: Taylor & Francis.

7.Folger, R., & Skarlicki, D. R. (2004). Beyond counterproductive work behavior: Moral emotions and deontic retaliation versus reconciliation. In S. Fox & P. Spector (Eds.), Counterproductive work behavior: Investigations of actors and targets (pp. 83–105). Washington, DC: American Psychological Association.

8.Hershcovis, M. S. (2011). "Incivility, social undermining, bullying…oh my!": A call to reconcile constructs within workplace aggression research. Journal of Organizational Behavior, 32, 499–519

9.Hutchinson, M., Vickers, M. H., Jackson, D., & Wilkes, L. (2006). Like wolves in a pack: Predatory alliances of bullies in nursing. Journal of Management and Organization, 12, 235–251.

10.Hutchinson, M., Vickers, M. H., Jackson, D., & Wilkes, L. (2010). Bullying as circuits of power: An Australian nursing perspective. Administrative Theory & Praxis, 32, 25–47.

11.Khoo S. Academie Mobbing: Hidden Heath Hazard at Workplace // Journal Malays Fam Physician, 2010, no. 5(2), pp. 61-67. https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC4170397/

12.Kovacic A., Podgornik N., Pristov Z., Raspor A. Mobbing in a Non-Profit Or ganisation.-Research Papers // De Gruyter, 2017, no. 2, pp. 178-186. https://www.researchgate.net/publication/318131446_Mobbing_in_a_Non-Profit_Organisation

13.Kunzmann K., Thellacker E. Mobbing am Arbeitsplatz // Personalwirtschaftlichen Schnitt. https://www.ssoar.info/ssoar/bitstream/handle/document/76706/ssoar-2021-reimer_et_al-Prejudices_and_procedures_for_dealing.pdf?sequence=1&isAllowed=y&lnkname=ssoar-2021-reimer_et_al-Prejudices_and_procedures_for_dealing.pdf

14.Lehmann R. Charismatische Un ternehmungsführung. Band 91. Schriftenreihe des Instituts für betriebswirtschaftliche Forschung an der Universität Zürich. Haupt, 2002. https://netlibrary.aau.at/obvuklhs/content/titleinfo/2412123/full.pdf

15.Litzcke S. et.al. Stress, Mobbing und Burn-out am Arbeitsplatz. Berlin Heidelberg, Springer Verlag, 2013. https://docplayer.org/41887885-Stress-mobbing-und-burn-out-am-arbeitsplatz.html

16.Lorenz K. Über tierisches und menschliches Verhalten. Aus dem Werdegang der Verhaltenslehre. Gesammelte Abh andlungen Bd. I und II. Piper, 1965, München. http://klha.at/papers/1950-GanzheitTeil.pdf

17.Meschkulat B., Stackelbeck M., Langenhoff, G. Der Mobbing-Report. Eine Repre sentativstudie für die Bundesrepublik Deutschland. Dortmund, Berlin, 2002, p. 70. https://www.ssoar.info/ssoar/bitstream/handle/document/76706/ssoar-2021-reimer_et_al-Prejudices_and_procedures_for_dealing.pdf?sequence=1&isAllowed=y&lnkname=ssoar-2021-reimer_et_al-Prejudices_and_procedures_for_dealing.pdf

18.Meyers großes Taschenlexikon: in 24 Bänden hrsg. und bearb. von Meyers Lexikon redaktion. Bi-Taschenbuchverl. Mannheim; Leipzig; Wien; Zürich. 1995, Bd. 4, p. 320.

19.Niedl K. Mobbing and well-being: Economic and personnel development implications // European Journal of Work and Organizational Psychology, vol. 5(2), 1996, pp. 239-249.

20.Ramsay, S., Troth, A., & Branch, S. (2011). Workplace bullying through the lens of social psychology: A group level analysis. Journal of Occupational and Organizational Psychology, 84, 799–816.

21.Salin, D. (2003). Ways of explaining workplace bullying: A review of enabling, motivating, and precipitating and enabling. Human Relations, 53, 1213–1232.

22.Shallcross, L., Ramsay, S., & Barker, M. (2010). A proactive response to the mobbing problem: A guide for HR managers. New Zealand Journal of Human Resources Management, 10, 27–37.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

მობინგი ორგანიზაციაში: მიზეზები და სავარაუდო შედეგები

ქეთევან ჭიაბრიშვილი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური
დოქტორი, სსიპ - დავით აღმაშენებლის
სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის
აკადემიის მენეჯმენტის მიმართულების
პროფესორი
ელ.ფოსტა: kchiabrishvili@eta.edu.ge

თინათინ კროპაძე,
სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური
დოქტორი, სსიპ - დავით აღმაშენებლის
სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის
აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის
მთავარი მეცნიერი
ელ.ფოსტა: tkropadze@eta.edu.ge

აბსტრაქტი

სამუშაო ადგილზე მობინგი განსაკუთრებით სერიოზული ფენომენია, რომელიც ძალიან ძვირი უჯდება ორგანიზაციებს და აზიანებს სამიზნე ინდივიდების ჯანმრთელობას. ნაშრომი წარმოადგენს ორგანიზაციების და მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულებების მდგრადი განვითარების ერთ-ერთი თანამედროვე გამოწვევის, მობინგის საკითხის განხილვას. მობინგი ორგანიზაციის წევრთა ისეთი ქცევაა, რომელიც პოტენციურ საფრთხეს უქმნის ორგანიზაციებს და მათ ხელმძღვანელ პირებს მდგრადი მშვიდობიანი გარემოს შექმნისა და აღმოცენებული კონფლიქტებისა და კრიზისების თავიდან აცილების საკითხებში.

ნაშრომში მოცემულია ცნების განმარტება, საკითხის ისტორია და დისციპლინათშორისი ინტერპრეტაცია; სამუშო ადგილზე მობინგის გამოვლენის სახეებისა და ფორმების ძირითადი კლასიფიკაცია; მობინგის მიერ გამოწვეული შესაძლო ეკონომიკური და სოციალური (იმიჯის შეცვლის) შედეგები; სამუშაო ადგილზე მობინგისა და მისი შედეგების ანალიზის არსებული სტატისტიკური მეთოდები; მობინგის და მსგავსი სოციალური ქცევების (ბოსინგი, სტაფინგი, ბულინგი) დროული აღმოჩენის, სტატისტიკური ანალიზის ჩატარების პრაქტიკული მიდგომები.

ნაშრომი დახმარებას გაუწევს ორგანიზაციების ხელმძღვანელებს პრობლემის არსში გარკვევაში და შექმნილი კრიზისული მდგომარეობების დროულად აღმოჩენასა და დაძლევაში.

საკვანძო სიტყვები: *მობინგი, ბულინგი, ძალადობა, ორგანიზაციული ეთიკა, აგრესია, კონფლიქტი, კრიზისი.*

შესავალი

ტერმინი „მობინგი“ - სამუშაო ადგილებზე ძალადობის აღსანიშნად გამოიყენება.

რამდენად შორს მიმავალია ზრდასრულ ადამიანებში მობინგის შედეგები, რომელიც შეიძლება არაადეკვატური აგრესიით, იზოლაციით, სოციალური აპათიით დაიწყოს და ფატალური შედეგებითაც კი დასრულდეს?

ემუქრება თუ არა მობინგი სამუშაო ადგილის ეფექტიანობას და საგანმანათლებლო დაწესებულებების მდგრად განვითარებას?

მობინგი ორგანიზაციის წევრთა ისეთი ქცევაა, რომელიც პოტენციურ საფრთხეს უქმნის პიროვნებათაშორის კომუნიკაციას, სოციალურად აქტიურ და ეფექტიან კონტაქტებს, პერსონალურ რეპუტაციას, ორგანიზაციაში დაკავებულ პოზიციას და ფიზიკურ ჯანმრთელობასაც კი. წინამდებარე ნაშრომში უნდა ვიმსჯელოთ ამ მოვლენის გამომწვევ მიზეზებსა და პირდაპირ და არაპირდაპირ შედეგებზე. პირდაპირი შედეგებია ემოციური შეტევები, პროფესიული დისკრედიტაცია, პროფესიული როლის დამცირება და ა.შ.

მობინგის არაპირდაპირი შედეგებია ადამიანის მარგინალიზაცია (გარიყვა), შემომავალი და გამავალი ინფორმაციის კონტროლი, არაეთიკური მანიპულაცია, სამუშაო პირობებზე გამიზნულად უსამართლო გადაწყვეტილებები და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ხშირად მობინგს ორგანიზაციული ეთიკისა და ღირებულებებისაგან ეპიზოდურ გადახრად განიხილავენ, თუმცა ამგვარი შემთხვევები ორგანიზაციული სისტემის ჩავარდნის მანიშნებელია, და უმეტესწილად კრიზისით მთავრდება ხოლმე.

ის ორგანიზაციები, რომლებიც მობინგს ეგუებიან, ორგანიზაციული ეთიკის პასუხისმგებლობას და ადგილობრივ კანონებს ეწინააღმდეგებიან. უკეთეს შემთხვევაში კი შეიძლება წარმატებულნი აღმოჩნდნენ მობინგის უკიდურესი გამოვლინების ზედამხედველობისა და კონტროლის სისტემის შექმნაში, რითიც თავიდან აიცილებენ მოსალოდნელ კრიზისს.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

აგრესიისა და კონფლიქტის პრევენცია სწავლების გზით გაცილებით მიზანმიმართული და შედეგიანი სტრატეგიაა. ორგანიზაციებმა უნდა დაგეგმონ მდგრადი მშვიდობიანი გარემოს შექმნა და თავიდან აიცილონ გამანადგურებელი კონფლიქტები და კრიზისები. მობინგის პრევენციის მიზნით დროული ჩარევა უზრუნველყოფს უსაფრთხო, პროფესიულ და ღირსეულ გარემოს, თანასწორობას, სოციალურ სამართლიანობას და რეალურ დადებით ცვლილებებს საზოგადოებაში.

ცნება მობინგი, XX საუკუნეში ინგლისური სიტყვისგან "to mob" (ბრბო) წარმოიშვა და ბოლო ოცი წლის განმავლობაში ყოფითი ცნებიდან სოციალურ-ფსიქოლოგიურ, პედაგოგიურ და გარკვეულწილად სამართლებრივ ტერმინად იქცა.

მძიმე კონფლიქტი სამუშაო ადგილზე საზიანო გავლენას ახდენს როგორც ინდივიდებზე, ასევე მათ სამუშაო ადგილებზე მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში (Branch, Ramsay, & Barker, 2012). კონფლიქტთან დაკავშირებული დანახარჯებს მნიშვნელოვან უარყოფითი შედეგები მოაქვს ორგანიზაციისთვის, გავლენას ახდენს ინდივიდების ჯანმრთელობაზე, მათ ჩართულობაზე სამუშაო პროცესებზე სამუშაო ჯგუფებისა და ორგანიზაციების პროდუქტიულობაზე (Branch et al., 2012). აკადემიური გაგების თვალსაზრისით, სამუშაო ადგილის აგრესია აღინიშნება ტერმინების ფართო სპექტრით, რამაც გამოიწვია ამ სფეროში აზრთა სერიოზული ფრაგმენტაცია (Hershcovis, 2011). მეცნიერები თანხმდებიან, რომ საჭიროა ისეთი კონკრეტული მახასიათებლების კვლევა, როგორიცაა ზიანის მიყენების განზრახვა, ინტენსივობა, სიხშირე, მოძალადე-სამიზნის ურთიერთობა (მაგ., ძალაუფლების ხელში აღების მიზნით). სამუშაო ადგილზე მობინგის შემთხვევაში, შედეგები მოიცავს პირის სამუშაო ადგილიდან საბოლოო გარიყვას და შემდეგ გაძევებას. ამრიგად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მობინგთან დაკავშირებული პროცესების შესწავლა და მუშაობა ამ სამუშაო ადგილზე კონფლიქტის ამ უკიდურესი მაგალითის თავიდან ასაცილებლად (Shallcross, Ramsay, & Barker, 2010).

პიროვნებათაშორისი კონფლიქტი ტრადიციულად განიხილებოდა სამუშაო ადგილზე აგრესიის მიზეზად. ამავე დროს ნეგატიური, მძაფრად კონკურენტული ან არაკონსტრუქციულად მომთხოვნი ორგანიზაციული გარემო სულ უფრო და უფრო მეტად განიხილება უარყოფოთი შედეგების მნიშვნელოვან შემადგენლად (Branch et al., 2012; Hutchinson, Vickers, Jackson, & Wilkes, 2010; Salin, 2003). ანალოგიურად, მნიშვნელოვანია ჯგუფის ნორმებისა და საქმიანი პროცესების როლი, ძლიერი არაფორმალური ალიანსების იდენტიფიცირება, რომლებსაც შეუძლიათ ერთი შეხედვით ობიექტური პროცესების კონტროლი (მაგ., დაწინაურება), ჯგუფური ნეგატიური პროცესების დასაწყისი, რაც შეიძლება შეიცავდეს ძირითადად უხილავი და ფორმალური ოპერაციებისგან გადახრის ნიშნებს (Hutchinson, Vickers, Jackson, & Wilkes, 2006; Ramsay, Troth, & Branch, 2011). სფერო, რომელსაც შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა, არის თავად ორგანიზაციის როლი ძალაუფლების განაწილებისა და გადანაწილების ურთიერთობებში. მობინგის ფენომენი განსაკუთრებით მძლავრ საშუალებას იძლევა ორგანიზაციის როლის შესასწავლად, რადგან, ამ შემთხვევაში, თავად ორგანიზაცია როგორც ჩანს მთავარ როლს ასრულებს შედეგებში, მათ შორის ზეწოლის ქვეშ თანამშრომლის წასვლაზე.

საინტერესოა მობინგის პროცესების შესახებ ხედვა ძალაუფლების კუთხიდან და, კერძოდ, თუ როგორ განიცდიან მობინგის პროცესს მობინგის სამიზნეები გრძელვადიან პერსპექტივაში.

დაუბალანსებელი ძალაუფლების რესურსები შეიძლება მერყეობდეს დროთა განმავლობაში, მაგალითად, ინდივიდს შეუძლია მრავალჯერადი მცდელობით აღადგინოს ძალაუფლების ბალანსი ისეთი ქმედებებით, როგორიცაა შურისძიება თავისი უფლებებისა და ვალდებულებების ფარგლებში. ამგვარი შურისძიება შეეხება სამართლიანობის აღდგენის მცდელობებს, ანგარიშსწორებას მათ მიმართ, ვინც უარყოფითად იმოქმედა (Folger & Skarlicki, 2004). უფრო მეტიც, სტატია ასევე

მნიშვნელოვანია ასევე ორგანიზაციული ძალაუფლების არაფორმალური და უფრო ადვილად ამოსაცნობი ფორმალური ასპექტების როლს, რომელსაც არსებითად შეუძლია გააძლიეროს ორგანიზაციის პოზიცია და ამავდროულად შეასუსტოს ინდივიდის პოზიცია.

საკითხის შესწავლის ისტორია და დისციპლინათშორისი ინტერპრეტაცია

მობინგი სამუშაო ადგილას ნიშნავს ვინმეს შევიწროებას, შეურაცხყოფას, სოციალურად გარიყვას ან ვინმეზე უარყოფით ზემოქმედებას სამუშაო ამოცანების შესრულების ხარისხის გასაუარესებლად. იმისათვის, რომ მობინგი გამოიყენებოდეს კონკრეტულ აქტივობაზე, ურთიერთობაზე

ან პროცესზე, იგი უნდა ხდებოდეს განმეორებით და რეგულარულად (მაგ., ყოველკვირეულად) და გარკვეული პერიოდის განმავლობაში (მაგ., დაახლოებით 6 თვე). მობინგი არის დაძაბული პროცესი, რომლის დროსაც სამიზნე პირი აღმოჩნდება დამცირებულ და არასასურველ მდგომარეობაში და ხდება სისტემატური უარყოფითი სოციალური აქტების სამიზნე. კონფლიქტს შეიძლება ეწოდოს მობინგი, თუ ინციდენტი არის ცალკე მდგომი მოვლენა, ან თუ დაახლოებით თანაბარი „ძლიერების" ორი მხარე შედის კონფლიქტში. (Einarsen, Hoel, Zapf, & Cooper, 2003; ციტირებულია Einarsen & Zapf, 2005, გვ. 241)

1980-იანი წლების დასაწყისში გერმანელმა ინდუსტრიულმა ფსიქოლოგმა ჰაინც ლეიმანმა დაიწყო მუშაობა შვედეთში იმ მომუშავეთა საკვლევად, რომლებმაც სამუშაო ადგილებზე ძალადობა განიცადეს.

შვედმა მეცნიერმა, ხ. ლიცკემ და მისმა თანაავტორებმა (Litzcke, et.al., 2013) ტერმინი „ბულინგი" ფსიქოტერორის დასახასიათებლად გამოიყენა და განსაზღვრა, როგორც მტრული და არაეთიკური ურთიერობა ცალკეული ან რამდენიმე ინდივიდისა ერთი ადამიანის მიმართ. ამასვე ეთანხმებიან სხვა ავტორებიც (მაგალითად, კავუნი, 2009). ლიცკეს მთავარი ნაშრომი, რომელიც გასული საუკუნის 80-90 წ.წ-ში შეიქმნა, გერმანულ და შვედურ ენებზე გამოქვეყნდა.

სოციოლოგია მობინგს განსაზღვრავს როგორც ნეგატიური, ნორმებისგან გადახრილ ქცევას, ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმას, თანამშრომლის კოლექტივისგან განდევნის მიზნით.

კონფლიქტოლოგია მობინგს სწავლობს, როგორც პიროვნებათშორისი კონფლიქტის ერთ-ერთ ფორმას. კონფლიქტოლოგთა აზრით ასეთი ქცევისადმი მიდრეკილი ადამიანებისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია კონფლიქტის მიზეზების დადგენა, ისინი არ ზრუნავენ შემდგომში მისი თავიდან ასაცილებლად. მათთვის მთავარია სხვების სოლიდარობა საკუთარი ინტერესების დაცვაში. ისინი კონფლიქტში მოწინააღმდეგეს აკისრებენ სრულ პასუხისმგებლობას მისი რეპუტაციის შელახვის, მორალური უფლებების დარღვევის და საზოგადოებისგან განდევნის მიზნით.

ფსიქოთერაპიაში მობინგი დისტრესის (სტრესის უკიდურესი ტიპი, რომელთან გამკლავების ძალაც ადამიანის ორგანიზმს არ შესწევს და ღრმა ფსიქოლოგიური დაავადებების გამომწვევია) ერთ-ერთ მთავარ მიზეზად განიხილება.

მართვის მეცნიერებების მკვლევარები მობინგს საბოტაჟის ნაირსახეობად განმარტავენ. მაგალითისთვის: „არსებობს ტურნირში მოგების ორი შესაძლებლობა - დაუღალავი შრომა, რაც, შესაბამისად, ზრდის საკუთარი შრომის შედეგებს, ან საბოტაჟი ანუ მობინგი, რომლის საშუალებითაც კონკურენტების შრომის შედეგები კნინდება. საბოტაჟური ქმედებები ხშირად დახვეწილი და ეშმაკურია. მაგ: მნიშვნელოვანი ინფორმაციის დამალვა, რომელიც ხელმძღვანელისთვის მიუწვდომელია და შესაბამისად, ვერ წამოადგენს მობინგის პრევენციითვის მის მიერ სანქცირებულ ქმედებას.

მართვის მეცნიერების მკვლევართა აზრით, მობინგის დროს საუბარია შედეგების თვალსაზრისით მნიშვნელოვან პრობლემებზე, რაც ამ მოვლენით გამოწვეულ ეკონომიკურ ხარჯებზე მეტყველებს. ანალიზისა და შეფასების მიხედვით, გერმანიაში მობინგის შემთხვევებით გამოწვეული ერთობლივი ხარჯები წელიწადში 15000-დან 50000 ევრომდე მერყეობს. ამასთან, ამ ანგარიშში არ შედის ხარჯები, რაც დაკავშირებულია საწარმოს რეპუტაციის დაკარგვასა და შემოქმედებით აქტივობებსა და ინოვაციებში შეფერხებებთან (Kunzmann, 2009)

იურიდიული მეცნიერებების თვალსაზრისით, მობინგი შეიძლება განხილული იქნას როგორც უკანონო ქმედება იმ შემთხვევაში, თუ ის წინასწარგანზრახულია და ჯანმრთელობის გაუარესებასა და შედეგად ფსოქო-სომატურ დაავადებებს იწვევს. მობინგის საწინააღმდეგო კანონებისა და რეგულაციების შემუშავების საჭიროება აქტუალურია იმ ქვეყნებში, სადაც ის ძალებს იკრებს. შესაბამისად, კონსტიტუციებსა და შრომით კოდექსებში მრავლადაა ჩანაწერები, რითიც განსაზღვრულია მუშაკთა ღირსების დაცვისა და მუშაობის თანაბარი უფლებები.

ბულინგი უმეტესწილად ხასიათდება შემდეგი გამოვლინებებით: უფროსი პერსონალის უფრო ძლიერი წევრები არიან დამნაშავეები, მაგალითად მენეჯერები ან ხელმძღვანელები; დამნაშავეს თავისი მდებარეობიდან გამომდინარე აქვს პოზიციური ძალა ორგანიზაციული იერარქიის მაღალ საფეხურებში; ერთი აგრესორი; აშკარა და პირდაპირი შევიწროება და დამცირება; ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა; ჩვეულებრივ, მამრობითი სქესის.

მობინგს შეიძლება ახორციელებდეს პერსონალი ნებისმიერ დონეზე, მათ შორის მანამდე ნაკლებად აღქმული; შეიძლება ჩართული იყოს საშუალო და დაბალი პოზიციების პერსონალი;

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

მოძალადეები იყენებენ არაფორმალურ ძალაუფლებას (ამისთვის მაგ., ჭორების გავრცელება, მავნე ჭორები და უსაფუძვლო ბრალდებები); სურთ სხვებზე გავლენის მოხდენა. ჩვეულებრივ ამაში ქალები არიან ჩართულები.

მობინგის სინდრომი არის მავნე მცდელობა, აიძულონ ადამიანი დატოვოს სამუშაო ადგილი გაუმართლებელი ბრალდებების, დამცირების, ზოგადი შევიწროების, ემოციური ძალადობის ან/და ტერორის მეშვეობით. ეს არის ლიდერ(ებ)ის „ბანდა“ - ორგანიზაცია, ზემდგომი, თანამშრომელი ან ქვეშევრდომი - რომელიც აერთიანებს სხვებს სისტემური და სისტემატური „ბრბოს მსგავსი“ მოქმედებებისთვის. იმის გამო, რომ ორგანიზაცია უგულებელყოფს, ამართლებს ან თუნდაც აღძრავს ქცევას, შეიძლება ითქვას, რომ მსხვერპლი, ერთი შეხედვით უმწეოა ძლევამოსილთა და მრავალთა წინააღმდეგ, არის „მობილიზებული“, მაგრამ შედეგი ყოველთვის ტრავმაა - ფიზიკური ან ფსიქიკური გაჭირვება ან ავადმყოფობა და სოციალური გაჭირვება და, ყველაზე ხშირად, სამუშაო ადგილიდან გაძევება. (Davenport et al., 1999, გვ. 40)

სამუშო ადგილზე მობინგის გამოვლენის სახეებისა და ფორმების ძირითადი კლასიფიკაცია

2021 წლის სამუშაო ადგილის ბულინგის ინსტიტუტის გამოკითხვამ აჩვენა, რომ 48,6 მილიონმა ადამიანმა განიცადა ბულინგი სამუშაო ადგილზე.

გამოკითხვის მიხედვით, მამაკაცები ყველაზე მეტად სხვა მამაკაცებს იგდებენ აბუჩად, ქალები კი ყველაზე მეტად სხვა ქალებს.

მობინგის ტექნიკა გამოვლინებებია: მუდმივი კრიტიკა; ბრალდება ფაქტების გარეშე; ტყუილი; დისკრიმინაციული ქცევები; შევიწროება; ყვირილი; დაჟინებით უგულებელყოფა; გარიყვა და იზოლირება; სხვისი სამუშაოსთვის გამოწვევებისა და ბარიერების დამატება.

საჭიროა ამ გამოვლინებების კლასიფიკაცია.

1. განასხვავებენ **ინტრაჯგუფურ** (ჯგუფს შიგნით), **ინტერჯგუფურ** (ჯგუფთა შორის) და **სენდვიჩ-მობინგს.**

ინტრაჯგუფურ მობინგს ყველაზე ხშირად, ორგანიზაციაში მუშაობის ხანგრძლივობის მიხედვით „ძველი“ მუშაკები იყენებენ ახალი თანამშრომლების მიმართ. ინტერჯგუფური მობინგი წარმოიშობა ინ შემთხვევაში, თუ საჭიროა ადგილის გამოთავისუფლება სამსახურში ორგანიზაციის წევრის დასაწინაურებლად ან ხელმძღვანელს სურს მუშაკის თავიდან მოცილება. აღნიშნული სიტუაციები თავისი სიაშკარავისა და რიცხოვნობის გამო, ხშირად გამოიყენება თანამედროვე მმართველობით ლიტერატურაში. სენდვიჩ-მობინგი მობინგური ქცევის შუალედური ტიპია. მობინგის ყველაზე აგრესიული სახეა, როცა თავდასხმა ხელქვეითთა და ხელმძღვანელობის მხრიდანაც ერთდროულად მომდინარეობს (Wuerker C.2015) და როგორც წესი, მიმართულია საშუალო რგოლის მენეჯერზე. ხშირად მობინგი წარმოიშობა თანაბარი თანამდებობის მქონე ადამიანებს შორისაც (Shallcross L, Ramsay Sh, Barker M. 2008) ზოგიერთი თავდასხმა პირადი მტრობითაა გამოწვეული. ზოგჯერ საკუთარი უკმაყოფილების გამო ჯავრს იყრიან სოციალურად სუსტებზე. მობინგს იმისთვისაც იყენებენ, რომ ჯგუფის წევრები ჯგუფური ნორმების მორჩილნი გახადონ.

2. შემსრულებლის მიერ, საკუთარი მიზნების გაცნობიერების ხარისხის მიხედვით, მობინგი შეიძლება იყოს **გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი.**

გაცნობიერებული ანუ წინასწარ განზრახული მობინგისთვის დამახასიათებელია მოქმედებების მიზანმიმართულობა, რომელიც კონკრეტულ, მკაფიო მიზანს ექვემდებარება. ამ შემთხვევაში ყველაზე ხშირი ხდება ანგარების მოტივი - სხვისი თანამდებობის დაკავება, ამ თანამდებობაზე „თავისი კაცის“ მოყვანა, ხელმძღვანელობის ნდობის მოპოვება და ა.შ. გაუცნობირებელ ან სტიქიურ მობინგზე მაშინ შეიძლება ვისაუბრობთ, როცა მობინგის სუბიექტი საკუთარ თავს ანგარიშს არ უწევს იმაში, რომ მისი ქმედებები კვალიფიცირდება როგორც მობინგი. ამ შემთხვევაში რომელიმე თანამშრომელი იწვევს მასში მზარდ გაღიზიანებას, რაც დევიანტური ქცევის საფუძველი ხდება.

3. გამოვლენის ფორმის მიხედვით მობინგი შეიძლება იყოს **ლატენტური** (იმ შემთხვევაში, როცა თავდასხმის ობიექტი ცდილობს შეაკავოს, წინასწარ მოიგერიოს მობერების იერიში) და **ღია** (თანამშრომლებისთვის თვალსაჩინო და აშკარა).

4. მობინგი, მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით - ინდივიდუალური და ჯგუფური.

5. მიმდინარეობის ხასიათით - **ქრონიკული** (როცა მობერს შევიწროებისა და ზეწოლისთვის ყოველთვის ჰყავს მიზანში ერთდროეულად რამდენიმე თანამშრომელი) ან **განახლებადი** (როცა მას შემდეგ, რაც ერთ თანამშრომელს მოიცილებს, ან გარიყავს, იქვე ახალ ობიექტს შეარჩევს).

6. მართვადობის მაჩვენებლის მიხედვით განას-

N1 (68) 2023, Vol. 18, Issue 1.

ხვავებენ **მართვად და არამართვად** მობინგს.

მართვადი მობინგის თავისებურება ისაა, რომ მობერის ან მისი დაჯგუფების მიერ ფარულად სრულდება მესამე პირთა, ხშირად ხელმძღვანელის, მორალური დევნის მიზნით. სხვა განსაზღვრების თანახმად, ეს არის მორალური დევნის განხორციელება თავდამსხმელთა ჯგუფის მიერ მენეჯმენტის (ადმინისტრაციის) ფარული მიზნის შესასრულებლად ან დევნა, რომელიც ხორციელდება უშუალოდ თანამდებობის პირთა მიერ, დამქირავებლის (სამუშაოს მიმცემის) ინტერესების ინტერესების შესაბამისად [2]. ამასთან მართვადი მობინგის შემთხვევაში მის სუბიექტებს შეიძლება წარმოადგენდეს ერთი ადამიანი, ადამიანთა ჯგუფი ან ქვედანაყოფი.

7. მუშაკზე თავდასხმის გამოვლენის სფეროების მიხედვით დამკვიდრდა **„ფუნციონალური მობინგის“** ცნება. მის განსახორციელებლად გამოიყენება პერსონალის მართვის ისეთი ფუნქციები, როგორიცაა ატესტაცია, საკვალიფიკაციო გამოცდები, სამსახურებრივი დავების განხილვა. ამ დროს, მობინგში ჩართული უშუალო სუბიექტების სახით, ხშირად სხვადასხვა თანამდებობის პირები გვევლინებიან. როგორც წესი, ისინი სამართლებრივი უწყებების პრაქტიკოსი თანამშრომლები არიან.

8. პრაქტიკიდან გამომდინარე, მობინგ-ქმედებები შეიძლება დაყოფილ იქნას **„ქალური“ და „მამაკაცური“** ნიშნითაც. აღნიშნული თვალსაზრისით, გენდერული ნიშნის გამოყენება გვაძლევს დასკვნის გამოტანის საშუალებას, რომ მამაკაცი-მობერებისა და ქალი-მობერების მიერ მსხვერპლზე გამოყენებული ტაქტიკა განსხვავებულია. თუ მამაკაცები ძირითადად ადმინისტრაციულ რესურსსა და თანამდებობრივ უფლებამოსილებებს იყენებენ, ქალები თავიანთი მიზნების მისაღწევად, აქტიურად სარგებლობენ ორგანიზაციის შიგნით არსებული სოციალური კავშირებით.

9. ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნული კულტურის თავისებურებებიდან გამომდინარე, მობინგი შეიძლება კლასიფიცირებულ იქნას როგორც **დაშვებული ან დაუშვებელი** (საზოგადოებაში მიღებული ან მიუღებელი), რადგან განსხვავებული სოციალურ-კულტურული გარემოს მქონე სხვადასხვა ქვეყანაში, სამუშაო ადგილზე თანამშრომლის მიმართ ანალოგიური ქმედებები სხვადასხვაგვარად განიმარტება. სამუშაო ადგილზე მობინგის შემთხვევების სიხშირის დამოკიდებულება და მისი გავლენა ქვეყნის კულტურულ თავისებურებებსა და დემოკრატიზაციის ხარისხზე სწავლულთა მიერ გამოკვლეული ჯერ-ჯერობით არ არის. მობინგის ობიექტისთვის ზეწოლის საწინააღმდეგო გაცილებით მარტივი გამოსავალი, იმ მექანიზმების გამოყენებაა, რომელიც დანერგვასა და გავრცელებას დემოკრატიულ ქვეყნებში იწყებს. დაქვემდებარების ხისტი სისტემიდან გამომდინარე, ავტორიტარულ ქვეყნებსა და ორგანიზაციებში, მობინგ-სიტუაციას შეიძლება საერთოდ არ ჰქონდეს ადგილი ან შესაძლოა ვერც აღიქმებოდეს, თანამშრომელზე ზეწოლად ან შევიწროვებად.

10. განასხვავებენ **პირდაპირ და ირიბ მობინგ-აგრესიასაც.** გარდა მობინგის სახეებისა, კვლევებისა და პრაქტიკული გამოყენებისთვის არსებობს, სამუშაო ადგილზე მობინგის ფორმების კლასიფიკაცია.

ვერტიკალური მიმართულებით მობინგ-ქმედებები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად: ბოსინგი, სტაფინგი, ბულინგი.

ბოსინგი - ხელმძღვანელის მიერ თანამშრომელთა მორალური დევნაა. ყველაზე ხშირია ქვემდგომი ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების კომპეტენციის შელახვა, მათი გარეგნული სახის ან ასაკის კრიტიკა, ნათესავების დისკრედიტაცია, ყურადღების აქცენტირება წარმომავლობაზე; ასევე დამახასიათებელია პარტნიორებსა და კოლეგებთან ურთიერთობებში წარმოქმნილი პრობლემების დროს, პასუხისმგებლობის ქვემდგომებზე გადატანა და მუშაკების მისამართით უხამსი ხუმრობები და რეპლიკები.

სტაფინგი, მობინგის სახეობაა „ქვემოდან ხაზით“. ესაა ქმედებები, რომელიც ხელს უშლის ხელმძღვანელს პირდაპირი მოვალეობების შესრულებაში და მისი სამუშაოს დისკრედიტირებას ახდენს. მაგალითად, დაქვემდებარებულთა პროვოკაციული საქციელი, ხელმძღვანელის დადგენილებებისა და ბრძანებულებების შეუსრულებლობის დროს, ან პირიქით, შანტაჟი ხელმძღვანელის ვალდებულებების „მკაცრად ინსტრუქციის მიხედვით“ შესრულებისთვის. სტაფინგს მიაკუთვნებენ სხვა, რიგითი თანამშრომლების წაქეზებას, რათა გადავიდნენ მობერების მხარეზე, ხელმძღვანელის ავტორიტეტის შელახვის, მისი კომპეტენციის დისკრედიტაციის, პირადი ცხოვრების, ფიზიკური და ფსიკიქური ჯანმრთელობის, ორგანიზაციაში მოპოვებული სტატუსის შესახებ ჭორების გავრცელების გზით.

სტაფინგის მიზანია აიძულოს ხელმძღვანელი გადადგეს დაკავებული თანამდებობიდან, მასზე განხორციელებული სისტემატური თავდასხმების მე-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

შვეობით. ეს მოქმედებები ორი ფორმით ვლინდება:

- ჭორებისა და ხმების გავრცელების ორგანიზების გზით ხელმძღვანელის შესახებ ცუდი რეპუტაციის შექმნა;

- ინფორმაციული ბლოკადა, ხელმძღვანელისთვის გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო დოკუმენტების დამალვა.

სტაფინგი უფრო ხშირად ფარული ხასიათისაა და ხმების, ინრტიგების, თანამოაზრეებისგან კოალიციების შექმნის, სამუშაო პროცესებში საბოტაჟისა და სხვა გარემოებების გზით ხორციელდება. ღია კონფლიქტები მობინგის ამ ფორმაში იშვიათად გვხვდება.

ბულინგი - ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმაა, რომლის დროსაც ერთი თანამშრომელი ან თანამშრომელთა ჯგუფი მიზანმიმართულ შევიწროებას ექვემდებარება კონკრეტული პირის მხრიდან, ღირსების შემლახველი და ბოროტად განზრახული სადამსჯელო ქმედებების მეშვეობით. მსხვერპლის წინააღმდეგ ბულინგი შეიძლება ორგანიზაციაში მის მიერ დაკავებული პოზიციის მიუხედავად განხორციელდეს. აღნიშნულ მოვლენაში თავმოყრილია ისეთი განზრახული ქცევები და დამოკიდებულებები, როგორიცაა, თანამშრომელზე ნეგატიური რეპუტაციიის შექმნის მცდელობა, მის საქციელზე, სამოსზე, მუშაობისა და კომუნიკაციის თავისებურებებზე ყურადღების გამახვილებით.

ჰორიზონტალური (წრფივი) გაგებით, მობინგ-ქმედებები დაჯგუფებულია თანამშრომლის პროფესიული, სოციალური და პირადი მიმართულებებით.

მუშაკის პროფესიული სფერო ვერტიკალური და ჰორიზონტალური მობინგის გადაკვეთის არეალს წარმოადგენს. რამდენადაც პროფესიული გარემო ცალკე კლასიფიკაციური ნიშანია, მოქმედებები, რომელიც ორგანიზაციაში ხდება, შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად დავყოთ:

1) უშუალოდ სამუშაო პროცესში ჩარევა;

2) შრომითი ამბიციებით მანიპულირება.

მობინგ-ქმედებებისთვის, რომელიც სოციალურ ურთიერთობებზე ახდენს გავლენას, გამოვლენის ფართო სპექტრია დამახასიათებელი. მას განეკუთვნება:

1) შიდა იზოლაცია (ბოიკოტი კოლექტივის შიგნით, თანამშრომლისთვის ადგილის შეცვლა კოლექტივისგან მოშორებით);

2) გარე იზოლაცია (პარტნიორებთან პირდაპირი კავშირის აკრძალვა), დისკვალიფიკაცია სოციალურ საქმიანობაში (მობინგის ობიექტის ქმედებებისა და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გაკრიტიკება და კოლექტივისთვის მასთან ურთიერთობის აკრძალვა);

3) მობინგის ობიექტის მიმართ კოლექტივის დამოკიდებულებაზე გავლენის მოხდენა დაცინვის, ჭორების გავრცელების, კოლექტივთან მისი ურთიერთობის შეზღუდვის, ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის, რელიგიური თუ პოლიტიკური შეხედულებების, პირადი ცხოვრების, წარმომავლობის თუ ეროვნების აბუჩად აგდების გზით.

4) თანამშრომლის იძულება შეასრულოს სამუშაო, რომელიც მას თვითშეფასებას შეუმცირებს.

პირად ცხოვრებაში მობერს შეუძლია გამოიყენოს ქმედებები, რომელიც რამდენიმე ქვეჯგუფად იყოფა: პირადი შეურაცხყოფა; ოჯახურ ცხოვრებაზე გავლენა; ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენება; თვითგამოხატვაზე გავლენის მოხდენა.

მობინგის ტრადიციული ფორმების გარდა ორგანიზაციებში სულ უფრო ხშირად ფიქსირდება მისი თანამედროვე გამოვლინებები, რომლებიც ელექტრონულ საშუალებებს ეფუძნება და შემსრულებელს საშუალებას აძლევს დაფარულად განახორციელოს მუშაკთა შევიწროება. მობერების არსენალშია სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტა და ინტერნეტი.

კომპიუტერული ქსელების საშუალებით ხორციელდება მობინგის შემდეგი ფორმები:

DDOS - შეტევები (IP მისამართით ინტერნეტში წვდომის ბლოკირება);

- პროგრამული უზრუნველყოფის „დავირუსება“, e-mail-ს დაგზავნის მეშვეობით;

- „ტროიანი“ - კომპიუტერის მწყობრიდან გამოსვლა, პროგრამული უზრუნველყოფის მუშაობის დარღვევები, სპამ-რეკლამა;

- „კეილოგერი“- სოციალური ქსელის „ექაუნთების“ პაროლების გატეხვა;

- „ლინკები“ (ბმულები) ფიშინგურ საიტებზე პაროლების გატეხვის მიზნით;

- ინფორმაციის ფალსიფიკაცია და წაშლა;

- დევნის ქვეშ მყოფი თანამშრომლის შრომის შედეგში შეცდომის „შეგდება“;

- ცილისმწამებლური გამონათქვამების ან პორნოგრაფიული შემცველობის ელექტრონული შეტყობინების გაგზავნა გამგზავნის ყალბი მისამართის მითითებით;

- ქსელის მრავალი ადრესატისთვის საიდუმლო (ინტიმური) შეტყონიბების დაგზავნა;

- შეტყობინებების გაგზავნა ადრესატი-მსხვერპლისთვის რეპტილიების, მწერების, ობობების (მაგალითად, ტარანტულის) და სხვათა დრამატული

ფოტოებითა და მკვეთრი აღწერით, როდესაც ცნობილია ადრესატის შესაბამისი ფობია;

- ინტერნეტის მეშვეობით ყალბი ინფორმაციის გამოქვეყნება;

- დევნის ქვეშ მყოფი თანამშრომლის ფოტოები პორნოგრაფიული გაგებით (ფონი, გარემოცვა და ასე შემდეგ), რედაქტირებულ ფოტოშოპში.

სამუშაო ადგილზე მობინგისა და მისი შედეგების ანალიზის არსებული სტატისტიკური მეთოდები

სხვადასხვა ქვეყნის მკვლევართა შრომები მეტყველებს იმაზე, რომ მობინგურ ქმედებებს ლოკალური გეოგრაფიული ხასიათი არ აქვს და ის, მრავალ ქვეყანაში ხშირად განმეორებად ორგანიზაციულ ქცევად ჩამოყალიბდა. შესაბამისად, მობინგი მასობრივი სოციალური მოვლენის სტატუსს იძენს და სტატისტიკის ობიექტი ხდება.

სამუშაო ადგილზე მობინგის სტატისტიკური ანალიზის ძირითადი მეთოდებია:

1. დაკვირვება და ინფორმაციის შეგროვება საწარმოებისა და ორგანიზაციების თანამშრომელთა შერჩევითი, ანონიმური გამოკითხვით;

გერმანიაში ბულინგის ინსტიტუტის კვლევის მონაცემებით და 2014 წლის გამოკითხვით, ყველა მუშაკის 37 %-ს შრომითი საქმიანობის რომელიღაც ეტაპზე სამუშაო ადგილზე მობინგის გამოცდილება აქვს. დარგობრივი, სამედიცინო დაკვირვებების მიხედვით, - პაციენტების მეოთხედის არსებობაც, ფსიქოსომატური პროფილის კლინიკებში, ორგანიზაციულ პრობლემებზე მიუთითებს. 10%-მა, აღნიშნული საკითხის შესახებ პირდაპირი გამოკითხვის გარეშე განაცხადა, რომ მობინგის მსხვერპლი იყო (Lorenz K. 1965)

მხოლოდ 2014-2017 წლებში, მობინგი სლოვენიაში გამოკითხულ არაკომერციული სფეროს თანამშრომელთა დაახლოებით 32 %-ს შეეხო, ხოლო ნახევარზე მეტი მოწმე იყო, ან მოისმინეს ორგანიზაციაში ამ მოვლენის შესახებ. ამასთან აღმოჩნდა, რომ არც ასაკი, არც გენდერი, არც მობერის სტატუსი (ხელმძღვანელი თუ რიგითი მუშაკი) არ გამხდარა დომინანტური ფაქტორი, რომელიც ახსნიდა თანამშრომლების ჩართულობას შევიწროების პროცესში. შვედეთში გამოვლენილია, რომ ბოლო ნახევარი წლის მანძილზე მოხუცთა თავშესაფრის თანამშრომელთა დაახლოებით 5 %-მა განიცადა მობერების ქმედებები. დიდ ბრიტანეთში, კვლევებით დასტურდება, რომ განსაკუთრებული მიმართულებაა „აკადემიური მობინგი", რომლის მსხვერპლი უნივერსიტეტისა და კოლეჯების მასწავლებლები, თანამშრომლები და სტუდენტები ხდებიან. დაკვირვების თანახმად, სხვადასხვა შეფასებების მიხედვით ეს მაჩვენებელი 12%-დან - 50 %-მდე დიაპაზონში განისაზღვრება. „აკადემიური მობინგ-კულტურისთვის" დამახასიათებელია დახვეწილი ძალადობა (არაძალადობით შენიღბული), თავაზინობა, და აბუჩად აგდება.

ურუგვაიში სკოლებში, უმაღლეს დაწესებულებებსა და საავადმყოფოებში დასაქმებულები მით უფრო მეტად განიცდიან მობინგს, რაც უფრო მეტი ასაკისანი და განათლებულნი არიან, მუშაობის რაც უფრო მეტი სტაჟი და გამოცდილება აქვთ. ქვეყანაში გენდერული სხვაობები მობინგის მსხვერპლთა შორის გამოვლენილი არ ყოფილა. თუმცა განისაზღვრა, რომ სამსახურში შარის მოდების გამო, ქალები გაცილებით ნაკლები ფსიქოლოგიური დანახარჯით განიცდიან „სტატუსის დაკარგვას", ვიდრე მამაკაცები.

1.მობინგური ქმედებებისა და მასში მონაწილეთა კლასიფიკაციის შედგენა.

კვლევის შედეგს წარმოადგენს მობინგის გამოვლენასთან დაკავშირებული ისეთი კლასიფიკაცია, როგორიცაა: მობინგში მონაწილეთა ჯგუფები, მობინგის სახეები, შედეგები და სხვ. დინამიკაში, მაჩვენებელთა ანალიზი იძლევა პროცესის განვითარების გამოვლენის, მობინგური შეტევების გადაადგილების და შემთხვევათა სიხშირის განსაზღვრის საშუალებას.

მობინგის შედეგები ხშირად ამგვარად ჯგუფდება:

დაჯგუფება 1. გამოიყოფა შედეგების სამი ჯგუფი:

1. შედეგები მობინგის მსხვერპლისთვის;
2. შედეგები მობინგის შემსრულებლისთვის;
3. შედეგები ორგანიზაციისთვის - მობინგის გამოვლენის ობიექტისთვის;

დაჯგუფება 2. წინა ჯგუფისგან განსხვავდება ჯგუფის „მობინგის შემსრულებელი" არარსებობით და ჯგუფის „საზოგადოება" დამატებით:

1. შედეგები ინდივიდისთვის;
2. შედეგები ორგანიზაციისთვის;
3. შედეგები საზოგადოებისთვის.

ინტენსივობისა და ხანგრძლივობის მიხედვით, მობინგის შედეგებმა, როგორც წესი შეიძლება, გავლენა იქონიოს სამი მიმართულებით: მსხვერპლის ჯანმთელობა, კარიერა და პირადი ცხოვრება.

თანამშრომელს, ჯანმრთელობის პრობლემები ინტენსიური მობინგის ან ბულინგის შედეგად უვი-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

თარდება. მობინგით გამოწვეული ნერვული სისტემის აქტიურობა, გავლენას ახდენს სხეულის სხვადასხვა ორგანოებსა და პროცესებზე, ძირითადად სისხლძარღვებზე, თვალებზე, არტერიალურ წნევაზე, ღვიძლზე, კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე, შარდის ბუშტზე, სხეულის ტემპერატურაზე და ა. შ. შესაძლოა განვითარდეს ქრონიკული ფსიქოსომატური და ფსიქიატრიული დარღვევებიც, რომლებიც რიგ შემთხვევებში ალკოჰოლისა და მედიკამენტების გაუაზრებლად გამოყენებას იწვევს. საბოლოო ჯამში კი, მობინგს შეიძლება სუიციდის მცდელობა ან სუიციდიც მოჰყვეს. ევროპული მაჩვენებლების მიხედვით, დევნა ორგანიზაციაში წელიწადში სუიციდის შემთხვევების დაახლოებით 20 %-ის მიზეზს წარმოადგენს. კარიერაზე მობინგის გავლენა ხდება მუშაკი-მსხვერპლის დეპროფესიონალიზაციის გზით, რომელიც, თავის მხრივ, მისი საწარმოო ქცევის ცვლილებას იწვევს. ამ ცვლილებათა მიზეზებია (კვლევათა 50%-ზე მეტი): დემოტივაცია, უნდობლობა, ნერვიულობა, გამიჯვნა, საწარმოო და ინტელექტუალური ბლოკადები საკუთარ თავში დაეჭვება და არასაკმარისი კონცენტრაცია.

იმ განწყობებისა და განცდების ორგანიზაციაში დატოვება, რომელიც მობინგის მსხვერპლს ექმნება, სირთულეს წარმოადგენს და მისი პირადი ცხოვრების თანმდევი ხდება, რასაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს: გაუწონასწორებელი ხასიათი, სოციალური იზოლაცია, ოჯახის წევრებთან და პარტნიორებთან ხშირი კამათი, საერთო ფსიქოლოგიური დატვირთვა, ფინანსური პრობლემები, გულგრილობა, აგრესიულობა, პირადი ცხოვრების მიმართ არასაკმარისი ყურადღება და დეპრესია.

განსხვავებული შედეგები აჩვენა კვლევებმა, რომელიც მობერებზე ჩატარდა, მათი ქცევის შედეგების განსაზღვრის მიზნით. მონაცემების მიხედვით, კვლევის შედეგები აგრესორებისთვის შეიძლება დაჯგუფდეს იმავე პრინციპით, როგორც შედეგები მსხვერპლისთვის, რადგან მობერი, არასწორი კომუნიკაციისას თავადაც სტრესულ სიტუაციას იქმნის. მის წინააღმდეგ შესაძლებელია კოლეგების განწყობის ცვლილება და შესაბამისად, რეალური ხდება შრომის ეფექტურობისა და სამუშაოში ჩართულობის შემცირება, მასთან დაკავშირებული ეკონომიკური შედეგები ანაზღაურების დაქვითვით და სხვა. ფსიქოსომატური დაავადებები, რომელიც ნაწილობრივ მსხვერპლის სიმპტომების გამეორებაა (უძილობა, დეპრესია, მომატებული გაღიზიანებადობა) - პრობლემებია, რომელსაც ორგანიზაციაში „შარის მომდები“ და „აბუჩად ამგდები“ განიცდის, ამავე დროს, განმასხვავებელ თავისებურებად შემდეგს ასახელებენ: თუ მობინგი მსხვერპლის მიმართ სტრესის პროვოცირებას ახდენს, მობერის შემთხვევაში ხანგრძლივ სტრესს, ან მოლოდინებსა და რეალობას შორის დისონანსს მობერი იქამდე მიჰყავს, რომ თავისი მდგომარეობის სხვებზე გადატანას იწყებს (გარდამავალი მობინგი).

აღსანიშნავია, რომ ხშირად მობერისთვის ცვალებადი შედეგი არ დგება. სამიზნეს იზოლაცია მოწმეთა უსიტყვო ქცევასთან ერთად კოლექტივში მდევნელის დიდი ხნით ყოფნას უზრუნყველყოფს. შემთხვევათა უმრავლესობაში მდევნელს მხარს უჭერს ორგანიზაციული სისტემა, ამიტომ ახალი „განტევების ვაცის“ საძიებლად გზა ფართოად იხსნება.

მობინგის შედეგები დამქირავებელი ორგანიზაციისთვის, რომელთა განსაზღვრაც წინასწარ რთულია, შემდეგ ჯგუფებს მოიცავს:

1. **ეკონომიკური შედეგები** - ავადმყოფობით გამოწვეული არასამუშაო დღეების ზრდა; მწარმოებლობის, შრომის ხარისხისა და შემოსავლის შემცირება, მუშახელის დენადობის ზრდა, დანახარჯების მატება);

2. **სოციალური, იმიჯზე მოქმედი შედეგები;** (როტაცია და საუკეთესო მუშაკების დაკარგვა; კოლექტივის დემორალიზაცია; კოლექტივში სამუშაო გარემოსა და ატმოსფეროს გაუარესება; კონკურენტუნარიანობისა და შრომის ბაზარზე ორგანიზაციის რეპუტაციის დაქვეითება. თანამშრომლების, კლიენტებისა და სამუშაოზე მიღების კანდიდატების მხრიდან ორგანიზაციისადმი ნდობის შემცირება; შრომით კოლექტივში მოტივაციისა და შემოქმედების შესუსტება, პერსონალთან მუშაობისა და მიმდინარე საქმიანობის დარღვევა);

შერჩევითი კვლევების ჩატარება მობინგის შემთხვევებისა და მისი მრავალსახეობის, სიხშირისა და გამოვლენის ხასიათის მიმართულებით და სხვა შერჩევითი კვლევები მობინგის გამოვლენის მიზნით - სტატისტიკის თანახმად, მობინგი, შემთხვევათა სიხშირის მიხედვით ევროპულ ქვეყნებში შემდეგნაირად ნაწილდება: 61,8 % - ჭორებისა და ყალბი ინფორმაციის გავრცელება; 57,2 % - შესრულებული სამუშაოს არასწორი შეფასება; 55,9 % - გესლიანობა, განზრახ გაქილიკება; 51,9 % - სამუშაოს შესრულებისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციაზე წვდომის აღკვეთა; 48,1 - უხეში და არასამართლიანი კრიტიკა სამუშაოს თაობაზე; 39,7 % - განცალკევება/ იზოლაცია; 38, 1 % - ადა-

მიანის, როგორც უმოქმედოს წარმოდგენა; 36,0 % - შეურაცხყოფები; 26, 5 % - ადამიანის, როგორც არაშრომისუნარიანის წარმოდგენა (ინვალიდი); 18,1 % - სამუშაოს ჩამორთმევა.

შერჩევითი კვლევები მობინგის გამოვლენის სიხშირეთა რეგისტრაციისთვის - მოყვანილია არაკომერციულ ორგანიზაციებში მობინგის წარმოშობის სიხშირის შედეგები, მიღებული სლოვენიის სწავლულთა ჯგუფის მიერ (იხ. ცხრილი) (Kovacic A, Podgornik N, Pristov Z, Raspor A. 2017)

შერჩევითი კვლევები მობინგის მონაწილეთა დემოგრაფიული (ასაკი, გენდერი) ან თანამდებობრივი თავისებურებების განსაზღვრის მიზნით - ეროვნული კვლევის შედეგად შვედეთში, დადგინდა, რომ მამაკაცები შემთხვევათა 76%-ში განიცდიან შეტევებს მამაკაცების მხრიდან, 3%-ში - ქალების მხრიდან და 21%-ში ქალთა და მამაკაცთა მხრიდან ერთდრულად. შემთხვევათა 40%-ში ქალებს აბუჩად ქალები იგდებენ, 30 %-ში - მამაკაცები და 30%-ში - ერთნიც და მეორენიც.

აშშ-ში, The Workplace Bullying & Trauma Institute (WBTI)-ში ჩატარებული კვლევის თანახმად, მიბინგის ობიექტს უფრო ხშირად ქალები წარმოადგენენ (70%) და პროცენტული თანაფარდობა მათ სასარგებლოდ დროთა განმავლობაში მხოლოდ იმატებს. ამგვარ სტატისტიკას მეცნიერები სამ ასპექტს უკავშირებენ: დასაქმებული მამაკაცების უფრო მაღალ წილს ქალებთან შედარებით; მამაკაცთა სქესის წარმომადგენელთა მიერ ხელმძღვანელ თანამდებობებზე უფრო ხშირ ჩანაცვლებას; მამაკაცების მიერ იმ ფაქტის დამალვას, რომ ისინი მობინგის ობიექტები გახდნენ;

სლოვენიის კვლევაში აღმოჩნდა, რომ არც მობერის ასაკი, არც გენდერი, არც მობერის სტატუსი (ხელმძღვანელი თუ რიგითი მუშაკი) არ გახდა დომინანტური ფაქტორი, რომელიც დევნის პროცესში თანამშრომლების ჩართულობას ახსნიდა.

შერჩევითი კვლევა ორგანიზაციაში დევნის შედეგების გამოსავლენად - მაგალითად, პირთა შორის, რომლებიც WBTI -ში ჩატარებულ კვლევაში იღებდნენ მონაწილეობას, ხუთიდან ოთხმა გამოკითხულმა შედეგად დაკარგა სამუშაო ადგილი (39%-მა - საკუთარი სურვილით, 44%-მა - სამუშაოს მიმცემის მიერ ჩამოყალიბებული მიზეზით). და მხოლოდ შემთხვევათა 11%-ში შრომითი ურთიერთობები შენარჩუნდა შრომითი ურთიერთობები. 2003 წელს გამოკითხულ პირთა შორის 70% შემდგომ წავიდა სამუშაოდან (37% საკუთარი ნებით, 33% - ობიექტური მიზეზების გამო), 17% დარჩა ორგანიზაციაში, მაგრამ გადაიყვანეს სხვა პოზიციაზე.

მობინგის შედეგებს შეიძლება მივაკუთვნოთ შრომის ანაზღაურების ნაწილობრივი არ სრული შეკვეცა: რესპონდენტთა 51%-მა მიუთითა ამაზე, მაშინ როდესაც 33%-მა აღნიშნა მატერიალურ სფეროში რაიმე ცვლილების არაარსებობა.

სტატისტიკური ანალიზის საშუალებით ასევე ვლინდება მობინგის მოვლენების გეოგრაფიული გავრცელება, მის მსხვერპლთა რიგებში მოხვედრის რისკის ხარისხი დარგობრივი კუთვნილების მიხედვით, მობინგის შემსრულებელთა ქცევის ცვლილება სახელმწიფო რეგულირების შედეგად პროფილაქტიკის, სამუშაო ადგილზე ოსტრაკიზმის პრევენციის საკანონმდებლო აქტების მეშვეობით.

დასკვნა

სამუშაო ადგილებზე სირთულეების გამო დაპირისპირებისას, უამრავი თანამშრომელი ხდება მსხვერპლი. სანამ ცნობიერება არ გაუმჯობე-

მობინგის სახეები, ქმედებები	ერთხელ ბოლო 3 წლის მანძილზე	ერთხელ ბოლო 1 წლის მანძილზე	ყოველთვეს გასულ წელს	ყოველ კვირას გასულ წელს	ყოველ დღე გასულ წელს	სულ პასუხები
შეტევები მენეჯერების მიერ (ბოსინგი)	36,9	33.6	18,8	8,7	2,0	149
შეტევები კოლეგების მიერ (მობინგი)	41,3	24,8	18,3	11,9	3,7	109
ბულინგი	45,1	25,5	13,7	11,8	3,9	51
შეტევები თანამშრომლების მიერ (სტაფინგი)	56,3	15,6	21,9	3,1	3,1	32

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

სდება, საჭირო ზომები ადეკვატურად არ იქნება მიღებული. მობინგის შესახებ ცნობიერება უნდა ამაღლდეს. ბრძოლა ჯერ ინდივიდუალური სწავლებით უნდა დაიწყოს, შემდეგ უნდა მოხდეს კანონის ინიცირება და მხარდაჭერა.

ორგანიზაციაში მობინგის, ბოსინგის, ბულინგის და სტაფინგის შემთხვევები ერთეულებიდან მასობრივი სოციალური მოვლენის კატეგორიაში გადადის, რაც ცალსახად კვლევის საგანს უნდა წარმოადგენდეს. სტატიაში მოყვანილია სტატისტიკური ანალიზის ჩატარების მიდგომები: დაკვირვებები, კლასიფიკაციები და შერჩევითი სტატისტიკური კვლევები, რაც საშუალებას იძლევა, ჯერ-ერთი, განისაზღვროს მობინგის მონაწილეთა ხარისხობრივი სტრუქტურა: შემსრულებლები, დაზარალებულები და მოწმეები, მათ შორის ასაკობრივი, გენდერული და თანამდებობრივი ნიშნების მიხედვით; მეორე, ჩამოყალიბდეს მობინგური მოქმედებების ბაზა დეტალურად წარმოდგენისთვის. მესამე, კვლევები სამუშაო ადგილზე მობინგის შედეგებისთვის თვალყურის დევნის საშუალებას იძლევა, თანამშრომელზე განხორციელებული შეტევების სახისა და ფორმის, ორგანიზაციული კულტურის, ორგანიზაციაში პერსონალის მორალური დევნისაგან დაცვის ჩამოყალიბებული საკანონმდებლო ლოკალური აქტების არსებობის ან არარსებობის მიხედვით.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

REGIONAL AGRARIAN STRATEGY - THE BASIS OF INCLUSIVE DEVELOPMENT OF THE REGION

Copyright © 2023 The Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: January 27, 2023
Published: February 20, 2023
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC18012023-19

Paata Koguashvili,
professor of Georgian Technical University
https://orcid.org/0000-0001-6491-9460
e-mail: paata_koguashvili@hotmail.com

Ina Maisuradze,
Ph.D. Doctoral Student
of Georgian Technical University
e-mail: Inachkainachka@yahoo.com

ABSTRACT

The article examines the current conditions for the transformation of the economy and notes that the role of territorial factors in the development of the national economy, because of the imbalance of the regional development of the country, is increasing. The basis for developing a scientific concept of regional development is to achieve an unambiguous definition of the categories „region" and „regional economy". While maintaining the regulatory role of the state in the agricultural sector, even in a market economy, it is possible to maintain and increase the level of competition, and effectively ensure property rights and freedom of choice. In the conditions of a developed market economy, the state, with the help of various economic and financial instruments, provides constant and stable support to agriculture by redistributing income from more efficient to less efficient sectors of the economy.

The revival and dynamic development of the country's economy are possible when it is based on highly productive agriculture. Only in this case, the agricultural sector can play the role of a multiplier of socio-economic development both at the level of the whole country and its regions.

***Keywords**: Agrarian sector, region, regional economy, agriculture, economy.*

REFERENCES:

1. Koghuashvili P., Baratashvili E., Maisuradze I., Food clusters as a tool for increasing the efficiency of agribusiness // Modern science: innovations and perspectives. Proceedings of the 6th International Scientific and Practical Conference. SSPG Edition. Stockholm, Sweden. 2022. p. 198-211 ISBN 978-91-87224-02-7 URL: https://sci-conf.com.ua/vi-mezhdunarodnaya-nauchno-prakticheskaya-konferentsiyamodern-science-innovations-and-prospects-6-8-marta -2022-goda-stokgolm-svetsiyaarhiv/

2. Koghuashvili P., Kunchulia T; For the Agricultural Strategy of Georgia; Journal „Moambe" N 28. 2010

3. P. Koghuashvili; For the Strategy of an Agrarian Policy of Georgia. Scientific-Practical Conference; Kutaisi, 2011.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

4. N. Chitanava; Peculiarities of the transformation of Georgian economy and the logic of formation of new strategies of development perspectives. Journal „Social Economy“ N4 (22); 2012 year.

5. N. Chitanava; New strategy of agricultural development in Georgia; Journal „Business and Legislation“ N1; 2013 year.

6. Kharaishvili E., Agricultural development priorities in Georgia and Israel: innovative approaches and models, student scientific-practical journal „Student Research and Projects“, N 1-2, 2018.

7. Kharaishvili, E., Gechbaya, B., & Mushkudiani, Z. (2019). Agro-food production trends and innovative export marketing strategy in Georgia. economic. Ecology. Society, 3 (3), 1-10. https://ees-journal.com/index.php/journal/article/view/107

8. Materials of the National Statistical Service of Georgia: www.geostat.ge

9. Maisuradze I., State promotion of small businesses operating in the agrarian sector of the region; J. „Economics“, Volume 105, N11-12, 2022. p.51-67. DOI:10.36962/ECS105/11-12/2022-51.

რაციონალური აგრარული სტრატეგია - რეგიონის ინკლუზიური განვითარების საფუძველი

პაატა კოღუაშვილი,
სტუ პროფესორი
ელ-ფოსტა: paata_koguashvili@hotmail.com
ინა მაისურაძე,
სტუ დოქტორანტი
ელ-ფოსტა: Inachkainachka@yahoo.com

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია ეკონომიკის ტრანსფორმაციის თანამედროვე პირობები და აღნიშნულია, რომ ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში იზრდება ქვეყნის რეგიონული განვითარების დისბალანსით გამოწვეული ტერიტორიული ფაქტორების როლი. რეგიონული განვითარების სამეცნიერო კონცეფციის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს „რეგიონის“ და „რეგიონული ეკონომიკის“ კატეგორიების ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრულობის მიღწევა. სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის შენარჩუნებით აგრარულ სექტორში საბაზრო ეკონომიკის პირობებშიც კი შესაძლებელია კონკურენციის დონის შენარჩუნება და გაზრდა, საკუთრებისა და არჩევანის თავისუფლების უფლებების ეფექტიანი უზრუნველყოფა. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სახელმწიფო სხვადასხვა ეკონომიკური და ფინანსური ინსტრუმენტების მეშვეობით ახორციელებს სოფლის მეურნეობის მუდმივ და სტაბილურ მხარდაჭერას ეკონომიკის უფრო მაღალეფექტიანი სექტორიდან შემოსავლების გადანაწილებით.

ქვეყნის ეკონომიკის აღორძინება და დინამიური განვითარება შესაძლებელია, როდესაც ის ეფუძნება მაღალმწარმოებლურ სოფლის მეურნეობას. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი აგრარული სექტორის მიერ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების მულტიპლიკატორის როლის შესრულება როგორც მთელი ქვეყნის, ისე მისი რეგიონების დონეზე.

საკვანძო სიტყვები: *აგრარული სფერო, რეგიონი, რეგიონული ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, ეკონომიკა.*

შესავალი

საქართველოსა და მისი რეგიონებისათვის ერთერთ პრიორიტეტულ სფეროს წარმოადგენს აგრარული სექტორის განვითარება, პროდუქტიულობის არსებითი ზრდა და ამის საფუძველზე აგრარულ სექტორში დასაქმების ეკონომიკური სარგებლიანობის ამაღლება, რაც საბოლოო ჯამში არსებითად განსაზღვრავს ამ სფეროში და ზოგადად, ქვეყნის მთელი მოსახლეობის ცხოვრების დონეს. წარმოების ტექნოლოგიურ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ პროცესებში იგი წარმოადგენს ძირითად რგოლს ჯერ კიდევ სერიოზული გამოწვევების წინაშე მდგარი და მოსაგვარებელი ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში.

რეგიონის აგრარული სფეროს ეფექტიანი განვითარების აუცილებლობა, როგორც მისი ეკონომიკური საქმიანობის სისტემა-შემქმნელი ფაქტორი, ეკონომიკური პროცესების რეგიონა-

ლიზაციის მიმდინარე პირობებში წარმოადგენს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ელემენტს, ხოლო შიდა აგროსამრეწველო კომპლექსის ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდა ხდება სურსათით უზრუნველყოფის წინაპირობა, რომლის შედეგად მიღწეულ იქნება ქვეყნის ეკონომიკური და ეროვნული უსაფრთხოება.

თანამედროვე პირობებში სოფლის მეურნეობის სექტორის ფუნქციონირება, სასურსათო ბაზრებზე წარმოებული პროდუქციის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მზარდი მოთხოვნები და ქართული ეკონომიკის მსოფლიო სივრცეში ინტეგრაცია მოითხოვს სოფლის მეურნეობის სექტორის გარდაქმნის ახალ, დღემდე არსებულთან შედარებით კიდევ უფრო ეფექტიან მიმართულებებს და ფორმებს.

ძირითადი ტექსტი

საქართველოში, ათეული წლების განმავლობაში კულტივირებდა მისი ცალკეული რეგიონების სპეციალიზაცია, რომელიც ერთი მხრივ, განპირობებული იყო როგორც შრომის დანაწილებით სსრკ-ის ერთიან ეკონომიკურ სივრცეში, მეორე მხრივ კი საქართველოს მრავალმხრივი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით. შესაბამისად, ღია, საბაზრო ეკონომიკის პირობებში შეფარდებითი ეკონომიის პრინციპი განსაკუთრებით აქტუალური ხდება თითოეული რეგიონის აგრარული წარმოების პროფილისა და როგორც ქვეყნის, ისე საერთაშორისო სასურსათო ბაზარზე პოზიციონირების არსებითი გაუმჯობესებისათვის. საქართველოში საკმაოდ დაბალია სურსათით, კვების ძირითადი პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის დონე. კერძოდ, თვითუზრუნველყოფის დონე 100 პროცენტს აღემატება მხოლოდ კარტოფილის (115%) და ყურძნის (173%) მიხედვით. ბოლო მონაცემებით (2021 წ.), ხორბლით თვითუზრუნველყოფის დონე მხოლოდ 22 პროცენტია, სიმინდით - 74%, ბოსტნეულით - 61%, ხორცით - 51%, რძითა და რძის პროდუქტებით - 81%, კვერცხით - 98%.[1]

ამასთან, „თვითუზრუნველყოფის დონე" გვიჩვენებს მხოლოდ შესაბამისი რესურსის მთლიან მოხმარებაში ადგილობრივი წარმოების წილს, მაგრამ იგი არაფერს გვეუბნება, თუ მთლიანი მოხმარება (ადგილობრივ წარმოებას + იმპორტი - ექსპორტი) რამდენად შეესაბამება მოხმარების რაციონალურ ნორმას. - როგორც ხშირად ხდება, კონკრეტული პროდუქტის მთლიანი მოხმარების რესურსები საგრძნობლად ჩამორჩებიან რაციონალური მოხმარებისათვის საჭირო რესურსების მარაგებს. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ხორცისა და ხორცპროდუქტების მიხედვით, სადაც თვითუზრუნველყოფის დონე, მართალია 51 პროცენტს შეადგენს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მთლიანი მოხმარება რაციონალური მოხმარების მხოლოდ 3/5-ია, ადგილობრივი წარმოება რაციონალური მოხმარების მასშტაბებთან მხოლოდ 31 პროცენტია. კიდევ უფრო დიდია აღნიშნული მაჩვენებლის განსხვავება საქართველოს რეგიონების მიხედვით, რასაც ქვემორე ცხრილი ადასტურებს.

როგორც ვხედავთ, საქართველოს არც ერთ რეგიონში ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოება არ აღწევს რაციონალური მოხმარების დონეს, მაგრამ თავად გრადაცია რეგიონების მიხედვით საკმაოდ მაღალია: 1.2%-დან დედაქალაქში 76.0%-მდე ქვემო ქართლში.

სამწუხაროდ, საქართველოს რეგიონების ასიმეტრიული განვითარება არაა მხოლოდ აგრარული სექტორისთვის დამახასიათებელი. - იგი ეკონომიკის სხვა დარგებშიც შეინიშნება. აღნიშნულის კომპლექსური გამოხატულებაა ის, რომ მშპ მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოს რეგიონებში საშუალო ქვეყნისმიერ მაჩვენებელს დაახლოებით 30 პროცენტით, ხოლო თბილისის მაჩვენებელს - თითქმის 2.2-ჯერ ჩამორჩება. შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე ტრანსფორმაციის პროცესების ერთერთი მთავარი ამოცანა რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლება და გამოთანაბრებაა. რეგიონების შიდა რეზერვების ეფექტიანად გამოყენებისა და კონკრეტული ეკონომიკური სისტემის ფარგლებში საქმიანობის სრულყოფით.

ქვეყნის აგრარული სექტორის კრიზისიდან გამოყვანა და მისი განვითარების უზრუნველყოფა, რომელიც განსაზღვრავს მოსახლეობის ცხოვრების დონეს, წარმოადგენს ძირითად რგოლს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში.

რეგიონული განვითარების სამეცნიერო კონცეფციის შემუშავების საფუძველს, პირველ რიგში, წარმოადგენს ისეთი კატეგორიების საბოლოო შინაარსის განსაზღვრა, როგორებიცაა „რეგიონი" და „რეგიონული ეკონომიკა." „რეგიონის კონცეფ-

1 იხ. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2021. სტატისტიკური კრებული. თბილისი, სტატისტიკის ეროვნული სამსახური, გვ. 111-122.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ცხრილი

ხორცის წარმოება და ხორცით უზრუნველყოფის დონე საქართველოს რეგიონების მიხედვით 2021 წელს

	საქართველოს მოსახლეობა, ათასი კაცი	ხორცის წარმოება, სულ, ათასი ტონა	ხორცის წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე	
			კგ	მოხმარების რაციონალურ ნორმასთან (63 კგ) შედარებით, %
საქართველო - სულ	3728,6	72,6	19,5	30,9
მათ შორის:				
თბილისი	1201,8	0,9	0,7	1,2
აჭარა	355,5	1,5	4,2	6,7
გურია	105,3	1,1	10,4	16,6
იმერეთი	466,6	12,1	25,9	41,2
კახეთი	304,6	10,0	32,8	52,1
მცხეთა-მთიანეთი	92,4	3,6	39,0	61,8
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	27,6	1,0	36,2	57,5
სამეგრელო-ზემო სვანეთი	301,6	8,3	27,5	43,7
სამცხე-ჯავახეთი	148,3	3,6	24,3	38,5
ქვემო ქართლი	434,5	20,8	47,9	76,0
შიდა ქართლი	250,5	9,6	38,3	60,8

ციას“ დიდი ყურადღება ექცევა თანამედროვე ეკონომიკურ, გეოგრაფიულ, სოციოლოგიურ და ურბანული დაგეგმვის ლიტერატურაში როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

საქართველოს რეგიონული პოლიტიკის ძირითად დებულებებში **რეგიონი** განსაზღვრულია, როგორც „საქართველოს ტერიტორიის ის ნაწილი, რომელსაც აქვს ბუნებრივი, სოციალურ-ეკონომიკური, ეროვნული-კულტურული და სხვა პირობების ერთობლიობა.“ რეგიონი შეიძლება ემთხვეოდეს საქართველოს შემადგენელი სუბიექტის ტერიტორიის საზღვრებს ან აერთიანებდეს რამდენიმე შემადგენელი სუბიექტის ტერიტორიებს.

საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის შემუშავებული სტრატეგიების ძირითად შინაარსს, რომელიც უზრუნველყოფს სასურსათო და, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას, წარმოადგენს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პრინციპების განხორციელება და რეგიონის სოფლის მეურნეობის სფეროში ღრმა სტრუქტურული გარდაქმნების და კონკურენტუნარიანი საწარმოების კომპლექსის შექმნა, რომლებიც ყველაზე ეფექტიანად იყენებენ ხელსაყრელ ფაქტორებს და მდგრადი ეკონომიკური განვითარების წინაპირობებს. რეგიონის აგრარულმა სექტორმა უნდა უზრუნველყოს:

1.სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება;

2.მაღალტექნოლოგიური სოფლის მეურნეობისა და სასურსათო წარმოების განვითარება;

3.გარემოსდაცვითი (ნიადაგდაცვითი) ღონისძიებების განხორციელება.

სოფლის მეურნეობა მჭიდრო კავშირშია კაცობრიობის პროდუქტიული ძალების განვითარებასთან და საწარმოო ურთიერთობებთან, მისი ევოლუციური განვითარების მთელ ისტორიულ გზაზე.

სხვადასხვა თეორიული შეხედულებებისა და კონცეპტუალური პრინციპების კრიტიკულმა ანალიზმა სოფლის მეურნეობის სფეროს განვითარების ბუნებისა და ევოლუციის შესახებ, საშუალება მოგვცა ჩამოგვეყალიბებინა რეგიონის სოფლის მეურნეობის სფეროს ცნება, რომელიც ეკონომიკური ტრანსფორმაციის თანამედროვე პირობებში ***უნდა***

ჩაითვალოს ტერიტორიულ ფორმაციად, რომელიც წარმოადგენს ერთიან ბუნებრივ-გეოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომელშიც ხდება დაბალანსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეპროდუცირება (წარმოება, განაწილება, მიმოქცევა, მოხმარება) მისთვის დამახასიათებელი სპეციალიზაციით, რეგიონებს შორის შრომის გადანაწილებით, ინფრასტრუქტურის განვითარებით და გარემომცველი გარემოს დაცვით, მოსახლეობის რეპროდუქციისთვის ნორმალური წინაპირობების შესაქმნელად (დიაგრამა 1).

აგრარული სფერო, როგორც რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ფუნდამენტური რგოლი და სახელმწიფოს აგრარული და რეგიონული სოფლის მეურნეობის პოლიტიკის განხორციელების ობიექტი, არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოებით და უნდა მოიცვას რეგიონული, რეგიონთაშორისი და საერთაშორისო ტრანსფორმაციის ვექტორების მთელი სპექტრი, მისი განვითარების პერსპექტიული მიმართულებების შემუშავების მიზნით.

განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის შედეგად, სოფლის მეურნეობის სფეროში, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, შესაძლებელია კონკურენციის დონის შენარჩუნება და გაზრდა, საკუთრებისა და არჩევანის თავისუფლების უფლებების ეფექტიანი დაცვა. ყველა განვითარებულ ქვეყანაში, სხვადასხვა ეკონომიკური და ფინანსური ინსტრუმენტების მეშვეობით (მათ შორის დოტაციებისა და კომპენსაციების სისტემა, გადასახადების შემსუბუქება ან განთავისუფლება, ტარიფების შემცირება სოფლის მეურნეობის რესურსებით სარგებლობაზე, ბიუჯეტიდან ანაზღაურების მქონე საკრედიტო და სადაზღვევო სისტემა და ა.შ.) სახელმწიფო ახორციელებს სოფლის მეურნეობის მუდმივ და სტაბილურ მხარდაჭერას დამატებული ღირებულების უფრო მასშტაბურად მფორმირებელი ინდუსტრიული სექტორიდან შემოსავლების გადანაწილებით. ეს შესაძლებელს ხდის ამ ქვეყნების მოსახლეობის არა მხოლოდ სურსათით უზრუნველყოფას, არამედ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მნიშვნელოვანი მოცულობის ექსპორტირებას. ბოლო მონაცემებით, მოსახლეობის ერთ სულზე აგრარული პროდუქციის ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში თითქმის 500 აშშ დოლარია, ხოლო აშშ-ში 470 დოლარზე მეტი. ამასთან, დასავლეთის ქვეყნებში სოფლის მეურნეობის სისტემური სამართლებრივი და ეკონომიკური მხარდაჭერა (სუბსიდირება, იაფი კრედიტი, დაზღვევა და ა.შ.) სტაბილურად იზრდება.

ჩვენი აზრით, რეგიონებისა და მთლიანად ქვეყნის მდგრადი განვითარება შესაძლებელია სოფლის მეურნეობის სექტორის ფუნქციონირებისათვის შემდეგი პირობების შექმნით:

- სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- სარესურსო ბაზების დაცვა: მიწის და წყლის რესურსები, მინერალური სასუქების მარაგები, მათი წარმოებისთვის საჭირო რესურსები;
- სოფლის მეურნეობის სფეროს ინფრას-

დიაგრამა 1. რეგიონის აგრარული სფერო



ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ტრუქტურის ფუნქციონირების სტაბილურობის უზრუნველყოფა.

მსოფლიო ქვეყნების მრავალწლიანი გამოცდილება ადასტურებს ერთ კანონზომიერებას: ქვეყანა, რომელიც არ ასტიმულირებს საკუთარი სოფლის მეურნეობის განვითარებას და არ აწარმოებს საკმარისი რაოდენობის სურსათს, ხდება სხვა სახელმწიფოების კონიუნქტურაზე დამოკიდებული. სოფლის მეურნეობა არეგულირებს ოპტიმალურ დონეზე ეროვნული ეკონომიკის განვითარებას, მის წონასწორობას და, ამავე დროს, უზრუნველყოფს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას, რომელიც წარმოადგენს მისი ეკონომიკური უსაფრთხოების შემადგენელ ნაწილს.

1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოს სოფლის მეურნეობის ტექნიკურმა დეგრადაციამ, ძირითადი ფონდების უმეტესი ნაწილის დაკარგვამ, სოფლის მეურნეობის საწარმოების მძიმე ფინანსურმა მდგომარეობამ, რომლის დროსაც ნახევარზე მეტი მათგანი გახდა წამგებიანი, ფაქტობრივად გამოიწვია აგრარული სექტორის კონკურენტუნარიანობის და საქართველოს სასურსათო დამოუკიდებლობის დაკარგვა. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დეკონცენტრაციამ და ნატურალიზაციამ, რომელიც ნეოლიბერალური რეფორმების დროს მოხდა, ისიც განაპირობა, რომ სოფლებში დამკვიდრდა დაბალპროდუქტიული (10%-ზე ნაკლები), ნატურალურ-პატრიარქალური წარმოების წესი.

ამჟამად საქართველო, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი ბუნებრივი პოტენციალი, დამოკიდებულია ისეთი პროდუქტების იმპორტზე, როგორიცაა ხორცი, შაქარი, სასურსათო დანიშნულების მარცვლეული, ნაწილობრივ რძის პროდუქტები და მცენარეული ზეთი. ჩვენს მიერ მხოლოდ ამ საუკუნეში იმპორტირებულია 23.5 მლრდ. აშშ დოლარზე მეტი აგროსასურსათო დანიშნულების პროდუქცია, მაშინ როდესაც ექსპორტმა მხოლოდ 13.0 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა.

დაწყებული გარდაქმნების მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამის არარსებობა, შესაბამისად, მათი შესატყვისი მექანიზმების და აგრარულ სფეროში შემდგომი გარდაქმნების ლოგიკის არარსებობა, ქვეყნის აგროკომპლექსის რეგულირებაში სახელმწიფოს უშუალო მონაწილეობა, იწვევს საქართველოს აგრარული სფეროს მაღალი რისკისა და ტურბულენტობის ზონაში კიდევ გაურკვეველი დროით ყოფნას, რაც ადეკვატურად აისახება ეროვნული მეურნეობის განვითარების დინამიზმსა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე. ეკონომიკური ტრანსფორმაციის პირობებში სოფლის მეურნეობაში, საჭიროა სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი და დაცული ინსტიტუტების შექმნა. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს წარმოების ფაქტორების ბაზრის წარმოქმნასა და ეფექტიან ფუნქციონირებას, აქციონერების კონტროლს საკუთარ საწარმოებზე და საზოგადოებრივ უსაფრთხოებას.

აგროსასურსათო პროდუქციით თვითუზრუნველყოფის დონის არსებითი გაზრდა საჭიროებს ქვეყანაში თანმიმდევრული აგრარული რეფორმის განხორციელების აუცილებლობას, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს საქართველოში სოფლის მეურნეობის სფეროში დაგროვილ გამოცდილებას, ასევე ამ სექტორის განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო ხელშეწყობისა და რეგულირების საუკეთესო პრაქტიკას.

რეფორმის შედეგების და განვითარების კონცეფციის სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი მომენტების შეფასება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იმყოფება. ამჟამად, საქართველოს წინაშე დგას ამოცანა: განისაზღვროს სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პოლიტიკების შინაარსი, რათა უზრუნველეყოს მათი განხორციელება და ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება. ხისტი გლობალური კონკურენციის სამყაროში ჰაერივით აუცილებელია ქართული სოფლის მეურნეობის დაცვის, განვითარებისა და ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნობრივი სტრატეგია, კერძოდ:

- აგრო სამრეწველო კომპლექსში თანამედროვე ინდუსტრიული ბაზის აღდგენა და შექმნა;
- ქვეყნის რეგიონებში სოფლის მეურნეობის ეფექტიანი ფუნქციონირების მართვის ოპტიმალური პირობების განსაზღვრა;
- სოფლის მეურნეობის ბაზრების და მათი რეგულირების ეფექტიანი სისტემების განვითარება;
- რეგიონების სოფლის მეურნეობის სექტორისთვის სახელმწიფო დახმარების დონის გაზრდა და სასურსათო ბაზრების სამთავრობო რეგულირება;
- რეალური პროდუქციის მწარმოებლებისათვის სახელმწიფო მხარდაჭერის ეკონომიკური მექანიზმების ნორმატიულ-სამართლებრივი და საბაზრო ინსტრუმენტების გამოყოფა და სოფლის მეურნეობაში ფასების დისპარიტეტის გამოთანაბრება;
- აგროსამრეწველო წარმოებაში რესურ-

სული პოტენციალის რაციონალური გამოყენების გზების განსაზღვრა და აუცილებელი მოქმედებები როგორც დარგში, ასევე წარმოების ტერიტორიულ სტრუქტურაში;

- მიწათსარგებლობის რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა სოფლის მეურნეობის სექტორში;
- საკანონმდებლო უზრუნველყოფა და ორგანიზაციული პირობების შექმნა ვერტიკალური და ჰორიზონტალური საწარმოო კოოპერაციისათვის და აგრო-სამრეწველო კომპლექსში ინტეგრაციისათვის;
- სურსათის იმპორტის რაციონალიზაცია და ამის საფუძველზე აგრო-სამრეწველო კომპლექსის ეფექტიანობის ამაღლება;
- საბაზრო სოციალურად ორიენტირებული პირობების ფორმირება, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების ადეკვატური დონის უზრუნველყოფა;
- აგრო-სამრეწველო კომპლექსის მიერ გამოშვებული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის გაზრდა წარმოების ზრდის, მასშტაბის ეფექტიანობისა და ხარისხის არსებითი გაუმჯობესების ხარჯზე;
- საქართველოს სასურსათო ბაზრის გამოსვლა მსხვილი საერთაშორისო სასურსათო კორპორაციების გავლენის სფეროდან, რომლებიც დოტაციების სისტემის საშუალებით ახდენენ ქართველი მწარმოებლების ბაზრიდან გაძევებას;
- შიდა ბაზრის დასაცავად ღონისძიებების სისტემის შემუშავება და საგარეო ბაზრებზე წარმატებული ექსპანსიის ზომები;
- საცხოვრებელი გარემოს ინფრასტრუქტურული მოწყობა და სოფლის გარემოში ღირსეული საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა;
- კვების ხარისხისა და მოხმარების მოცულობის ამაღლება, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის ბუნებრივ მატებაზე.

ამ ამოცანების გადასაჭრელად, ჩვენი აზრით, აუცილებელია საქართველოს სოფლის მეურნეობის ლობის გაძლიერება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, რომელიც შეძლებს აგროსამრეწველო კომპლექსის ინტერესების დაცვას, აგრარული პოლიტიკის სფეროში დარგის მაღალკვალიფიციური პროფესიონალების და მოქნილობის გამოყენების მეშვეობით, განსაკუთრებით სურსათის მსოფლიო ბაზრებზე.

როგორც განვითარებული ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, ეკონომიკის აღორძინება წარმატებული გახდება მხოლოდ მაშინ, როდესაც დაეფუძნება განვითარებულ აგრარულ სექტორს, რომლის როლი არა მხოლოდ ეროვნული მეურნეობისთვის სახსრების მოპოვებაში, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ გახდეს მულტიპლიკატორი, რომელიც ხელს შეუწყობს მთლიანად ქვეყნის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ დაჩქარებულ განვითარებას და გამოთანაბრებას.

დასკვნა

ეკონომიკის ტრანსფორმირებისა და გლობალიზაციის მიმდინარე პირობებში რეგიონის აგრარული სფეროს განვითარების სტრატეგია გვევლინება როგორც ეკონომიკური ზრდისა და რეგიონში მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

რეგიონის აგრარული სფეროს ეფექტიანი განვითარების აუცილებლობა, ეკონომიკური პროცესების რეგიონალიზაციის მიმდინარე პირობებში წარმოადგენს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ელემენტს, რომლის შედეგად მიღწეულ იქნება ქვეყნის ეკონომიკური და ეროვნული უსაფრთხოება. თანამედროვე პირობებში სოფლის მეურნეობის სექტორის ფუნქციონირება, სასურსათო ბაზრებზე წარმოებული პროდუქციის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მზარდი მოთხოვნები, განხორციელება და ქართული ეკონომიკის მსოფლიო სივრცეში ინტეგრაცია მოითხოვს აგრარული სექტორის გარდაქმნას და ამასთან ერთად ახალი, უფრო ეფექტიანი, მაღალი დამატებული ღირებულების შემქმნელი მიმართულებების დასახვას.

საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის შემუშავებული სტრატეგიების ძირითად შინაარსს, რომელიც უზრუნველყოფს სასურსათო და, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას, წარმოადგენს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პრინციპების განხორციელება და რეგიონის სოფლის მეურნეობის სფეროში ღრმა სტრუქტურული გარდაქმნების და კონკურენტუნარიანი საწარმოების კომპლექსის შექმნა, რომლებიც ყველაზე ეფექტიანად იყენებენ ხელსაყრელ ფაქტორებს და მდგრადი ეკონომიკური განვითარების წინაპირობებს.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

THE ASPECTS OF IMPLEMENTING ECO-INNOVATIONS IN BUSINESS

Copyright © 2023 The Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: December 28, 2022
Published: January 20, 2023
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC18012023-26

Guguli Zarnadze
Doctor of Business Administration
ORCID iD: https://orcid.org/0000-0003-2051-8037
E-mail: gulsunda46@yahoo.com

ABSTRACT

The introduction of eco-innovations can bring some results both in terms of environmental impact and in terms of economic and social improvement. Such innovations can be involved in all areas of human activity, among them the business sector has a great potential to get positive effects. There are verity of eco-innovations for obtaining added value in business that stimulate theier activity: increasing productivity and technical capabilities; entering new and developing markets; increasing profitability throughout the value chain; attract investments; advancing and giving effect to standards and regulations, etc. Despite these opportunities, businesses passively follow the path to introduce eco-innovations. This can be caused by the fact that that they do not clearly see the ways of obtaining quick results, and spending without coercion contradicts the goals of making a profit based on ecological considerations. In the article, on the basis of theoretical studies, the factors that allow the introduction of eco-innovations in business are identified. The study of the discussion is generally important considering that it has been a couple of years since Geostat started a large-scale statistical study in this direction, and the results of the assessment of the interviewed Georgian businesses do not indicate the great importance of introducing eco-innovations.

Keywords: *Eco-innovation; Driving factors of eco-innovations.*

REFERENCES:

1. Doranova A., Miedzinski M., Veen G., Reid A., Leon R. L., Ploeg M., Carlberg M., Joller L. Business Models for Systemic Eco-innovations, Technopolic Group, Belgium, 2012.

2. OECD, 2009. Sustainable Manufacturing and Eco-Innovation, Oslo: ORGANIZATION FOR ECONOMIC CO-OPERATION AND DEVELOPMENT.

3. Bossle, M. B., Barcellos, M. D. d. & Vieira, L. M., 2016. The drivers for adoption of eco-innovation. Journal of Cleaner Production, Volume 113.

4. Kemp, R. & Pearson, P., 2007. Measuring eco-innovation. report MEI project about measuring ecoinnovation.

5. EIO - www.eco-innovation.eu, 2018.

6. Doranova A., Miedzinski M., Veen G., Reid A., Leon R. L., Ploeg M., Carlberg M., Joller L. Business Models for Systemic Eco-innovations, Technopolic Group, Belgium, 2012.

7. UNEP 2014, The Business Case for Eco-innovation.

8. Saran T., Vignesh P., Pandian C. Analyzing the Driv-

ers and Barriers for the Adoption of Eco-innovation, 2019

9. UNEP 2014, The Business Case for Eco-innovation.

10. Information of the National Statistical Service of Georgia, www.geostat.ge

11. Information of the National Statistical Service of Georgia, www.geostat.ge

12. Hojnik J. In Pursuit of Eco-innovation: Drivers and Consequences of Eco-innovation at Firm Level, University of Primorska Press, 2017.

13. Porter and van der Linde 1995 – Porter M., Linde C. Toward a New Conception of the Environment-Competitiveness Relationship, The Journal of Economic Perspectives, Vol. 9, No. 4, 1995.

14. UNEP 2014, The Business Case for Eco-innovation.

ბიზნესში ეკოინოვაციების დანერგვის ასპექტები

გუგული ზარნაძე
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
ORCID iD: https://orcid.org/0000-0003-2051-8037
ელ. ფოსტა: gulsunda46@yahoo.com

აბსტრაქტი

ეკოინოვაციების დანერგვამ შეიძლება მნიშვნელოვანი შედეგი მოიტანოს როგორც გარემოზე ზემოქმედების, ასევე, ეკონომიკური და სოციალური გაუმჯობესების თვალსაზრისით. ამგვარი ინოვაციები ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროში შეიძლება ჩაერთოს, მათ შორის დიდი პოტენციალი დადებითი ეფექტების მისაღებად ბიზნესსექტორს გააჩნია. ეკოინოვაციების დასანერგად ბიზნესს შეიძლება ასტიმულირებდეს დამატებითი ღირებულების მიღება სხვადასხვა ასპექტით, როგორიცაა: პროდუქტიულობის და ტექნიკური შესაძლებლობების ზრდა; ახალ და განვითრებად ბაზრებზე შესვლა; მომგებიანობის ზრდა ღირებულების ჯაჭვის მასშტაბით; ინვესტიციების მოზიდვა; სტანდარტებისა და რეგულაციების წინსწრება და შესაბამისი ეფექტის მიღება და სხვა. მიუხედავად ამ შესაძლებლობებისა, ბიზნესები ინერტულად მიუყვებიან ეკოინოვაციების დანერგვის გზას, რასაც გარკვეულად ის გარემოებაც აფერხებს, რომ ნათლად ვერ ხედავენ სწრაფი შედეგის მიღების გზებს და იძულების გარეშე ხარჯების გაღება მხოლოდ ეკოლოგიური მოსაზრებებით მოგების მიღების მიზნებს ეწინააღმდეგება. სტატიაში თეორიული კვლევის ბაზაზე გამოვლენილია ის ფაქტორები, რომლებიც ბიზნესში ეკოინოვაციების დანერგვის შესაძლებლობებს ზრდის. საკითხის შესწავლა მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებითაც, რომ საქართველოში სულ ორიოდე წელია, რაც ამ მიმართულებით მასშტაბური სტატისტიკური კვლევა დაიწყო საქსტატის მიერ და გამოკითხული ქართული ბიზნესის სუბიექტების შეფასების შედეგები ეკოინოვაციების დანერგვის დიდ მნიშვნელობაზე არ მიუთითებს.

საკვანძო სიტყვები: *ეკოინოვაცია; ეკოინოვაციების მამოძრავებელი ფაქტორები.*

შესავალი

ვარაუდობენ, რომ 2050 წლისთვის 2010 წელთან შედარებით პლანეტის მოსახლეობა 30%-ით გაიზრდება. ეს ზრდა შექმნის მილიარდობით ახალ მომხმარებელს, რომლებსაც დასჭირდებათ საცხოვრებელი, საკვები, ტანსაცმელი, ტრანსპორტი, ელექტრომოწყობილობები და სხვა. თუმცა, ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობის შემცირება, ეკოლოგიური პირობების გაუარესება და კლიმატის შეცვლა გლობალურად შეზღუდავს მოსახლეობის უნარს, მიჰყვეს დღევანდელ ცხოვრების წესს და მოხმარების მოდელებს.

ეკონომიკური საქმიანობის, სამუშაო ადგილების და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების მიზნით, გარემოსდაცვითი და ბუნებრივი რესურსების სიმცირის გამოწვევებთან ერთად, ქვეყნები სულ უფრო მეტად ეძებენ ინოვაციურ გზებს ბიზნეს სექტორების ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობისთვის. აღნიშნული მრავალმხრივი პრობლემების გადაკვეთაზე ეკოინოვაციების დანერგვამ შეიძლება მნიშვნელოვანი შედეგი მოიტანოს როგორც გარემოზე ზემოქმედები, ასევე, ეკონომიკური და სოციალური გაუმჯობესების თვალსაზრისით. ამგვარი ინოვაციები ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროში შეიძლება ჩაერთოს, მათ შორის დიდი პოტენციალი დადებითი ეფექტების მისაღებად ბიზნესსექტორს გააჩნია.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ეკოინოვაციების დასანერგად ბიზნესს შეიძლება ასტიმულირებდეს დამატებითი ღირებულების მიღება სხვადასვა ასპექტით, როგორიცაა: პროდუქტიულობის და ტექნიკური შესაძლებლობების ზრდა; ახალ და განვითრებად ბაზრებზე შესვლა; მომგებიანობის ზრდა ღირებულების ჯაჭვის მასშტაბით; ინვესტიციების მოზიდვა; სტანდარტებისა და რეგულაციების წინსწრება და შესაბამისი ეფექტის მიღება და სხვა. მიუხედავად ამ შესაძლებლობებისა, ბიზნესები ინერტულად მიუყვებიან ეკოინოვაციების დანერგვის გზას, რასაც გარკვეულად ის გარემოებაც აფერხებს, რომ ნათლად ვერ ხედავენ სწრაფი შედეგის მიღების გზებს და იძულების გარეშე ხარჯების გაღება მხოლოდ ეკოლოგიური მოსაზრებებით მოგების მიღების მიზნებს ეწინააღმდეგება.

საკითხთნ დაკავშირებული კვლევები ცხადყოფს, რომ ეკოინოვაციების დანერგვის მექანიზმები დახვეწას მოითხოვს. მრავალმხრივი შესწავლის საგანია სტიმულების და რეგულაციების ეფექტები; თავად მამოძრავებელი ძალების იდენტიფიცირებასაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. მკვლევართა მოსაზრებით ვინაიდან მხოლოდ მზარდი ინოვაციებით ვერ მიიღწევა ეკონომიკური ზრდით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების სრული შემცირება, ბაზრის პოტენციალის გაზრდა რადიკალური და სისტემური ეკოინოვაციებისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს უფრო მწვანე ეკონომიკაზე გრძელვადიანი გადასვლისა და ტრანსფორმაციისთვის [1].

მოცემული სტატიის მიზანია თეორიული კვლევის ბაზაზე სწორედ იმ ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც ბიზნესში ეკოინოვაციების დანერგვის შესაძლებლობებს ზრდის. საკითხის შესწავლა მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებითაც, რომ საქართველოში სულ ორიოდე წელია, რაც ამ მიმართულებით მასშტაბური სტატისტიკური კვლევა დაიწყო საქსტატის მიერ და გამოკითხული ქართული ბიზნესის სუბიექტების შეფასების შედეგები ეკოინოვაციების დანერგვის დიდ მნიშვნელობაზე არ მიუთითებს.

ძირითადი ტექსტი

ეკოინოვაციის სხვადასხვაგვარი განმარტება გვხვდება. ზოგადად, იგი განიხილება როგორც პროდუქტის განვითარება, რომელიც ხელს უწყობს მდგრად განვითარებას, ან მაგალითად, ტერმინი ეკოინოვაცია განისაზღვრება როგორც პოზიტიური წვლილი, რომელიც ინდუსტრიას შეუძლია შეიტანოს მდგრად განვითარებაში და ასევე, ეკონომიკის ზრდის ან კონკურენტუნარიანი ეკონომიკის აშენებაში [2]. ეკოინოვაციის კონცეფცია ბიზნესში უკავშირდება კომპანიის წარმატების მიღწევას პროდუქტის შემუშავების, ახალი ტექნოლოგიების ან ინოვაციების დანერგვისას, რომლებიც ითვალისწინებენ სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებს [3]. უფრო ფართო გაგებით, ეკოინოვაცია მოიცავს პროდუქტის წარმოებას ან პროცესს, რომელიც ახალია ორგანიზაციისთვის მაშინ, როდესაც მას ავითარებს და რომელიც პროდუქტის სიცოცხლის ციკლის განმავლობაში იწვევს გარემოზე ზემოქმედების შემცირებას [4]. ევროკომისიის ეკოინოვაციების სამოქმედო გეგმით, ეკოინოვაცია განისაზღვრება როგორც ინოვაციის ნებისმიერი ფორმა, რომელიც იწვევს ან მიზნად ისახავს მნიშვნელოვანი და აშკარა პროგრესის მიღწევას მდგრადი განვითარების მიზნისკენ, გარემოზე ზემოქმედების შემცირების გზით, გარემოზე ზეწოლისადმი მდგრადობის გაზრდის ან ბუნებრივი რესურსების უფრო ეფექტიანი და პასუხისმგებელი გამოყენებით. ეკოინოვაცია ასევე განიმარტება, როგორც „ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტების (საქონელი და მომსახურება), პროცესების, მარკეტინგის მეთოდების, ორგანიზაციული სტრუქტურებისა და ინსტიტუციური მოწყობის განხორციელება, რომლებიც განზრახ ან მის გარეშე იწვევს გარემოს გაუმჯობესებას შესაბამის ალტერნატივებთან შედარებით [5].

ზოგადად, ეკოინოვაცია იძლევა შესაძლებლობას გააუმჯობესოს მდგრადობა სოციალურ-ეკონომიკური მიზნების კომპრომისის გარეშე, მომხმარებლისთვის მდგრადი პროდუქტის ან მომსახურების მიწოდებით. ასევე, ეკოინოვაციებს სარგებელი მოაქვს კომპანიისთვის ეკონომიკური ზრდის მიმართულებით და ხელს უწყობს გარემოზე ზემოქმედების შემცირებას.

ეკოინოვაციები კომპანიებს გარკვეულ შესაძლებლობებს აძლევს ახალი ღირებულებების შექმნით მოიპოვონ ახალი ბაზრები და მიიღონ ან გაზარდონ შემოსავლები. ინოვაციების დანერგვამ მდგრად ბიზნესმოდელებში შესაძლოა სწორედ ის ღირებულება შექმნას კომპანიაში, რომელიც მათ კონკურენტულ უპირატესობას უზრუნველყოფს. ამასთან, რესურსების დაზოგვით, ხარჯების შემცირებით და ნარჩენების მართვის გაუმჯობესებით, რაც ხშირად ინოვაციური მიდგომებების დანერგვას უკავშირდება, კომპანიები ხარჯების მნიშვნელოვან შემცირებას აღწევენ.

ინოვაციური ბიზნესმოდელების შექმნით კომპა-

N1 (68) 2023, Vol. 18, Issue 1.

ნიებს ეკოინოვაციების პოპულარიზაციაშიც შექვთ წვლილი. ეს ხელს უწყობს მდგრადი განვითრების საერთო მიზნების მიღწევაში მეტი და მეტი აქტორის ჩართვას, რამდენადაც ზეგავლენას ახდენს მომხმარებლისთვის ღირებულების მიწოდების ახალი გზების შექმნაზე, ახალი ბიზნესკონტაქტების დამყარებასა და კომპანიების ღირებულების ჯაჭვების ახლებურ ფორმირებაზე.

კომპანიები, რომლებმაც ეკოინოვაციების დანერგვით თავიანთი ბიზნეს მოდელების ადაპტირება დაისახეს მიზნად, აღნიშნულს სხვადასხვა მოტივით ახორციელებდნენ და ამასთან, სხვადასხვა ღირებულების შექმნის საფუძველზე აღწევდნენ ამ მიზანს. კვლევები მიუთითებს, რომ უფრო მეტად ჭარბობს ისეთი ღირებულებების შექმნა, როგორიცაა ეკონომიკური სარგებელი, ხარჯების დაზოგვა, ახალი შემოსავლების ნაკადები, დამატებითი მოგება და უკეთესი ხარისხი ან სერვისი ან პროდუქტი. მიუხედავად იმისა, რომ გარემოსდაცვითი ღირებულებები იშვიათად იყო ბიზნესშეთავაზების ცენტრში, მოსალოდნელი გარემოსდაცვითი სარგებელი, როგორიცაა ნარჩენების ზემოქმედების შემცირება ან ემისიების შემცირება, შესაბამისი ელემენტი იყო, რომელიც მხარს უჭერდა ან ამოტივირებდა ახალ ბიზნეს მოდელებს [6].

ეკოინოვაციის დანერგვას შეიძლება უბიძგოს ღირებულების ჯაჭვის მასშტაბით ისეთი ბიზნესმოდელის განვითარებამ, რომელიც ჩამოყალიბებულია ახალი ბიზნესის სტრატეგიით და მოიცავს სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში და პარტნიორებთან კოოპერაციაში მდგრადობას. ასეთი ეკოინოვაცია მოიცავს საქონლის/მომსახურების, პროცესების, საბაზრო მიდგომის ან ორგანიზაციული სტრუქტურის მოდიფიკაციის ან სიახლეების კოორდინირებულ ნაკრებს, რაც იწვევს კომპანიის ეფექტიანობის და კონკურენტუნარიანობის ზრდას [7].

ნახ.1. ბიზნესზე ზეწოლის ფაქტორები ეკოინოვაციების ზრდისთვის [9].



ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ეკოინოვაციების დანერგვა შესაძლებელია განაპირობოს ბიზნესზე გარკვეული რეგულაციების ზეწოლამ. მარეგულირებელი და ბაზარზე დაფუძნებული ინსტრუმენტები, განსაკუთრებით გარემოსდაცვითი და ნახშირბადის გადასახადები და მავნე ნივთიერებების რეგულაციები უმეტეს შემთხვევაში აქტუალური აღმოჩნდა. მკვლევრები მიუთითებენ, რომ ეკოინოვაციაზე კომპანიების გადასვლის მიზეზებს განეკუთვნება გარე და შიდა იძულებითი ღონისძიებები. გარე ზეწოლა არის მთავრობის რეგულაციები, გარემოსდაცვითი პოლიტიკა, დაინტერესებული მხარეები. შიდა მიზეზებს განეკუთვნება კონკურენტული უპირატესობა, ეფექტიანობის ზრდა, ხარჯების შემცირება და რეპუტაციის გაუმჯობესება [8].

ეკოინოვაციებთან დაკავშირებული ბიზნესის კონკრეტული შემთხვევები განსხვავდება კონტექსტის მიხედვით, თუმცა გარკვეული ხელშემწყობი პირობები, მათ შორის პოლიტიკის გარემო, ბაზრის მოთხოვნა და ინდუსტრიის ზეწოლა უმნიშვნელოვანესია. პირობები სულ უფრო იზრდება და ხელსაყრელია რიგ ქვეყნებში, თუმცა შეზღუდვები ჯერ კიდევ არსებობს გარკვეულ ბაზრებზე, რომლებიც არ არის მომგებიანი. ბიზნესზე ზეწოლის რიგი ფაქტორები ეკოინოვაციების ზრდისთვის კომპლექსურად მოცემულია ნახაზზე 1.

2021 წლის საქსტატის გამოკვლევის მიხედვით საქართველოში გამოკითხული კომპანიებიდან მეტად მცირე წილი (10%-ზე ნაკლები) მიიჩნევს, რომ მაღალი ხელშემწყობი ზეგავლენა აქვს ეკოლოგიური სარგებლით ინოვაციური წარმოების გადაწყვეტილებაში შემდეგ ფაქტორებს: არსებული გარემოსდაცვითი გადასახადები და მოსაკრებლები; მომავალში მოსალოდნელი გარემოსდაცვითი რეგულაციები ან გადასახადები; მთავრობის გრანტები, სუბსიდიები ან სხვა ფინანსური წახალისება ეკოლოგიური ინოვაციებისთვის; მიმდინარე ან მოსალოდნელი მოთხოვნა ბაზარზე ეკოლოგიურ ინოვაციებზე; ნებაყოფლობითი ქმედებები ან ინიციატივები შესაბამის სექტორში გარემოსდაცვითი კარგი პრაქტიკისთვის; სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების მოთხოვნების შესრულება. არსებული გარემოსდაცვითი რეგულაციების მაღალ მნიშვნელობაზე მიუთითა გამოკითხულთა 10,1%-მა; მხოლოდ საწარმოს რეპუტაციის გაუმჯობესებაზე და ენერგიის, წყლის ან მასალების მაღალი ღირებულებაზე მიუთითა გამოკითხულთა 13,1%-მა, რაც ასევე არ არის კომპანიების დიდი რაოდენობა (ნახ. 2).

გამოკითხული კომპანიების წილობრივი მონაცემების ანალიზი, რომლებმაც მიუთითეს, რომ ზემოაღნიშნულ ცალკეულ ფაქტორს არ ჰქონდა მნიშვნელობა, ნათელყოფს, რომ ეკოინოვაციების დანერგვის მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო არის ჩასატარებელი საქართველოში როგორც სახელმწიფო რეგულაციების შემოღების, ისე შიდა სტიმულების ამუშავების მიმართულებით. თითოეული ფაქტორის ნულოვანი ზეგავლენის შეფასებაზე გამოკითხული კომპანიების წილი პროცენტულად მთლიან გამოკითხულებში 2021 წელს *(ფრჩხილებში - 2020 წელს)* შემდეგნაირად გადანაწილდა: არსებული გარემოსდაცვითი რეგულაციები - 44,2% (43,3%); არსებული გარემოსდაცვითი გადასახადები და მოსაკრებლები - 44,9% (59,4%); მომავალში

ნახ. 2. საწარმოთა განაწილება ეკოლოგიური სარგებლით ინოვაციების წარმოების გადაწყვეტილების მიღებაში ხელისშემწყობი ფაქტორების ზეგავლენის მნიშვნელოვნების მიხედვით [10].



ნახ. 3. საწარმოთა განაწილება ეკოლოგიური სარგებლით ინოვაციების წარმოების გადაწყვეტილების მიღებაში ხელისშემწყობი ფაქტორების ზეგავლენის მნიშვნელოვნების მიხედვით [11].



მოსალოდნელი გარემოსდაცვითი რეგულაციები ან გადასახადები - 48,0% (46,9%); მთავრობის გრანტები, სუბსიდიები ან სხვა ფინანსური წახალისება ეკოლოგიური ინოვაციებისთვის - 52,4% (49,8%); მიმდინარე ან მოსალოდნელი მოთხოვნა ბაზარზე ეკოლოგიურ ინოვაციებზე - 48,7% (46,2%); საწარმოს რეპუტაციის გაუმჯობესება 39,0% (37,8%); ნებაყოფლობითი ქმედებები ან ინიციატივები შესაბამის სექტორში გარემოსდაცვითი კარგი პრაქტიკისთვის - 42,9% (47,7%); ენერგიის, წყლის ან მასალების მაღალი ღირებულება - 34,1% (36,7%); სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების მოთხოვნების შესრულება - 51,6% (50,5%) (ნახ. 3).

საქართველოში გამოვლენილი ვითარების მსგავსად კვლევები მიუთითებს, რომ არაერთ ქვეყანაში არის შემთხვევები, როცა კომპანიები თავდაპირველად ყოყმანობდნენ გამხდარიყვნენ ეკომეგობრულები და შემოეღოთ ეკოინოვაციები. ამგვარი სიახლეები ხშირად მიიჩნევა კანონმდებლობასა და რეგულაციების დაცვაზე საპასუხო ღონისძიებად. გარდა ამისა, ეკო-ინოვაციები აღიქმებოდა ტვირთად, რომელიც მიზნად ისახავს მხოლოდ გარემოს დახმარებას, ხოლო ფირმის მუშაობას საფრთხეს უქმნიდა, განსაკუთრებით - მათ მომგებიანობას [12]. ეკოინოვაციის პერსპექტივის შეფასებაზე ზეგავლენა მოახდინა მ. პორტერის ჰიპოთეზამ, რომ თუ სწორად არის შექმნილი გარემოსდაცვითი სტანდარტები, შეიძლება გამოიწვიოს ინოვაციები, რაც ამცირებს პროდუქტის მთლიან ხარჯებს ან აუმჯობესებს მის ღირებულებას. ასეთი ინოვაციები საშუალებას აძლევს კომპანიებს, გამოიყენოს მთელი რიგი საშუალებები უფრო პროდუქტიულად - ნედლეულიდან და ენერგიიდან დაწყებული შრომით დამთავრებული - და აინაზღაურონ გარემოზე ზემოქმედების გაუმჯობესებისთვის გაწეული ხარჯები. იმავდროულად, რეგულაციები უფრო მკაცრი უნდა იყოს, ვიდრე სუსტი, რადგან ... მკაცრი რეგულაციები ხელს უწყობს რეალურ ინოვაციას [13].

პორტერის ჰიპოთეზის დადასტურებას სხვა მკვლევრებიც ცდილობდნენ და არაერთხელ დადასტურდა, რომ ეკოინოვაციებს შეუძლია ბიზნესისთვის სარგებლის მოტანა. მნიშვნელოვნად მივიჩნევთ იმ მამოძრავებელ ფაქტორებზე ყურადღების გამახვილებას, რომლებმაც შესაძლებელია ხელი შუწყოს ბიზნესის აქტივობის ზრდას ეკოინოვაციების დანერგვის მიმართულებით [14]:

- **წვდომა ახალ და განვითარებად ბაზრებზე**

ეკოინოვაციური გადაწყვეტილებებისთვის საბაზარო მოთხოვნა სწრაფად იზრდება ბევრ სექტორში. მრავალრიცხოვანი მაგალითებია იმის, თუ როგორ მიაღწიეს კომპანიებმა ახალ ბაზარზე დაბალშემოსავლიანი სეგმენტიდან მაღალი დონის მომხმარებლამდე, წვდომა მსხვილი კომპანიების მიწოდების ჯაჭვებზე ან აკმაყოფილებდა აუთვისებელ მოთხოვნას იმ ადგილებში, სადაც ადრე არსებობდა მსგავსი გადაწყვეტა ბაზარზე. ასევე, ეკოინოვაცია მოიცავს სხვა პარტნიორებთან თანამშრომლობას მთელს მსოფლიოში ღირებულების

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ჯაჭვში, რომელიც იძლევა ცოდნასა და ქსელებზე წვდომის შესაძლებლობებს.

• ღირებულების ჯაჭვის მასშტაბით მომგებიანობის ზრდა

ეკო-ინოვაციის სრული უპირატესობების მიღება მოითხოვს კომპანიის ღირებულების ჯაჭვის ყველა ეტაპზე გაუმჯობესების შესაძლებლობებისა და რისკის ფაქტორების იდენტიფიცირებას. საერთო პრობლემების ერთობლივ გადაწყვეტაზე მუშაობით, მნიშვნელოვანი საერთო მოგების მიღწევა შესაძლებელია უკეთესი კომერციული, ეკოლოგიური და სოციალური ღირებულებით, რომელთა ძალისხმევის სინერგიული შედეგი შეიძლება მნიშვნელოვნად აღემატებოდეს ინდივიდუალური კომპანიის საქმიანობის შედეგს. ღირებულება შეიძლება შეიქმნას უფრო დიდი რაოდენობის მასალიდან, წარმოების ეფექტიანობიდან, მინიმუმამდე დაყვანილი ნარჩენებიდან, სადისტრიბუციო არხების ოპტიმიზაციიდან და შემცირებული მოქმედების დროიდან ან სრულიად ახალი გადაწყვეტილებიდან. მოგება ასევე მოიცავს უფრო მდგრადი მიწოდების ჯაჭვს და ტექნოლოგიებსა და ცოდნასთან დაკავშირებულ უპირატესობებს.

• სტანდარტებისა და რეგულაციების წინსწრებით დაკმაყოფილება

რეგულაციები და სტანდარტები პოლიტიკის სფეროში სულ უფრო მკაცრი ხდება მზარდი მდგრადობის აუცილებლობის საპასუხოდ. ეკოინოვაციური კომპანიები, როგორც წესი, მნიშვნელოვნად უსწრებენ მარეგულირებელ მოთხოვნებს და, შესაბამისად, კონკურენტული უპირატესობები გაჩნიათ. როცა რეგულაცია განხორციელდება, ისინი უკვე მზად აღმოჩნდებიან ახალი გადაწყვეტილებებით გამოწვევებთან გასამკლავებლად. უწყვეტი ინოვაცია მათ საშუალებას აძლევს შესაბამისი რეაგირებით უპასუხონ გამკაცრებულ რეგულაციებს. ამ მიდგომას აქვს დადებითი გავლენა კომპანიის რეპუტაციაზე, უზრუნველყოფს ინდუსტრიაში კომპანიის ლიდერობას და მომავალი რეგულაციის ინფორმირების შესაძლებლობას.

• ინვესტიციის მოზიდვა

ეკოინოვაციური კომპანიებისთვის ხელმისაწვდომი ფინანსური შესაძლებლობები იზრდება. მაღალი ღირებულების შენაძენები და ეკოინოვაციურ კომპანიებთან შერწყმა ამის ერთ-ერთი მაჩვენებელია. ბანკები და ინვესტორები სულ უფრო და უფრო მეტ ინვესტიციებს ახორციელებენ კომპანიებში, რომლებიც აჩვენებენ უფრო მაღალ მდგრადობას და სიცოცხლისუნარიანობას გრძელვადიან პერსპექტივაში. განვითარებად ბაზრებზე ბანკები სულ უფრო ხშირად აკეთებენ საინვესტიციო არჩევანს მდგრადობის ინიციატივებზე. მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ზრდის შესაძლებლობა იზრდება როგორც ადგილობრივი ხელისუფლებისგან დაფინანსების მიღებით, ისე და სხვადასხვა ინსტიტუტებისა და რეგიონული დაფინანსების სააგენტოებიდან, რამდენადაც მათი მხრიდან უპირატესობა ენიჭება მდგრადობასთან დაკავშირებულ ინიციატივებს.

• პროდუქტიულობისა და ტექნიკური შესაძლებლობების ზრდა

ეკოინოვაციებით გამოწვეული ორგანიზაციული ცვლილება ზრდის კომპანიის ტექნიკურ შესაძლებლობებს და პროდუქტიულობას. ეკოინოვაცია მოიცავს ინფორმაციის გაცვლას და მონაწილეობას ინოვაციურ პროცესებში კომპანიის შიგნით სხვადასხვა ერთეულების მიერ, ისევე როგორც ცოდნის შეძენას ღირებულებათა ჯაჭვის მასშტაბით პარტნიორებთან, მათ შორის ტექნიკურ ინსტიტუტებთან, თანამშრომლობით. შედეგად მიღებული სწავლისა და შემოქმედებითი პროცესი იწვევს ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერებას ძირითად კომპეტენციებში, უფრო ძლიერი უნარების ბაზას და თანამშრომლების ჩართულობის გაზრდას, რომელიც შერწყმულია ბიზნესის ეფექტიანობის ძირითად ინდიკატორებთან, როგორიცაა პროდუქტიულობა და მომგებიანობა.

აღნიშნული ფაქტორების როლი ეკოინოვაციების ზრდაში არაერთი კომპანიის მაგალითზე დადასტურდა. კომპანიებისთვის მიზანშეწონილია შეაფასონ საკუთარი შესაძლებლობები ამ ინოვაციების დანერგვისთვის მზაობის მიმართულებით, რომელმაც იმავდროულად შესაძლოა სრულიად ახლებურად დაანახოს მათი საბაზრო პოზიცია და გამოიყენონ ეკოინოვაციური მიდგომა კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად.

დასკვნები და რეკომენდაციები

ეკოლოგიური გამოწვევების გათვალისწინებით სამუშაო ადგილების შენარჩუნებისა და კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის მნიშვნელოვანი გზაა ეკოინოვაციების დანერგვა ბიზნესსექტორში. საკითხი წინააღმდეგობრივია, რადგან ეს ხშირად განიხილება ხარჯიან პროცესად, რომელსაც გრძელვადიან პერსპექტივაში ბუნდოვანი შედეგი შეიძლება ჰქონდეს და ბიზნესს ტვირთად დააწვეს, რაც მოგებას შეამცირებს.

მხოლოდ ეკოლოგიური მოსაზრებებით კომპანიები არ აკეთებენ ეკომეგობრულ ბიზნესმოდელებზე

არჩევანს. ეკოინოვაციების დანარგვაზე მიმართული ტრანსფორმაცია ბიზნესში სავარაუდოდ მიიღწევა ახალი სტრატეგიის ელემენტების განხორციელებით ეტაპობრივად და ამ მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან მკაცრ რეგულაციებს უკავშირდება, ხოლო სხვა შემთხვევაში კომპნიების მიერ სწორად გააზრებულ საბაზრო პოზიციონირების, ხარჯების შემცირების, კონკურენტუნარიანობის ამაღლების შესაძლებლობებს. ამ მიდგომით ეკოინოვაციური კომპანიები ქმნიან ღირებულებას ბიზნესისთვის, გარემოსთვის და საზოგადოებისთვის.

კომპანიებისთვის, რომლებსაც ჯერ სრულიად არ ჰქონიათ შეხება ან მცირედ არიან ჩართული ეკოინოვაციების პროცესში (მათ შორის ქართული კომპანიებისთვის), სასარგებლო და მასტიმულირებელი იქნება რიგი წარმატებული მაგალითების და იმ მამოძრავებელი ფაქტორების გაცნობა, რომელთა გათვალისწინებამ ხელი შეუწყო სხვა კომპანიებს ბაზარზე კონკურენტებთან შედარებით უპირატესობების მიღებაში. ამგვარი მიდგომა კომპანიებს საშუალებას აძლევს შეაფასონ ეკოინოვაციებით პროგრესის მიღწევის შესაძლებლობები.

ეკოინოვაციების დანერგვისთვის მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალებს განეკუთვნება: წვდომა ახალ და განვითარებად ბაზრებზე; ღირებულების ჯაჭვის მასშტაბით მომგებიანობის ზრდა; სტანდარტებისა და რეგულაციების წინსწრებით დაკმაყოფილება; ინვესტიციების მოზიდვა; პროდუქტიულობისა და ტექნიკური შესაძლებლობების ზრდა.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

NEW VISIONS AND APPROACHES FOR THE DEVELOPMENT OF THE GEORGIAN ECONOMY

Copyright © 2023 The Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: March 03, 2023
Published: March 18, 2023
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC18012023-34

Lali Okrotsvaridze,
Associate Professor
of Caucasus International University
Doctor of Social Sciences
ORCID. ID: 0009-0007-9719-417X
E-mail: lali.okrotsvaridze@ciu.edu.ge

ABSTRACT

In 1991, when Georgia declared its independence and moved from one formation (socialism), from the centralized planning of the national economy, to another formation, capitalist (market) relations, It has become necessary to integrate our national economy into the world economy. Thus our national economy found itself facing some dilemma as we moved from one governance, to another different governance, unknown market relations. We took the first steps in this direction, but in December 1991, illegal groups in the state organized it in an illegal way, the overthrow of the legitimately elected government and the wrong policies pursued by them have led the country to a difficult economic situation.

The question arises, what is needed to solve the problems before us?

For this, it is necessary to strengthen the interdependencies of the economies of different countries of the modern world economy, to develop integration processes at the macro and micro levels, from closed farms, to the intensive transition to an open economy and the development of the necessary domestic economy.

Keywords: *Integrating the economy, internationalization of personnel, legal framework, targeted programs, investment conditions, land consolidation, national economy.*

REFERENCES:

1. Avtandil Okrotsvaridze, Tengiz Lachkepiani, Lali Okrotsvaridze. "World economy". Manual. p. 264, 2010; (in Georgian)
2. Avtandil Okrotsvaridze, Magda Vadachkoria, Lali Okrotsvaridze. "Foreign economic relations". Manual. p. 261, 2009; (in Georgian)
3. Authors: Demur Giorkhelidze (group leader) Tamaz Kunchulia, Ioseb Sarjveladze, Teimuraz Jashi, Robin Ubilava, Yuza Chakvetadze, Kakha Nadiradze, Avtandil Okrotsvaridze, Mzevinar Ghoghoberidze, Saskatvelo Agricultural Development Concept 2012-2020; (in Georgian)
4. National Service of Georgia. "Agriculture of Georgia" 2020; (in Georgian)
5. Unified strategy of education and science 2017-2021; (in Georgian)
6. A. Okrotsvaridze, lecture course, subject - "International Economic Relations", 2021. (in Georgian)

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ახლებური ხედვები და მიდგომები საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის

ლალი ოქროცვარიძე,
კავკასიის საერთაშორის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი,
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
ელ.ფოსტა: lali.okrotsvaridze@ciu.edu.ge

აბსტრაქტი

1991 წელს, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და ერთი ფორმაციიდან (სოციალიზმიდან) - სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი ცენტრალიზებული დაგეგმვიდან, მეორე ფორმაციაზე-კაპიტალისტურ (საბაზრო) ურთიერთობებზე გადავიდა, დღის წესრიგში დადგა ეროვნული ეკონომიკის ინტეგრირების საკითხი მსოფლიო ეკონომიკაში, ამდენად ჩვენი ეროვნული ეკონომიკა აღმოჩნდა, რაღაც დილემის წინაშე, რადგან მმართველობის ერთი ფორმიდან გადავედით, მეორე განსხვავებულ - საბაზრო ურთიერთობებზე. პირველი ნაბიჯები გადავდგით, თუმცა ამავე წლის დეკემბერში მოხდა კანონიერად არჩეული ხელისუფლების დამხობა არაკანონიერი გზით, და მათ მიერ განხორციელებულმა არასწორმა პოლიტიკამ, ქვეყანა მიიყვანა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობამდე, ეკონომიკა კი როგორც ვიცით არის პოლიტიკის ზედნაშენი და ქვეყანა, როგორ პოლიტიკასაც განახორციელებს ისეთ ეკონომიკას მიიღებს.

ისმება კითხვა, რა არის საჭირო იმისათვის, რომ ჩვენს წინაშე არსებული პრობლემები გადაიჭრას? ამისათვის აუცილებელია თანამედროვე მსოფლიო მეურნეობისა და სხვა ქვეყნების ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულებათა გაძლიერება, მაკრო და მიკრო დონეებზე ინტეგრაციული პროცესების განვითარება, ჩაკეტილი მეურნეობებიდან ღია ტიპის ეკონომიკაზე ინტენსიური გადასვლა და აუცილებლივ შიდა მეურნეობის განვითარება.

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკის ინტეგრირება, პერსონალის ინტერნაციონალიზაცია, სამართლებრივი ბაზა, მიზნობრივი პროგრამები, საინვესტიციო პირობები, მიწების კონსოლიდაცია, ეროვნული ეკონომიკა.*

შესავალი

ჩვენთვის ცნობილია, რომ საქართველოში პრაქტიკულად საზოგადოების უმეტესმა ნაწილმა ბიზნესს, უმეტესად კი კომერციას მოკიდა ხელი. მაგრამ მეწარმეობითი საქმიანობა, სამწუხაროდ ჩამორჩება დროის მოთხოვნებს. ე.ი. საბაზრო ურთიერთობებმა სრულიად ახალი, ჩვენთვის თითქმის უცნობი მოთხოვნები წარმოშვა. ახალ მოთხოვნებს კი ახლებური დროის შესაბამისი ხედვა და მართვა სჭირდება. მართალია საქართველოში თანდათანობით იქმნება და იხვეწება ბიზნესის განვითარებისათვის მეტად აუცილებელი სამართლებრივი ბაზა, ტარდება ეკონომიკური რეფორმები, მუშავდება მიზნობრივი პროგრამები, მოდელები, კონცეფციები, ქვეყანა ერთიანდება საერთაშორისო ორგანიზაციებში, ჩნდება იმედის მომცემი ციფრები და ტენდენციები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეკონომიკურად უჭირს საქართველოს მშრომელ ხალხს, მის ინტელიგენციას, უჭირს თვით სახელმწიფოსაც, მით უმეტეს ზემოთ აღნიშნულ პრობლემებს ბოლო პერიოდში პანდემია კოვიდ 19-იც დაემატა.

ამიტომ, დღის წესრიგში დადგა დრო, დასკვნები გამოვიტანოთ იმ შეცდომებიდან, რომელიც მთელი 32 წლის განმავლობაში იქნა დაშვებული, და განვახორციელოთ ახალი ხედვები, მიდგომები, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური მიმართულებით, მართალია კოვიდ-19-მა გარკვეული დაღი დაასვა ეროვნული ეკონომიკის განვითარებას, მაგრამ ჩვენი მედიცინა და მოსახლეობა ყოველთვის მზად იყო შეძლებისდაგვარად ესწავლა პანდემიასთან ცხოვრება და მოღვაწეობა.

საქართველოს ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები უნდა გადაიდგას. უპირველეს ყოვლისა კი საჭიროა:

ა) თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე ავღზარდოთ კვალიფიციური სპეციალისტები და შევუქმნათ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მათი დასაქმებისათვის;

ბ) სახელმწიფომ სწორი პოლიტიკა გაატაროს წარმოების სფეროების მიმართულებით;

გ) გაუმჯობესდეს საინვესტიციო პირობები და მისი მიზნობრივი გამოყენება;

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

დ)აღვზარდოთ კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც თანამედროვე მოთხოვნებთან იქნება შესაბამისობაში მოყვანილი;

ე)უზრუნველვყოფთ თანამედროვე ტექნოლოგიებით, როგორც სასწავლო, ასევე წარმოების სფეროებს, სადაც დასაქმდებიან ჩვენს მიერ მომზადებული ახალგაზრდა კადრები.

21-ე საუკუნეში განათლების მნიშვნელობა უმთავრესი უნდა გახდეს საზოგადოებისათვის, რამე თუ ცოდნა არის ძალა, რომელიც საუკეთესო გზაა თავის დამკვიდრებისათვის და თვითრეალიზაციისათვის, რათა იყო მოთხოვნადი და კონკურენტუნარიანი. სწავლისა და ცოდნის გარეშე, კომპიუტერულ ეპოქაში გზის გაგნება და ორიენტაცია შეუძლებელია.

უმაღლესი განათლების სისტემის ძირითადი ამოცანაა, რომ ის პასუხობდეს თანამედროვე გამოწვევებს და შესაბამისობაში მოდიოდეს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. ასევე, ეროვნული სისტემების ნაყოფიერებისა და განვითარების ერთ-ერთ ეფექტურ გზად უნდა იქცეს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ინტერნაციონალიზაცია. (განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021)

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, განათლების სამინისტროში უნდა შეიქმნას დამატებითი ინსტიტუტი, რომელიც მოემსახურება ქვეყნის მაშტაბით კვალიფიციური კადრების მიწოდებას, რომელიც აუცილებლივ დაუქვემდებარდება კადრებზე მოთხოვნა- მიწოდებას. ე.ი. ადგილებიდან წამოვიდეს მოთხოვნები ვის, რომელი სპეციალისტი (ექიმი, პედაგოგი, აგრონომი, ვეტერინარი, ზოოტექნიკი, ბიზნესმენი, ტურისტი, ფინანსისტი, დიპლომატი) სჭირდება და ამის მიხედვით ჩაირიცხებიან უმაღლეს სასწავლებლებში, ეს კი ხელს შეუწყობს მათ პროფესიონალურ და სასწავლებლებში პედაგოგების აკადემიური ხარისხის ამაღლებას, რადგან სტუდენტი დაინტერესებული იქნება, მიიღოს ისეთი განათლება, რომელიც დააკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს და რაც მთავარია მის დასაქმებასაც.

თითოეული ქვეყნის ეკონომიკის ამოსავალი წერტილი თუ ვიტყვით, რომ წარმოების სფეროა ტყუილი არ იქნება. ამიტომ უპირველეს ყოვლისა შევეხოთ მას.

- 1992 წლიდან საქართველოში განხორციელდა აგრარული რეფორმები და მათ შორის სოფლის მეურნეობაში. მსხვილი სახელმწიფო მეურნნეობების და კოლმეურნეობების ბაზაზე ჩამოყალიბდა წვრილგლეხური მეურნეობები. ე.ი. მსხვილი კონფიგურაციის მქონე მიწის ფართობები დაუნაწილდათ მცირე ნაკვეთების სახით გლეხებს (1.25 ჰა.), რამაც გამოიწვია წვრილ მრავალნაკვეთებად დანაწევრება, სადაც წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე ლაპარაკი ზედმეტია, ინტენსიური მიწის ფართობები გადავიდა არაინტენსიურ (საძოვრებში) ფართობებში და მიწის დიდი ნაწილი დაუმუშავებელი დარჩა. მაგალითად, 800 ათასი ჰა-ი სახნავიდან მუშავდება მხოლოდ 300-350 ათასი ჰა-რი მიწის ფართობები. სამწუხაროდ გავიდა თითქმის 32 წელი და მიწის რეფორმას, რომელსაც უნდა გადაეჭრა, ორი მნიშვნელოვანი საკითხი, პირველი ეს იყო -მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა, ხოლო მეორე -გადამამუშავებელი მრეწველობის - ნედლეულით უზრუნველყოფა, შეუსრულებელი დარჩა. ჯერ კიდევ არ არის დადგენილი მიწათმფლობელისა და მიწათმოსარგებლის ჩვენთვის მისაღები ორგანიზაციული ფორმები.

როგორც ცხრილი №1 -ს მაჩვენებლების სტრუქტურა გვიჩვენებს, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები 2010 წელს, 1990 წელთან შედარებით შემცირებულია 0.61 %-ით, 2020 წელს 0.70 %-ით და 2021 ლისათვის ასევე 0.70 %-ით, რამაც შესაბამისად გამოიწვია პროდუქციის წარმოების მოცულობის შემცირება 663 ათ. ტონიდან 426 ათას ტონამდე, ე.ი. შემცირდა 337 ათ. ტონით.

რაც შეეხება ვენახის ფართობებსა და ყურძნის

ცხრილი 1

	1990 წ. ათ. ჰა.	2010 წ. ათ. ჰა.	2020 წ. ათ. ჰა.	2021 წ. ათ. ჰა.	2010 წ. 1990 წ. %	2020წ. 1990 წ. %	2021 წ. 1990 წ. %
ნათესი ფართობი სულ (ათ. ჰა.)	701.9	275.3	209.9	211.8	0.39	0.30	0.30

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური2022წ.

ვენახის ფართობი და ყურძნის წარმოების მოცულობა 1950-2021 წ.წ.-ში. ცხრილი№2

	1953 წ.	1990 წ.	2000 წ.	2021 წ.	2021 წ,- 1953 წ. %-ში	2021 წ.- 1990 წ.%-ში
ვენახის ფართობი სულ (ათ. ჰა.)	52.1	103.1	60.0	42.8	-17.9	-58.5
წარმოებულია ყურძენი მთლიანად (ათ.ტ.)	78.1	691.0	210.0	271.6	+3.5	-41.0

ხილის ფართობი და წარმოების მოცულობა 1990წ.-2021 წ. ცხრილი №3

	1985 წ.	2000 წ.	2017 წ.	2021 წ.	2021 წ.-1985წ. %-ში.
ხილის ფართობი სულ (ათ.ჰა)	128.0	48.1	30.3	35.0	-73.6
წარმოებულია ხილი მთლიანად (ათ.ტ.)	750.0	250.0	114.5	233.2	-69.0

ციტრუსებისა და ჩაის ფართობები, წარმოება 1990წ.-2021წ. ცხრილი№4

	1988წ.	2000 წ.	2005 წ.	2021 წ.	2021წ.- 1988წ.%-ში
ციტრუსების ფართობი სულ (ათ.ჰა.)	21.5	3.1	9.4	7.4	-65.6
წარმოებულია სულ (ათ.ტ.)	283.1	40.0	122.3	61.6	-78.25
ჩაის ფართობი სულ (ათ.ჰა.)	18.2	4.8	4.5	4.6	-74.8
წარმოებულია ჩაის ფოთოლი სულ (ათ.ტ.)	182.0	24.0	22.7	2.9	-98.9

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური2022წ.

წარმოების მოცულობას, როგორც ცხრილი №2 -დან ჩანს ვენახის ფართობები 2021 წელს, 1990 წელთან შედარებით, შემცირებულია 58.5%-ით, ხოლო ყურძნის წარმოების მოცულობა მართალია 1953 წელთან შედარებით 3.5-ჯერ გაიზარდა, მაგრამ 1990 წელთან შედარებით შემცირებულია -41%-ით. არ შეიძლება არ ავღნიშნოთ ის გარემოება, რომ ვენახის ფართობი შემცირებულია 1953 წელთანაც კი 17.9%-ით, რაც ყოვლად დაუშვებელია, ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა. მართალია 2021 წელს წარმოებულია 271.6 ათასი ტონა ყურძენი, რაც 29.3 პროცენტით აღემატება 2000 წლის შესაბამის მაჩვენებელს, მაგრამ ბევრად ჩამორჩება 1990 წლის მაჩვენებელს.

ხილით დაკავებულ ფართობის ბაღებს 1985 წელს 128 ათ.ჰექტარი ეკავა, ხოლო საერთო მოსავალი 750 ათ. ტონას აღწევდა. ცხრილი №3 გვიჩვენებს 2021 წელს, 1985 წელთან შედარებით ხილის ფართობი შემცირებულია 73.6%-ით. რამაც თავისთავად ცხადია იმოქმედა წარმოებული პროდუქციის მოცულობაზე და 750 ათ. ტონიდან შემცირებულია 233.2 ათ. ტონამდე. ე.ი. ხილის წარმოების მოცულობა შემცირებულია 73.6 %-ით. მეხილეობის წარმოების მოცულობის შემცირების ძირითადი მიზეზი იგივეა, რაც მევენახეობაში.

საქართველოში ციტრუსებიდან გავრცელებულია მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი, გრეიფურტი,. 1990 წლამდე არსებობდა ციტრუსების წარმოების სპეციალიზებული მეურნეობები, ძირითადად აფხაზეთში, აჭარასა და სამეგრელოში. 1988 წლისათვის ციტრუსებს ეკავა 21.5 ათ. ჰექტარი, აქედან 4.3 ათასი ჰექტარი მოდიოდა საკარმიდამო ნაკვეთებზე.

ციტრუსებისა და ჩაის ფართობები და წარმოების მოცულობა, როგორც ცხრილი №4-დან ჩანს 2021 წელს, 1988 წელთან შედარებით შემცირებულია. კერძოდ, ციტრუსების ფართობები შემცირებულია 65.6%-ით და წარმოების მოცულობა 78.9%-ით.

ქვეყნის ეკონომიკაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა მეჩაიეობას, იგი სოფლის მეურნეობის მაპროფილებელი და მაღალრენტაბელური დარგი იყო და მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის შემოსავლებს. საუკეთესო წლებში საქართველოში აწარმოებდნენ 582 ათას ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს, რაც მზა

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

მსხვიფეხარქოსანი (მფრპ) პირუტყვის სულადობა და პროდუქციის წარმოების მოცულობა 1990-2021წ.წ. ცხრილი №5

	1990 წ.	2000 წ.	2005 წ.	2021 წ.	2021 წ.-1990 წ.%ში.
მფრპ სულადობა სულ (ათ.სული)	1298.3	1177.4	1190.6	928.6	-28.48
წარმოებულია ხორცი სულ (ათ.ტ.)	110.0	107.9	104.7	72.6	-34.00
მერძეულის მიმართულების სულადობა (ათ.სული)	551.7	646.3	709.9	451.7	-18.20
წარმოებულია რძე (ათ.ლიტრი)	659.4	618.9	755.7	587.9	-10.85

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური2020

პროდუქციაში 145 ათას ტონა ხმელ ჩაის იძლეოდა. 2021 წელს, 1988 წელთან შედარებით ჩაის ფართობი შემცირებულია 74.8%-ით. შესაბამისად შემცირებულია ჩაის წარმოების მოცულობაც 98.9%-ით. ქვეყანამ უნდა გაატაროს რადიკალური ღონისძიებები, რათა უმოკლეს ვადაში მეჩაიეობა კვლავინდებურად ერთ-ერთი შემოსავლიანი და მაღალრენტაბელური დარგი გახდეს.

საქართველოში კარგად იყო განვითარებული მეცხოველეობა. არსებობდა მეცხოველეობის მსხვილი კომპლექსები, რომლებშიც პირუტყვი ძირითადად ბაგურ კვებაზე იყო. ასევე მეცხოველეობა წარმოდგენილი იყო კერძო სექტორშიც. როგორც ცხრილი №5-დან ჩანს 2021 წელს, 1990 წელთან შედარებით მფრპ სულადობა შემცირებულია -28.48%-ით. ე.ი. შემცირებულია 369.7 ათ. სულით, ასევე, მერძეულ მიმართულებაშიც, შემცირებულია როგორც სულადობა, ასევე რძის წარმოების მოცულობა, შესაბამისად: -18.20 % და -10.85%-ით. რაც შეეხება ხორცის წარმოებას 2021 წელს, 1990 წელთან შედარებით შემცირებულია -34%-ით. ე.ი. შემცირდა 37.4 ათ.ტონით. ასევე, ჩამოწველილი რძის რაოდენობის მიხედვით 2021 წელი ჩამორჩება 1990 წლის მაჩვენებელს. კერძოდ, თუ 1990 წელს წარმოებული იყო 659.4 ათ.ტონა რძე, 2021 წლისათვის იგი შეადგენდა მხოლოდ 587.9 ათ.ტონას. ე.ი. 71.5 ათ. ტონით ნაკლებს.

მეცხვარეობა ტრადიციულად მთის ზონებშია. კერძოდ, ყაზბეგის, დუშეთის, თიანეთის, ახალგორის რაიონებში, თუმცა ცხვარი ქვემო ქართლში, კახეთში და სამცხე-ჯავახეთშიც ჰყავთ, ხოლო თხა-სამეგრელოსა და აფხაზეთის რაიონებში. 2021 წელს, 1990 წელთან შედარებით ცხვრისა და თხის სულადობა 1833.6 ათ. სულიდან, შემცირდა 929.3 ათ. სულამდე. ე.ი. 49.32 %-ით.

მეღორეობას ქართველი ხალხი ოდითგანვე მისდევდა. ზამთრის პერიოდში ღორის ხორცი ერთ-ერთ ძირითად პროდუქტს წარმოადგენდა. ღორი ჰყავდათ თითქმის ყველა ქრისტიანული სარწმუნოების გლეხურ მეურნეობებში, ასევე არსებობდა მეღორეობის მსხვილი კომპლექსებიც. შემცირებულია, როგორც ღორის სულადობა, ასევე ხორცის წარმოების მოცულობაც. კერძოდ, 2021 წელს, 1990 წელთან შედარებით ღორის სულადობა შემცირდა -81.1%-ით და ხორცის წარმოების მოცულობა -55.2%-ით. რაზეც სხვა ფაქტორებთან ერთად განსაკუთრებით იმოქმედა უკანასკნელ წლებში ღორის ავადმყოფობის გავრცელებამ.

2022 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, საქართველოში სოფლად 1 485.7 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, რაც ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 40.3%-ია. ბოლო 7-8 წლის განმავლობაში საქართველოში ურბანიზაციის დონის ზრდის ტენდენცია გამოიკვეთა. 2012 წლის პირველი იანვრის მონაცემთან შედარებით, სოფელში მცხოვრები მოსახლეობის წილი 32.3% -ით შემცირდა

„საქსტატი" 2017 წლიდან აწარმოებს დასაქმებულთა სექტორული განაწილების სტატისტიკას, რომლის მიხედვითაც, 2017 წელს სოფლის მეურნეობაში 737 ათასი ადამიანი, ხოლო 2018 წელს 10.5%-ით ნაკლები - 659 ათასი ადამიანი იყო დასაქმებული. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა დაახლოებით 75% თვითდასაქმებულია. თუ ცალკე დავთვლით სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა

საშუალო შრომის პროდუქტიულობას, თვეში 407 ლარი გამოდის, რაც ქვეყნის ეკონომიკაში არსებულ საშუალო შრომის პროდუქტიულობაზე 5-ჯე ნაკლები მაჩვენებელია. შრომის პროდუქტიულობით სოფლის მეურნეობა სხვა სექტორებს შორის ბოლო ადგილზეა და ბოლოდან მეორე ადგილზე მყოფ განათლების სექტორსაც კი 2.5-ჯერ ჩამორჩება. სწორედ შრომის პროდუქტიულობის დაბალი დონეა ქართულ სოფლებში და მით უმეტეს, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების სიღარიბის მიზეზი. ამ სექტორში დასაქმებული პირები ვერ გამოიმუშავებენ იმდენ თანხას, რომ სიღარიბეს თავი დააღწიონ.

დასკვნა

ზემოთ მოყვანილი ციფრები მეტყველებს სწორედ იმ შეცდომებზე, რომელიც დაშვებული იქნა მთელი ამ 32 წლის განმავლობაში და ვფიქრობ დროულია გაკეთდეს დასკვნები:

1. განათლების სამინისტროში უნდა შეიქმნას დამატებითი ინსტიტუტი, რომელიც მოემსახურება ქვეყნის მაშტაბით კვალიფიციური კადრების მიწოდებას, რომელიც აუცილებლივ დაუქვემდებარდება კადრებზე მოთხოვნა- მიწოდებას;

2. მეტი ყურადღება დაეთმოს წარმოების სფეროს, რადგან ეს არის ამოსავალი წერტილი, რომელზეც უნდა იდგეს საქართველოს ეკონომიკის განვითარება;

3. უპირველეს ყოვლისა მუნიციპალიტეტებში ტერიტორიული თვალსაზრისით დაჯგუფდეს სოფლების რაოდენობა, რომელთა ბაზაზეც მოხდება მიწების კონსოლიდაცია (კოოპერირება), რის საფუძველზეც ჩამოყალიბდება სააქციო საზოგადოებები;

4. ტერიტორიის სიდიდიდან გამომდინარე დადგინდეს სააქციო საზოგადოების ოპტიმალური ვარიანტი (5 ჰა; 10 ჰა; 20 ჰა; 50 ჰა; 100 ჰა და ა.შ.;

5. თითეულ სააქციო საზოგადოებას განესაზღვროს არსებული ნიადაგობრივ, ბუნებრივ-კლიმატური პირობებიდან და ადგილ-მდებარეობის მიხედვით მიმართულება;

6. დადგინდეს თითეულ სოფელში (თემში) კომლთა რაოდენობა და კომლიდან რამდენი ადამიანია დასაქმებული სოფლის მეურნეობაში და ამის მიხედვით განისაზღვროს ორგანიზაციული ფორმის ოპტიმალური ვარიანტი;

7. დადგინდეს ფართობი სულ: მ.შ. სახნავი, მრავალწლიანი ნარგავები, სათიბი, საძოვარი, ნასვენი მიწები (ჰა.), რომლებიც უნდა მიეკუთვნოს განსაზღვრული მიმართულებების მიხედვით სააქციო საზოგადოებებს (კოოპერატივებს);

8. დადგინდეს სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ფართობები, რათა ვიცოდეთ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ფართობების ოდენობა. თუ სურვილს გამოთქვამენ ფერმერები მათ დამუშავებაზე, სახელმწიფომ იჯარით გასცეს მათზე (ჰა.);

9. დადგინდეს მიწის ფართობების და დარგობრივი მიმართულებების მიხედვით რამდენი ტრაქტორი, კომბაინი, გუთნები, კულტივატორი, სათესი, ფარცხი, შესაწამლი აპარატი და ა.შ. მექნიზირებული საშუალებები სჭირდებათ თითეულ სააქციო საზოგადოებას (კოოპერატივს), გაანგარიშებულ იქნას დასამუშავებელი ფართობების და სხვა შესასრულებელი სამუშაოების მიხედვით;

10. დადგინდეს სად განთავსდეს სერვისცენტრები, რათა ხელმისაწვდომი იყოს ფერმერებისათვის;

11. მიმართულებების მიხედვით დადგინდეს სად განვითარდეს გადამამუშავებელი (ღვინის ქარხნები- ბოთლებში ჩამოსხმით, საკონსერვო ქარხნები, რძისა და ხორცის გადამამუშავებელი და ა.შ.) საწარმოები;

12. სოფლის-მეურნეობის თავისებურებებიდან გამომდინარე ჩამოყალიბდეს ისეთი საგადასახადო, საკრედიტო და სადაზღვევო სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს მეწარმის სტიმულირებას, რათა მეწარმე არ გაკოტრდეს და სურვილი გაუჩნდეს, რომ კვლავ აწარმოოს სოფლის მეურნეობის პროდუქტები და ყოველწლიურად მაქსიმალურად იქნას დაკმაყოფილებული მოსახლეობის მოთხოვნილება სასურსათო პროდუქტებზე. ამასთან ერთად წარმოებულ იქნას სასაქონლო პროდუქცია, რომელსაც ექსპორტზე გაიტანს და დამატებით შემოსავლებს მოუტანს ეროვნულ ეკონომიკას.

დადგა დრო, რომ ახლებურად ვიაზროვნოთ და ვიზრუნოთ საკუთარი ქვეყნის მომავალზე. არ დავუშვათ წარსულის შეცდომები და თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე მომზადდეს კვალიფიციური სპეციალისტები და გზა დავუთმოთ პროფესიონალიზმს, რომელიც ამოიყვანს ჩვენს ქვეყანას არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

SOME ASPECTS OF PROTECTION OF LABOR FREEDOM IN HIGHER EDUCATION INSTITUTION

Copyright © 2023 The Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: March 13, 2023
Published: March 23, 2023
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC18012023-40



Shota Veshapidze
Doctor of Economic Sciences,
Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
https://orcid.org/0000-0003-0933-3648
E-mail: shota.veshapidze@tsu.ge
Cell: (+995) 599 51 80 84

Lasha Mgeladze
PHD, economics
Assistant-Professor
Technical University of Georgia
https://orcid.org/0000-0003-4608-7255
E-mail: lmgeladze@gmail.com
Cell: (+995) 577229889

ABSTRACT

The successful implementation of the activities of the higher educational institution, its prestige and quality depend to a significant extent on the qualifications of the academic staff and the skills of knowledge transfer. Freedom of labor is its main foundation. Therefore, the subject of our research in this article is the provision of freedom of work for academic staff.

The purpose of the study is to reveal the challenges of ensuring the freedom of work of professors, associate and assistant professors, as well as academic staff as a whole, and ways to solve them. The object of research is the international and Georgian legislation on the regulation of labor relations, its protection. For this purpose, we used the methods of analysis, synthesis and critical evaluation of the implementation of the laws regulating the freedom of labor of academic staff in practice.

At the higher educational institutions of Georgia, the practice of signing a labor contract for a specified period of time is established for the contest winners and also then re-announcing the vacant position after the expiration of same contract.

On the one hand, such an approach is ineffective in terms of content and on the other hand, it contradicts the requirements of the international and Georgian legislation, because it increases and contributes to the emergence of threats to academic staff, restrictions on their freedom , manipulation, favoritism, nepotism, and corruption.

According to Article 12 of the Labor Code of Georgia, the winning staff must sign a lifetime contract. There is no other objective circumstance that justifies the conclusion of a fixed-term employment contract. Accordingly, the requirements of the law on higher education, which concern the holding of periodic re-competitions,

contradict the organic law of the labor code, which itself indicates that it must comply with its requirements.

Based on all of the above, increasing the effectiveness of the education system, perfecting the personnel system, promoting teaching by qualified teachers for students as much as possible, bring the Georgian educational legislation closer to the best practices of the European education system, it is advisable for higher educational institutions to get rid of restrictions on the freedom of work of academic staff and to comply with the requirements of international and Georgian labor legislation.

Key words: *System of education, Academic staff, freedom of labor, labor contract, effectiveness of teaching.*

REFERENCES:

1. **Bedianashvili, G., Bichia, Q., & Natsvlishvili, E. (2021).** Development of Entrepreneurial Activity, Labor Market and Modern Challenges of Higher Education. *Globalization and Business*. 12, 21-31. (In Georgian). https://doi.org/10.35945/gb.2021.12.002.

2. **Gvelesiani, M., & Veshapidze, S. (2016).** European Values: What Can We Implement from Them and How Can We Implement Them in Georgia. *Globalization & Business. (1).* 40-46. (In Georgian).

3. **Gvelesiani, M., & Veshapidze, S. (2016).** Values: Limits and Contradictions. *Globalization & Business, (1).* 35-39. (In Georgian).

4. **Lomia, T., & Lomia, E. (2020).** Economic and Political Support of the European Union to Georgia: Retrospective Analysis of the EU-Georgia Relations. International Journal Vallis Aurea, 6(1), 35-43.

5. **Lomia, E. (2017).** The Issues of Cultural Diversity in Communication. THE CAUCASUS, 8.

6. **Lomia, E., & Lomia, T. (2021).** EU Policy in the South Caucasus Region and Georgia's Participation in the European "Neighborhood Policy" and the "Eastern Partnership" programmes – in Georgian

7. **Lomia, E. (2019).** Key Features of the US-Georgia Relations: Mutual Alliance and Strategic Partnership. SECTION II: Literature, Women's Issues, Education, 54.

8. Menshikov, V., Bedianashvili, G., Ruza. O., & Kokin, I. (2021). Mobility in the context of entrepreneurial potential of students under the conditions of the COVID-19 pandemic (Latvia, Georgia). *ENTREPRENEURSHIP AND SUSTAINABILITY ISSUES*. 9(1), 574-589. https://doi.org/10.9770/jesi.2021.9.1(36)

9. **Mgeladze, L. (2017).** The Challenges Georgia Faces in The Fight Against Corruption, Journal Business-Engineering, 2017, #4, pp. 20-25(In Georgian).

10. **Mgeladze, L. (2018).** Public Service Challenges and Ways of Solving Them, "World of Lawyers" Tbilisi, Book, pp. 2567. (In Georgian).

11. **Mgeladze, L. (2019).** National Currency in Georgia, an instrument that impedes or facilitates economic development, Journal The New Economist, #3-4, pp. 7-20. (In Georgian).

12. **Mgeladze, L. (2021).** Development Plan of The Country and Some OF Its Aspectsasp, DOI suffix: 10.36962/NEC62-6303-04202120, #3-4(62-63), Vol. 16, Issue 3, pp. 20-32. (In Georgian).

13. **Papava, V. (2013).** *Economic reforms in post-communist Georgia: twenty years after*. Nova Science Publishers, Incorporated.

14. **Papava, V. (2020).** Becoming European: Challenges for Georgia in the Twenty-First Century. iUniverse.

15. **Shengelia, T. (2018).** Social capital of dominant ethnic groups and its impact on business.

16. **Shengelia, T. (2019).** Research methodology and the impact of social entrepreneurship on the solution of social problems in Georgia.

17. **Sichinava, A., Chikava, M., Veshapidze, S., Sekhniashvili, D., & Pailodze, N. (2013).** Realities of internationalization of higher education in Georgia.

18. **Silagadze, A., Atanelishvili, T., & Silagadze, N. (2022).** Covid Depression and Search for a New Paradigm. *Bull. Georg. Natl. Acad. Sci*, *16*(1).

19. **Shatberashvili O., Nochvai V., Porsescu S., Aslamazishvili N., Gagnidze I., Ivanchenko K., Chilingaryan K., and Pogosyan G. (2021).** Enhancing EaP-EU cooperation in R&I through comparative analyses of EaP national research systems. EaP Civil Society Forum ISBN 978-9941-8-3043-3

20. **Veshapidze, S. (2017).** THE TRADITIONS ORIENTATED ON EUROPEAN VALUES IN GEORGIA. *Sciences of Europe*, (13-4), 14-18.

21. **Veshapidze, S. (2022).** Ilia Chavchavadze on the Methodological Aspects of Economic Processes Research and Modernity. Conference: VII International Scientific Conference. At: Tbilisi, Georgia.

22. **Veshapidze, S. (2023).** About the dangers of academic competition. A collection of works. At: Tbilisi, Georgia. (In Georgian).

23. **Veshapidze, S., & Karchava, L. (2022).** Con-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

tradictions of Globalization under the COVID-19 Pandemic. Bull. Georg. Natl. Acad. Sci, 16(4).

24. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2021). Institutional Evolution of Higher Education in Georgia. The New Economist, 16(2), 1–1. DOI: https://doi.org/10.36962/NEC6102202133

25. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2022). On State Intervention in the Economy through the Budget in Georgia. *WORLD ECONOMY AND INTERNATIONAL ECONOMIC RELATIONS. - International Scientific Collection - Vol. 5.* Kyiv – CUL. https://doi.org/10.5281/zenodo.5807500

26. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2022). Value Choices of the Community in the Context of the COVID-19 Pandemic. *DOI: https://doi. org/10.5281/zenodo, 6373197*.

27. Veshapidze, S., Babuadze, N., & Beridze, T. (2015). EUROPEAN VALUES AND CHOICE OF GEORGIA (HUMAN DIGNITY, LAWFUL SOVEREIGNTY, DEMOCRACY AND WELLBEING). *ACTUAL PROBLEMS OF SUSTAINABLE DEVELOPMENT OF NATIONAL ECONOMIES.(10-11 July, 2015). PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS OF IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY. Tbilisi*, 79-83.

28. Veshapidze, S., Zubiashvili, T., & Chiabrishvili, K. (2021). Globalization and New Opportunities for Georgia. Globalization and Business. 12, 32-36. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.003

29. Veshapidze, S., & Zoidze, G., & Berishvili K. (2021). The economic determinant of the education system. Sciences of Europe, (81-2), 6–12. DOI: https://doi.org/10.24412/3162-2364-2021-81-2-6-12

30. Veshapidze, S., Chiabrishvili, K., Zubiashvili, T., & Zoidze, G. (2021). On the relationship between education and economic security. *Ecoforum Journal*, *10*(3).

31. Veshapidze S., Otinashvili R., Gvarutsidze A., Abuselidze G., Zoidze G. (2022). Modern technologies to overcome the challenges of globalization. Entrepreneurship, 10 (2), 22-32 DOI: 10.37708/ep.swu.v10i2.2

32. Zoidze, G., & Veshapidze, S. (2022). The Modern Economy and Values. *Cambridge Scholars Publishing. P. 125;*

33. Pavliashvili, S. and Gubeladze, D., 2020. The economic challenges in times of Covid-19, circular labor migration, the necessity to switch from a linear to a circular economy and business opportunities. In Social and economic aspects of education in modern society (Scientific and Practical Conference (Vol. 1, No. 3).

34. Pavliashvili, S., 2011. The World Economic Crisis and Georgia. The Caucasus & Globalization, 5(3-4), pp.54-62.

35. CONSTITUTION OF GEORGIA

36. LAW OF GEORGIA ON HIGHER EDUCATION

37. ORGANIC LAW OF GEORGIA – LABOUR CODE OF GEORGIA

38. DECLARATION OF HUMAN RIGHTS

39. INTERNATIONAL COVENANT ON ECONOMIC, SOCIAL AND CULTURAL RIGHTS

40. THE EUROPEAN SOCIAL CHARTER.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შრომის თავისუფლების დაცვის ზოგიერთი ასპექტი

შოთა ვეშაპიძე
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელ. ფოსტა: shota.veshapidze@tsu.ge
ტელ: (+995) 599 51 80 84

ლაშა მგელაძე,
ეკონომიკის დოქტორი
ასისტენტ-პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ელ. ფოსტა: lmgeladze@gmail.com
ტელ: (+995) 577229889

აბსტრაქტი

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის წარმატებული განხორციელება, მისი პრესტიჟი და ხარისხიანობა, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციასა და ცოდნის გადაცემის უნარებზე. შრომის თავისუფლება, მისი უმთავრესი ფუნდამენტია. ამიტომ, ამ სტატიაში ჩვენი კვლევის საგანს შეადგენს აკადემიური პერსონალის შრომის თავისუფლების უზრუნველყოფა.

კვლევის მიზანია პროფესორის, ასოცირებული და ასისტენტ–პროფესორის, მთლიანად აკადემიური პერსონალის შრომის თავისუფლების უზრუნველყოფის გამოწვევების და მათი გადაჭრის გზების გამოვლენა. კვლევის ობიექტია შრომითი ურთიერთობების რეგულირების შესახებ საერთაშორისო და საქართველოს კანონმდებლობა, მისი დაცვა. ამ მიზნით გამოვიყენეთ აკადემიური პერსონალის შრომის თავისუფლების მარეგულირებელი კანონების პრაქტიკაში განხორციელების ანალიზის, სინთეზის და კრიტიკული შეფასების მეთოდები.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, კონკურსში გამარჯვებული პერსონალისთვის დამკვიდრებულია განსაზღვრული ვადით შრომითი ხელშეკრულების გაფორმების და ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ კონკურსის ხელახლა გამოცხადების პრაქტიკა. ასეთი მიდგომა ერთი მხრივ შინაარსობრივად არაეფექტიანია და მეორე მხრივ ეწინააღმდეგება საერთაშორისო და საქართველოს კანონმდებლის მოთხოვნებს, რადგან ზრდის და ხელს უწყობს აკადემიურ პერსონალზე ზეწოლის, მისი თავისუფლების შეზღუდვის, მანიპულირების, ფავორიტიზმის, ნეპოტიზმის, კორუფციის საფრთხეების წარმოშობას. საქართველოს ორგანული კანონი შრომის კოდექსის მუხლი 12–ს თანახმად, კონკურსში გამარჯვებულ პერსონალს უნდა გაუფორმდეს უვადო ხელშეკრულება. არ არსებობს სხვა, რაიმე ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების განსაზღვრული ვადით დადებას. შესაბამისად, უმაღლეს განათლების შესახებ კანონის მოთხოვნები, რომელიც შეეხება პერიოდულად ხელახალი კონკურსების ჩატარებას შინაარსობრივად ეწინააღმდეგება ორგანულ კანონ შრომის კოდექსს, რომელზეც თვითონვე აკეთებს მითითებას, რომ მის მოთხოვნებს უნდა იცავდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განათლების სიტემის ეფექტიანობის გაზრდის, საკადრო სისტემის სრულყოფის, სტუდენტისათვის კვალიფიციური პედაგოგების მიერ სწავლების მაქსიმალურად ხელშეწყობის, მისი ეფექტიანობის ამაღლების, ქართული საგანმანათლებლო კანონმდებლობის ევროპული განათლების სისტემის საუკეთესო პრაქტიკასთან დაახლოების მიზნით, მიზანშეწონილია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა თავი დააღწიონ აკადემიური პერსონალის შრომის თავისუფლების შეზღუდვას და დაიცვან საერთაშორისო და საქართველოს შრომის კანონმდებლობის მოთხოვნები.

საკვანძო სიტყვები: *განათლების სისტემა, აკადემიური პერსონალი, შრომის თავისუფლება, შრომითი ხელშეკრულება, სწავლების ეფექტიანობა.*

შესავალი

განათლების სისტემა საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ ფუძემდებლურ მიმართულებას წარმოადგენს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ქვაკუთხედია. განათლების ხარისხზეა დამოკიდებული მომავალი თაობების ნაყოფიერება და კონკურენტუნარიანობა, რაც თავის მხრივ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის საფუძველს ქმნის. სწორედ მომავალ თაობებზეა დამოკიდებული როგორი ეფექტიანობით გააგრძელებს ქვეყენა ცხოვრებას/განვითარებას. შესაბამისად, ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღებიდან დღემდე აღნიშნულ საკითხს აქტუალობა არ დაუკარგავს.

უმაღლესი განათლების სისტემის ქვაკუთხედს წარმოადგენენ სხვადასხვა საფეხურის პროფესორები. პროფესორია ის პირი, რომელიც ერთის მხრივ პასუხისმგებელია მომავალი თაობების შესაბამისი ცოდნით აღჭურვასა და ცოდნის ხარისხის ამაღლებაზე, მეორეს მხრივ კი პროფესორის კვალიფიკაციასა და ცოდნის გადაცემის უნარებზე პირაპირ არის მიბმული უმაღლესი სასწავლებლის პრესტიჟი და ხარისხიანობა.

შესაბამისად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ჯერ პროფესორის შერჩევის პროცედურის გამართული სისტემა და შემდგომ მისთვის მუშაობაში ხელშეწყობა. ნებისმიერი, მსუბუქად რომ ვთქვათ, არაეფექტიანი მიდგომა (მითუმეტეს თუ ის სისტემურ ხასიათს ატარებს) პროფესორის საქმიანობისადმი, პირდაპირპროპორციულად აისახება მისი შრომის ხარისხზე, რაც ჯაჭვური რეაქციით გავლენას ახდენს მომავალი თაობების ცოდნის ხარისხსა და შესაბამისად ქვეყნის მომავლის ეფექტიანად წარმართვაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გვინდა შევეხოთ აკადემიური თანამდებობის პირის შრომითი ურთიერთობების ერთ-ერთ კომპონენტს აკადემიური თანამდებობის დაკავებისა და შრომითი ურთიერთობების წარმართვის წესს...

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ძირითადი ტექსტი

უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში დამკვიდრებულია, ვადიანი ხელშეკრულებისა და სამსახურში აყვანის კონკურსის ხელახლა გავლის პერიოდული სისტემა - კონკურსის გავლის შემდეგ შესაბამისი აკადემიური თანამდებობის დაკავება პროფესორს შეუძლია გარკვეული ვადით, არანაკლებ ოთხი წლის ვადით (ვადა განისაზღვრება უმაღლესი სასწავლებლის წესდებით) [2 - მუხლი 25, პუნქტი 1]. ვადის ამოწურვის შემდეგ, იმისათვის რომ პროფესორმა შეძლოს მუშაობის გაგრძელება უნდა გაიაროს შერჩევა-შეფასების ახალი კონკურსი. **ანუ პროფესორი ითვლება თანამდებობიდან გათავისუფლებულად და ინიშნება შერჩევა-შეფასების ახალი კონკურსი. ამ ახალ კონკურსში უნდა მიიღოს მონაწილეობა პროფესორმა თავისი თანამდებობაზე ხელახლა დასანიშნად/ მუშაობის გასაგრძელებლად.**

მიდგომა - **ხელშეკრულების ვადის გასვლისთანავე ითვლები სამსახურიდან გათავისუფლებულად და თუ დარჩენა გინდა უნდა გაიარო შერჩევა შეფასების ახალი კონკურსი** ბუნდოვანია, ზრდის სწავლის პროცესის ხარისხის გაუარესების ალბათობას, ასევე ზრდის პროფესორზე ზეწოლის წნეხს და გარკვეულწილად ზღუდავს მის თავისუფლებას (იწვევს ლექციის თემატიკასთან დაკავშირებით აზრის თავისუფლად განვითარებისა მიწოდების შეზღუდვის ალბათობას).

კერძოდ:

1. ადამიანი/პროფესორი, თუ მთელი სახელშეკრულებო ვადის მანძილზე, პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობებს, იცავს შინაგანაწესს, ატარებს კვალიფიციურ და შინაარსობრივად გამართულ ლექციებს, თანამშრომლებს და სტუდენტებს შორის სარგებლობს პატივისცემით, არ გამოთქვამენ მის მიერ ჩატარებული ლექციის შესახებ პრეტენზიებს (სრულად თავსებადია სილაბუსით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან) გაუგებარია, იმ დროს, როცა ანალოგიური საგანის ლექტორი გჭირდება, რატომ ათავისუფლებ სამსახურიდან და ნიშნავ ახალ შესარჩევ კონკურსს - რატომ არ უგრძელებ ხელშეკრულებას უკვე დასაქმებულ ლექტორს და აცხადებ ახალ კონკურსს (წესად გაქვს ეს პრაქტიკა შემოღებული, ხელშეკრულების გაგრძელების შესაძლებლობას არ განიხილავ. აქვე გვინდა დავაზუსტოთ, რომ ჩვენ არ ვგულისხმობთ, რომ ახალი კონკურსის გამოცხადების შესაძლებლობა არ უნდა იყოს, უბრალოდ ამ ფორმის წესად დამკვიდრება არის გაუგებარი და ბუნდოვანი).

2. საკითს ბუნდოვანებას მატებს შემდეგი გარემოებაც - გაუგებარია რა მოწმდება კონკურსით? პროფესორი თუ შეესაბამება თანამდებობისთვის განკუთვნილ მოთხოვნებს და ამას შესარჩევი (საკონკურსო) კომისია ერთხელ უკვე დაადგენს, ოთხ წელიწადში უნარ-ჩვევებს დაკარგავს თუ საგნის შინაარსი დაავიწყდება?

2.1. გაუგებარია, როგორ შეიძლება ოთხი წლის წინ ადამიანი აკმაყოფილებდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და ოთხი წლის მერე ვეღარ დააკმაყოფილოს იგივე საგანთან/საკითხთან მიმართებაში განსაზღვრული მოთხოვნები მაშინ, როცა ოთხი წელი პრაქტიკულ აკადემიურ საქმიანობას ეწევა, ლექციებს კითხულობს შესაბამის სფეროში...

წლებთან ერთად პროფესორი აგროვებს გამოცდილებას, ეცნობა სიახლეებს, კითხულობს საგანთან დაკავშირებული ამათუ იმ მასალას, ლიტერატურას და იღრმავებს ცოდნას იმ საგანში, რომელშიც კითხულობს ლექციას. შესაბამისად, უფრო და უფრო შინაარსობრივ და საინტერესო ხასიათს იძენს ლექცია. ეხმარება მაგისტრანტებს და დოქტორანტებს ნაშრომების დაწერასა და პროფესიული უნარების გაუმჯობესებაში; კრიტიკული და ტავისუფალი აზროვნების განვითარებაში; ამათუ იმ საკითხის/პრობლემის, მოვლენის მრავალმხრივ პრიზმაში დანახვასა და გააზრებაში; შინაარსობრივი, ხელშესახები დასკვნების გამოტანასა და პრაქტიკულად გამართლებული რეკომენდაციების შემუშავების უნარების გამომუშავებაში და ა.შ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ პირი რომელიც აკმაყოფილებს ამა თუ იმ თანამდებობისთვის წაყენებულ მოთხოვნებს, აღჭურვილია შესაბამისი უნარებით და სამსახურში აყვანის შემდგომ კარგავს შესაბამის უნარ-ჩვევებს ან უარესდება მისი მუშაობის ხარისხი, ეს ნიშნავს, რომ **შესაბამისი დაწესებულების/უნივერსიტეტის საკადრო პოლიტიკა თუ სწავლების პროცესის ინსტიტუციური მოდელია არაეფექტიანი.** სხვა შემთხვევაში გაუგებარია, იმ ფონზე როცა პირი ზემოთ ჩამოთვლილი საქმიანობით არის დაკავებული, როგორ შეიძლება დაკარგოს ან გაიუარესოს უნარ-ჩვევები ან „შეუმცირდეს“ კვალიფიკაციის დონე.

3. მოდელის არაეფექტიანობიდან გამომდინარე იზრდება ალბათობა, რომ გეგმიური პერიოდული შერჩევა-შეფასების პროცედურა ჩატარდეს ფორმალურად (მიიღოს ფორმალური ხასიათი), მხოლოდ იმიტომ, რომ კანონი ითხოვს ასე.

პროფესორი უნივერსიტეტში მუშაობისას სრულად ავლენს თავის თავს და შეიძლება ითქვას

ხდება „გამჭვირვალე“ - ძნელია ვერ შეაფასო/დაინახო ადამიანის კვალიფიკაცია და მუშაობის ხარისხი როცა ის სულ მცირე 4 წელი შენს გვერდით მუშაობს. შესაბამისად. უმაღლესი სასწავლების ადმინისტრაციას და დასაქმებულის გარემოცვას უკვე ზუსტი წარმოდგენა აქვს ამა თუ იმ პროფესორის მუშაობის ხარისხზე. უმაღლესი სასწავლებელი ეცდება კვალიფიციური პროფესორის შენარჩუნებას, მისთვის უფრო მეტი კომფორტული გარემოს შექმნას, რომ სხვა სასწავლებელში არ გადავიდეს სამუშაოდ და შერჩევა-შეფასების პროცესი მიიღებს ფორმალურ ხასიათს - ჩატარდება იმიტომ, რომ კანონი ითხოვს ამას და არა იმიტომ, რომ რეალურად ჩატარების საჭიროება არსებობს. ან რა უნარები უნდა შეუფასო ადამიანს მაშინ, როცა მასთან მუშაობის შედეგად სრული წარმოდგენა გაქვს (ისედაიცი) მის კვალიფიკაციასა და უნარებზე.

4. აღნიშნული მიდგომა ზრდის მოტივაციის შემცირების/გაქრობის ალბათობას - იმის მაგივრად რომ კარგი მუშაობის შედეგად წახალისდეს პროფესორი - გაუგრძელდეს ხელშეკრულება ავტომატურად შემდეგი ვადით, დაწინაურდეს, გაეზარდოს ხელფასი; სტიმულის/ხარისხის გაზრდისთვის ვქმნით „სადამსჯელო“ ინსტრუმენტს/მექანიზმს - გათავისუფლება და ხელახლა შერჩევა შეფასების კონკურსის გავლა.

5. უმაღლესი განათლების სისტემა, შეიძლება ითქვას, ერთადერთი სფეროა, სადაც მსგავსი მოდელი ფუნქციონირებს. გაგიჭირდებათ მოძებნოთ სადმე ოფიციალურად დაკანონებული მოდელი, სადაც ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, პირი ჭირდებოდეს დამსაქმებელს და მაინც ათავისუფლებდეს და შერჩევა შეფასების კონკურსის გავლას ითხოვდეს.

6. განათლების სისტემის არსებული მოდელი ითვალისწინებს მინიმალურ ყოველწლიურ/პერიოდულ მოთხოვნებს პროფესორ-მასწავლებლებისათვის. მაგ. სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება, დოქტორანტის ან მაგისტრანტის ხელმძღვანელობა, სასწავლო კურსის თემატიკის დახვეწა, აქტუალურ საკითხებზე კვლევის ჩატარება და ა.შ. ანუ, პროფესორის კვალიფიკაცია კონკურსის გარეშეც მოწმდება მის მიერ გაწეული საქმიანობის შესაბამისად. ეს კიდევ ამყარებს ჩვენ მიდგომას პროცედურის არაეფექტიანობისა და ფორმალურობის შესახებ.

6.1. კანონმდებლობიდან გამომდინარე, მაგალითად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული აკადემიური პერსონალს, რომლებსაც შრომითი ხელშეკრულების ვადა განესაზღვრათ განსაზღვრული ვადით, უკვე მუშაობენ 1 წელი ან 1 წელზე მეტი, ასრულებენ მინიმალურ კვლევით სტანდარტებს და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს, უნდა გაუფორმდეთ უვადო ხელშეკრულება. მათი მაღალ საფეხურზე გადაყვანა უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ შრომითი სტაჟისა და კომპეტენციის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილი წესით. მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა საფეხურის აკადემიურ პერსონალს, შრომის ანაზღაურების დონეებს შორის განსხვავება განესაზღვროთ ნათლად გამოკვეთილი გონივრულობის ფარგლებში, შესრულებული სამუშაოების მოცულობიდან გამომდინარე, დამკვიდრებული მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე.

7. განსაზღვრული ვადით შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების და პერიოდულად ხელახალი კონკურსის გავლის პრაქტიკა, რითაც ეძლევა დისკრეცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტებს და აკადემიურ საბჭოებს, პერიოდულად აკონტროლონ აკადემიური პერსონალი არაეფექტიანია. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს აკადემიურ პერსონალზე ზეწოლის, მისი თავისუფლების შეზღუდვის, მანიპულირების, ფავორიტიზმის, ნეპოტიზმის, კორუფციის საფრთხეებს. იზრდება ალბათობა იმისა, რომ უნივერსიტეტების ფაკულტეტების აკადემიური საბჭოებმა ყოველგვარი ობიექტური კრიტერიუმების შემუშავების, დაწესების გარეშე მიიღონ ამა თუ იმ პირის საქმიანობის გაგრძელების გადაწყვეტილება; შეიმუშაონ კრიტერიუმები არაობიექტურად და კრიტერიუმები მოარგონ ამა თუ იმ პირს პერსონალურად; ისარგებლონ ორმაგი სტანდარტების გამოყენებით, შერჩევით, უკანონოდ, უსამართლოდ.

8. გაუგებარია მიდგომის შინაარსი, დასაზუსტებელია რა პრობლემის გადაჭრას ემსახურება შერჩევა-შეფასების პერიოდული ვალდებულება შინაარსობრივად - რა პრობლემას მოაგვარებს ის ან რა პრობლემის წარმოქმნისგან დააზღვევს უმაღლესი განათლების სისტემას და ა.შ.

ვფიქრობთ, საინტერესოა, საკითხი სამართლებრივ ჭრილშიც განვიხილოთ.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკადემიური თანამდებობის დაკავების და მისთვის შრომითი ხელშეკრულების გაფორმების წესი, რეგულირდება უმაღლესი განათლების შესახებ სა-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ქართველოს კანონით. აღნიშნული კანონის მუხლი 34. - აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი, პუნქტი 1–ის თანახმად: „აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს, ხოლო მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური თანამდებობის დაკავება ხდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ დადგენილი წესით."

ამავე კანონის 35-ე მუხლის 2,3,4 პუნქტებით არის გაწერილი პრიფესორ-მასწავლებლის თანამდებობაზე არჩევის ვადები

ხოლო კანონის მუხლი 36-ის მიხედვით, რომელიც არეგულირებს აკადემიური პერსონალის შრომითი ურთიერთობებს, აღნიშნულია, რომ აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება საქართველოს შრომის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით (პუნქტი 1).

შრომის კოდექსის მიხედვით კი, რომელიც ორგანული კანონია:

„მუხლი 12. შრომითი ხელშეკრულების დადება

1. შრომითი ხელშეკრულება იდება ზეპირი ან წერილობითი ფორმით, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით.

2. თუ შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა 1 თვეს აღემატება, აუცილებელია შრომითი ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადება.

3. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შრომითი ხელშეკრულების ვადა არის 1 წელი ან 1 წელზე მეტი, შრომითი ხელშეკრულება განსაზღვრული ვადით იდება მხოლოდ შემდეგი საფუძვლის არსებობისას:

ა) შესასრულებელია კონკრეტული მოცულობის სამუშაო;

ბ) შესასრულებელია სეზონური სამუშაო;

გ) სამუშაოს მოცულობა დროებით იზრდება;

დ) ხდება შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლით სამუშაოზე დროებით არმყოფი დასაქმებულის ჩანაცვლება;

ე) შრომითი ხელშეკრულება ითვალისწინებს „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ შრომის ანაზღაურების სუბსიდირებას;

ვ) არსებობს სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების განსაზღვრული ვადით დადებას."

5. თუ განსაზღვრული ვადით შრომითი ხელშეკრულება დადებულია ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის გარეშე, მიიჩნევა, რომ დადებულია უვადო შრომითი ხელშეკრულება.

მაშასადამე, როდესაც აკადემიური პერსონალი მიიღებს კონკურსში მონაწილეობას, რომლის დროსაც მოწმდება კონკურსანტის უნარები რამდენად ეფექტიანად შეუძლია დაკისრებული მოვალეობების შესაბამისად წარმართოს სწავლების პროცესი, ორგანული კანონი შრომის **კოდექსის მუხლი 12–ს თანახმად, კონკურსში გამარჯვებულ პერსონალს უნდა გაუფორმდეს უვადო ხელშეკრულება.** არ არსებობს სხვა, რაიმე ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების განსაზღვრული ვადით დადებას. შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ უმაღლეს განათლების შესახებ კანონის მოთხოვნები, რომელიც შეეხება პერიოდულ კონკურსების ჩატარებას შინაარსობრივად ეწინააღმდეგება შრომის კოდექსს - ორგანულ კანონს რომელზეც თვითონვე აკეთებს მითითებას/ბმას

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით:

„შრომის თავისუფლება უზრუნველყოფილია. ყველას აქვს სამუშაოს თავისუფალი არჩევის უფლება. უფლება შრომის უსაფრთხო პირობებზე და სხვა შრომითი უფლებები დაცულია ორგანული კანონით."

თუ გავითვალისწინებთ, რომ პირს ორჯერ უწევს ერთი და იგივე დაწესებულებაში, ერთი და იგივე თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გავლა, დავინახავთ, რომ გარკვეულწილად იზღუდება შრომის თავისუფლება/უფლება. შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ პერიოდული კონკურსის პროცედურა ეწინააღმდეგება კონკურენციას.

ასევე, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული პროცედურა/მიდგომა ეწინააღმდეგება: ადამიანის უფლებათა დეკლარაციის 21–ე და 23–ე მუხლების შესაბამის პუნქტებს, „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტს. მე–6 მუხლს, ევროპის სოციალური ქარტიის პირველი მუხლს.

დასკვნა

შეიძლება ითქვას, რომ მიუღებელი და არაეფექტიანია კონკურსში გამარჯვებული პერსონალისთვის ვადიანი შრომითი ხელშეკრულების გაფორმება და გარკვეული პერიოდის შემდეგ ახალი კონკურსის პერიოდულად ჩატარება. გაუგებარია,

რა მოწმდება ამით. პროფესორი თუ შეესაბამება თანამდებობისთვის განკუთვნილ მოთხოვნებს და ამას შესარჩევი (საკონკურსო) კომისია ერთხელ უკვე დაადგენს, პერიოდულად კონკურსების ხელახლა გამოცხადება ყოვლად გაუმართლებელი, არაეფექტიანი და საფრთხეების შემცველია. ამ მიდგომით უმაღლეს სასწავლებლებს ვაძლევთ დისკრეციას, აკონტროლოს პერსონალი კონკურსების პერიოდულად ჩატარებით. ასეთი მიდგომა ზრდის და ხელს უწყობს აკადემიურ პერსონალზე ზეწოლის, მისი თავისუფლების შეზღუდვის, მანიპულირების, ფავორიტიზმის, ნეპოტიზმის, კორუფციის საფრთხეების წარმოშობას, რაც დაუშვებელია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განათლების სიტემის ეფექტიანობის გაზრდის, საკადრო სისტემის სრულყოფის, სტუდენტისათვის კვალიფიციური პედაგოგების მიერ სწავლების მაქსიმალურად ხელშეწყობის, ქართული საგანმანათლებლო კანონმდებლობის ევროპული განათლების სისტემის საუკეთესო პრაქტიკასთან დაახლოების, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გაუქმდეს კონკურსების პერიოდულად ჩატარების ვალდებულება და დაცული იქნეს ადამიანის უფლებათა დეკლარაციის, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის. საქართველოს კონსტიტუციის და ორგანული კანონი შრომის კოდექსის მოთხოვნები. კერძოდ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული აკადემიური პერსონალს, რომლებსაც შრომითი ხელშეკრულების ვადა განესაზღვრათ განსაზღვრული ვადით, უკვე მუშაობენ 1 წელი ან 1 წელზე მეტი, ასრულებენ მინიმალურ კვლევით სტანდარტებს და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს, უნდა გაუფორმდეთ უვადო ხელშეკრულება. მათი მაღალ საფეხურზე გადაყვანა უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ შრომითი სტაჟისა და კომპეტენციის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილი წესით. მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა საფეხურის აკადემიურ პერსონალს, შრომის ანაზღაურების დონეებს შორის განსხვავება განესაზღვროთ ნათლად გამოკვეთილი გონივრულობის ფარგლებში, შესრულებული სამუშაოების მოცულობიდან გამომდინარე, დამკვიდრებული მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

KAZAKHSTAN TO SUPPLY CRUDE OIL TO GERMANY

Copyright © 2023 The Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: February 09, 2023
Published: March 02, 2023
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC18012023-48

Giorgi Garakanidze,
The South Caucasus Energy Security researcher, LL.M,
Tbilisi State University
ORCID ID: https://orcid.org/0000-0002-5166-7257
E-mail: Garakanidze.Giorgi@yahoo.com

ABSTRACT

Kazakhstan has secured approval from Moscow to use its pipeline infrastructure in order to transport 300,000 tons of oil to Germany in the first quarter of 2023, a state-run company (Kaztransoil) announced on January 13, 2023.

Deliveries in January, 2023 amounted to 20,000 tons. Kazakhstan plans to export up to 1.5 million tons to Germany via Russia in 2023, but in the future, the volume could be increased to 7 million tons.

As for now, oil transportation through Russia seems more beneficial to Kazakhstan, whereas the so-called Middle Corridor transportation route, which involves shipping oil tankers that would cross the Caspian Sea before unloading crude onto freight transport traveling through Azerbaijan, Georgia and Turkey is still limited in capacity and far costlier than using Russian infrastructure. Besides, the ongoing and frozen conflicts in Caucasus could in future endanger the security of Kazakhstan's oil supply to the EU countries via South Caucasus.

Keywords: *Kazakhstan, Russia, Germany, Oil, Pipeline, Ukraine, Middle Corridor, Energy Security, Energy.*

REFERENCES:

1. Kazakhstan seeks to supply Germany with oil via Druzhba, FSU Oil&Gas Monitor, issue 1208, P.8, January 4, 2023.

2. Kazakhstan to send oil to Germany via Russian pipeline, FSU Oil&Gas Monitor, issue 1210, P. 10, January 18, 2023.

3. Kumenov, Almaz, Kazakhstan to send oil to Germany via Russian pipeline, Eurasianet.org, January 13, 2023.

4. Veshapidze, S., & Karchava, L. (2022). Contradictions of Globalization under the COVID-19 Pandemic. Bull. Georg. Natl. Acad. Sci, 16(4).

5. Lomia, E. (2020). The Evaluation of Russia's foreign policy towards Georgia following the 'Rose Revolution'. Journal of Liberty and International affairs, 6(1), 112-128.

6. Lomia, E. (2020). Political Realism in International Relations: Classical Realism, Neo-realism, and Neo-Classical Realism. International Journal of Social, Political and Economic Research, 7(3), 591-600.

7. Lomia, E. (2020). Russia's Growing Threats to Georgia and Georgia's European Aspiration. The New Economist, 15(2, 2020), 1-1.

8. Lomia, E. (2020). Historical narratives of the "New World Order. The New Economist, 15(1), 1-1.

9. Lomia, E., & Karchava, L. (2021). Georgian ethnopolitical conflict as a subject of confrontation between the USA and Russia. Journal of Liberty and International Affairs, 7(2), 90.

10. Pavliashvili, S. and Gubeladze, D., 2020. The economic challenges in times of Covid-19, circular labor migration, the necessity to switch from a linear to a

circular economy and business opportunities. In Social and economic aspects of education in modern society (Scientific and Practical Conference (Vol. 1, No. 3).

11. Pavliashvili, S., 2011. The World Economic Crisis and Georgia. The Caucasus & Globalization, 5(3-4), pp.54-62.

12. Ritchie, Michael, Kazakh Crude Oil and Gas Condensate Production, April 2022, Energy Intelligence Group, May 18, 2022.

13. Sorge, Petra; Longley, Alex; Germany Says It Won't Be Buying Russian Oil at All in 2023, Bloomberg.com, December 20, 2022.

14. European Council – Council of the European Union, EU sanctions against Russia explained, February 6, 2023.

15. Williams, Alison; Fincher, Christina, Russia to ship 20,000 tons of oil from Kazakhstan to Germany via Druzhba pipeline in Feb, Reuters, January 31, 2023.

16. Garakanidze, Zurab, "On Some Problems of Caspian Oil Transportation in the European Union," For.ge, December 3, 2022, (in Georgian).

17. Garakanidze, Zurab, "Impact of the Russia-Ukraine War on the Formation of the European Gas Market," for.ge, June 27, 2022, (in Georgian).

ყაზახური ნავთობი გერმანიისთვის

გიორგი გარაყანიძე,
სამართლის მაგისტრი,
ენერგოუსაფრთხოების მკვლევარი, LL.M,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელ.ფოსტა: Garakanidze.Giorgi@yahoo.com

აბსტრაქტი

ყაზახეთმა რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებისაგან მიიღო თანხმობა გამოიყენოს რუსული მილსადენების ინფრასტრუქტურა გერმანიაში 2023 წლის პირველი ნახევრისთვის 300 000 ტონა ნავთობის ექსპორტის მიზნით.

გერმანიაში ზემოაღნიშნული საბადოდან 2023 წლის იანვრის თვეში განხორციელდა საერთო ჯამში 20000 ტონა ნავთობის ექსპორტირება. ოფიციალური ასტანა მიმდინარე წლის განმავლობაში გეგმავს რუსეთის გავლით გერმანიაში 1,5 მილიონი ტონა ნავთობის ექსპორტს, თუმცა აღნიშნული მოცულობა შეიძლება კიდევ გაიზარდოს 7 მილიონ ტონამდე. არსებული მდგომარეობით, ოფიციალური ასტანასთვის რუსეთის ნავთობსადენების ინფრანტრუქტურის გამოყენებით გერმანიაში ნავთობის ექსპორტი წარმოადგენს ფინანსურად მეტად მისაღებ ვარიანტს, ვიდრე ე.წ „შუა დერეფნის სატრანსპორტო მარშრუტი", რომელიც მოიაზრებს ყაზახეთის ქ. აქთაუს პორტიდან ტანკერებით ნედლი ყაზახური ნავთობის ტრანსპორტირებას ჯერ აზერბაიჯანში, ხოლო შემდგომ, საქართველოსა და თურქეთის ტერიტორიაზე გამავალი მილსადენების გამოყენებით - ევროპის ქვეყნებში. ამასთან, კავკასიის რეგიონში არსებულმა მიმდინარე და ე.წ „გაყინულმა" კონფლიქტებმა შესაძლოა მომავალში საფრთხე შეუქმნან სამხრეთ კავკასიის გავლით ყაზახური ნავთობის ექსპორტს ევროპის ქვეყნებში.

საკვანძო სიტყვები: *ყაზახეთი, რუსეთი, გერმანია, ნავთობი, უკრაინა, მილსადენი, „შუა დერეფანი", ენერგოუსაფრთხოება, ენერგეტიკა.*

შესავალი

რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომის ფონზე რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ მოქმედი სანქციებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია 2022 წლის 5 დეკემბრიდან საზღვაო გზით ტრანსპორტირებული რუსული ნავთობის „ფასის ზღვრის "- ბარელზე 60 დოლარის დაწესება და 2023 წლის 5 თებერვლიდან ევროკავშირისა და „დიდი შვიდეულის" ქვეყნებში რუსული ნავთობპროდუქტების ემბარგოს დაწყება. ბუნებრივია, ომმა შეაფერხა მიწოდების გლობალური ჯაჭვები და დაასუსტა მსოფლიო ეკონომიკა, მაგრამ ეს ახალ შესაძლებლობას აძლევს ყაზახეთს. კერძოდ, ვინაიდან აშშ-მ და ევროპამ სანქციები დაუწესეს რუსულ ნავთობს, ყაზახეთს ეძლევა შანსი გაზარდოს ევროპაში ნავთობის ექსპორტი 2023-სა და მომდევნო წლებში.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებამდე ევროკავშირი მიზნად ისახავდა

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

2027 წლისთვის მთლიანად შეეზღუდა რუსულ წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულება. ომამდე ბრიუსელი ასევე აწარმოებდა მოლაპარაკებებს ნორვეგიასთან გაზმომარაგების გაზრდაზე, რომელიც ახლა ევროპის გაზის ყველაზე დიდ მიმწოდებელს წარმოადგენს. შესაბამისად, რუსეთის მხრიდან უკრაინაში წარმოებულმა აგრესიულმა პოლიტიკამ დააჩქარა ევროკავშირის ბაზრიდან რუსული ენერგოკომპანიების განდევნის პროცესი, ხოლო აღნიშნული ფაქტი ყაზახეთს საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად აწარმოოს მოლაპარაკებები ევროკავშირის ქვეყნებთან საკუთარი ნედლი ნავთობის ექსპორტის გაზრდის მიმართულებით.

გერმანიის ბაზრის მზარდი ენერგომოხმარების დასაკმაყოფილებლად ყაზახეთი განიხილავდა როგორც რუსეთის ტერიტორიის გვერდის სრულიად ავლით (აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის ტერიტორების გამოყენებით), ასევე რუსეთის ტერიტორიაზე არსებული ნავთობის სატრანზიტო ინფრასტრუქტურით („დრუჟბას“ მილსადენით) საკუთარი ენერგორესურსების ექსპორტს ბელარუსისა და პოლონეთის ტერიტორიების გავლით. 2023 წლის თებერვლის მდგომარეობით ოფიციალურმა ასტანამ რუსეთის ხელისუფლებისგან მიიღო თანხმობა გერმანიაში ნედლი ნავთობის ექსპორტისთვის რუსული ენერგო-ინფრასტრუქტურის სატრანსპორტო დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებით.

ყაზახეთის ნავთობის ევროპული პერსპექტივა

ყაზახეთის ნავთობის სატრანსპორტო სახელმწიფო კომპანიის (*Kaztransoil*) 2023 წლის 13 იანვრის განცხადებით, ოფიციალურმა ასტანამ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებისაგან მიიღო თანხმობა გამოიყენოს რუსული მილსადენების ინფრასტრუქტურა გერმანიაში 2023 წლის პირველი ნახევრისთვის 300 000 ტონა ნავთობის ექსპორტის მიზნით. საგულისხმოა, რომ ევროკავშირის მიერ რუსული ნავთობის იმპორტზე დაწესებული სანქციები ეხება ძირითადად საზღვაო მარშრუტებით ტრანპორტირებულ ბუნებრივ რესურსებს, თუმცა აღნიშნული სანქციები მესამე ქვეყნებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ რუსეთის ტერიტორია საკუთარი ნავთობპროდუქციის ევროკავშირის ქვეყნებში ტრანსპორტირებისთვის.

Kaztransoil-ის განცხადების მიხედვით, დასავლეთ ყაზახეთში მდებარე ნავთობისა და გაზის საბადო „ყარაჩაგანაკი“-დან მოპოვებული ბუნებრივი რესურსების გერმანიაში ტრანსპორტირება განხორციელდება რუსეთის, ბელარუსისა და პოლონეთის ტერიტორიებზე გამავალი „დრუჟბა“-ს ნავთობსადენის ინფრასტრუქტურის გამოყენებით.

გერმანიაში ზემოაღნიშნული საბადოდან 2023 წლის იანვრის თვეში განხორციელდა საერთო ჯამში 20000 ტონა ნავთობის ექსპორტირება.

ყაზახეთის ენერგეტიკის მინისტრის, ბოლატ აკჩულაკოვის 2023 წლის 13 იანვრის განცხადებით, ოფიციალური ასტანა მიმდინარე წლის განმავლობაში გეგმავს რუსეთის გავლით გერმანიაში 1,5 მილიონი ტონა ნავთობის ექსპორტს, თუმცა აღნიშნული მოცულობა შეიძლება კიდევ გაიზარდოს 7 მილიონ ტონამდე[1]. აკჩულაკოვის თქმით, ყაზახეთსა და რუსეთში არსებული ენერგოინფრასტრუქტურა მზადყოფნაშია დამატებითი ნავთობის მოცულობის ტრანპსორტირებისთვის. მისი თქმით, ყაზახეთსა და რუსეთს შორის არ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მოცულობასთან დაკავშირებით და გერმანული მხარის თანხმობის შემთხვევაში შესაძლებელია კიდევ უფრო მეტი ნავთობის ტრანსპორტირება გერმანელი მომხმარებლების საყოფაცხოვრებო საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით.

საგულისხმოა, რომ ოფიციალური ასტანასთვის რუსეთის მხრიდან საკუთარი ინფრასტრუქტურის გამოყენებით ყაზახური ნავთობის ტრანსპორტირებაზე თანხმობის მოპოვება საკმაოდ დიდ პოლიტიკურ გამოწვევას წარმოადგენდა. აღნიშნული ნაბიჯით ყაზახეთი ცდილობს რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდგომ ევროპის ქვეყნების მიერ სანქცირებული რუსული ნავთობპროდუქტების ჩანაცვლებას საკუთარით. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ხელისუფლებასთან წარსულში გაფორმებული ხელშეკრულებებით ყაზახეთი 2034 წლამდე საკუთარი ტერიტორიის გავლით ახორციელებს რუსული ნავთობის ტრანსპორტირებას ჩინეთში. აღნიშნულმა ენერგო-სატრანსპორტო მარშრუტმა სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა რუსული ეკონომიკისთვის ევროკავშირის მიერ რუსულ ენერგოსექტორზე დაწესებული სანქციების შემდგომ. შესაბამისად, არსებული ვითარება ოფიციალურ ასტანას შესაძლებლობას აძლევს ოფიციალური მოსკოვისგან დამოუკიდებლად გააფორმოს ხელშეკრულებები დასავლეთთან ენერგოსექტორში თანამშრომლობის კუთხით.

1 აღსანიშნავია, რომ რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებამდე რუსეთი გერმანიაში ყოველწლიურად ახორციელებდა 20 მილიონი ტონა ნავთობის ექსპორტს.

რუსეთ-ყაზახეთის ენერგოთანამშრომლობის გავლენა საქართველოზე

საქართველოს ენერგოუსაფრთხოებისა და ბუნებრივი რესურსების სატრანზიტო შესაძლებლობების კონტექსტში განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ 2022 წლის განმავლობაში ყაზახეთი იკვლევდა ხელსაყრელ მარშრუტებს რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით ევროპის ბაზარზე საკუთარი ნავთობისა და გაზის ექსპორტირებისათვის. ამ მიმართულებით გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა პროექტს, რომლითაც 2017 წლის მარტიდან დაიწყო მუშაობა საბორნე გადასასვლელმა „ალატი-აქტაუ-პორტი“,[1] რომლითაც ყაზახეთის ქ. აქთაუს პორტიდან ტანკერებით ნედლი ყაზახური ნავთობის ტრანპსორტირება ხდება ჯერ აზერბაიჯანში, ხოლო შემდგომ, საქართველოსა და თურქეთის ტერიტორიაზე გამავალი მილსადენების გამოყენებით - ევროპის ქვეყნებში. ზემოაღნიშნულ პროექტში ცენტრალური აზიური ქვეყნების შესაძლო ჩართულობა გაზრდის საქართველოს, როგორც ენერგორესურსების სატრანზიტო ქვეყნის მიმზიდველობას, აგრეთვე ხელს შეუწყობს დამატებითი ენერგო-ინვესიტიციების მოზიდვას საქართველოში, რაც მომავალში დადებითად აისახება ქვეყნის უსაფრთხოების სეგმენტზე.

ამასთან აღსანიშნავია, რომ რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით ყაზახური ნავთობის ტრანსპორტირება, გაცილებით მეტ ხარჯებთან არის დაკავშირებული, ვიდრე რუსეთის ტერიტორიაზე უკვე არსებული მილსადენების სისტემის სატრანზიტოდ გამოყენება. გასათვალისწინებელია, რომ სომხეთ-აზერბაიჯანს შორის ყარაბაღის ირგვლივ მიმდინარე კონფლიქტმა სამომავლოდ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ნავთობსადენების უსაფრთხოებას კავკასიის რეგიონში. ამასთან, დამატებითი საფრთხის შემცველია რუსული საოკუპაციო ჯარების სიახლოვე საქართველოს ტერიტორიაზე გამავალ ნავთობსადენებთან, რაც ოფიციალური მოსკოვის მხრიდან შესაძლოა გამოყენებულ იქნას ალტერნატიული სატრანზიტო მარშრუტის საბოტაჟისთვის. დამატებითი ფინანსური ხარჯების გარდა, კასპიის ზღვის მონაკვეთის ტანკერებით გადალახვა საგრძნობლად ზღუდავს ტრანსპორტირებადი ნავთობის საერთო მოცულობას, ხოლო ირანის ისლამური რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის თანხმობის გარეშე გამორიცხულია ახალი დამაკავშირებელი მილსადენის გაყვანა ყაზახეთსა და აზერბაიჯანს შორის.

ყაზახური ნავთობის საკუთარ ტერიტორიაზე ტრანსპორტირების სანაცვლოდ შესაძლოა, რომ რუსეთის ფედერაციამ მიიღოს უფლება, იმავე მოცულობით მოახდინოს საკუთარი ნედლი ნავთობის ექსპორტი ყაზახეთის შიდა ბაზარზე. ზემოაღნიშნული სცენარის განხორციელების შემთხვევაში იქმნება საკმაოდ მომგებიანი ეკონომიკური გარემო როგორც ყაზახეთისთვის, ასევე რუსეთისა და გერმანიისთვის. კერძოდ, ევროკავშირის ენერგეტიკულ ბაზარზე რუსული „დრუჟბას“ მილსადენით შევა დიდი რაოდენობით ყაზახური ნავთობი, რაც შესაძლოა რუსეთმა თავისი სანქციონირებული *Urals*-ის მარკის ნავთობში შესარევად და ევროკავშირის სანქციების („ფასის ზღვარი“ - *Price Cap*) გვერდის ავლისთვის გამოიყენოს.

დასკვნა

ამრიგად, რუსეთ-უკრაინის ომმა კიდევ უფრო რელიეფურად წარმოაჩინა სამხრეთ კავკასიის გეოეკონომიკური მნიშვნელობა ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფაში. კერძოდ,

- ომი კასპიისპირეთის ქვეყნებს ენერგო რესურსების მსოფლიო ბაზარზე გატანის ახალ, ალტერნატიულ შესაძლებლობებს აძლევს და მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ჩვენი რეგიონის უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე;

-– კარგი იქნება ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირებაში ჩართულ აზერბაიჯანულ და ქართულ რკინიგზებთან, საბორნე გადასასვლელებთან და პორტებთან “ლოგისტიკური ჯაჭვის” შექმნა და ყაზახური მხარისათვის შეთავაზება. ამ პროცესში აქტიურად უნდა ჩაერთვნენ საქართველოს დიასპორის და დიპლომატიის წარმომადგენლები ცენტრალურ აზიაში. უნდა მოხდეს წარმოების და გადაზიდვების მიმართულებების კომპლექსური ანალიზი და ამით პოტენციური მოსაზიდი ტვირთის, განსაკუთრებით ენერგო რესურსების, დადგენა;

- აზერბაიჯანის და საქართველოს პორტებმა ტვირთბრუნვის უფრო მეტად დივერსიფიცირება უნდა მოახდინონ, რათა მათ პერსპექტივაში შეძლონ ნავთობის და ნავთობპროდუქტების მზარდი გადაზიდვების ჰარმონიზაცია “ნაყარი ტვირთებისა” და კონტეინერების გადაზიდვებთან.

1 Паром Курык (Казахстан) – Алят (Баку, Азербайджан). http://www.simplextrans.com/ru/parom-kuryk-alyat-baku

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

A NEW ERA OF BANKING IN GEORGIA: PROSPECTS OF DIGITAL BANK

Copyright © 2023 The Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: March 10, 2023
Published: March 20, 2023
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC18012023-52

Teimuraz Goderdzishvili,
PhD student, Georgian Technical University
ORCID iD - https://orcid.org/0009-0006-4541-7645
E-mail: temurgoderdzishvili@yahoo.com
Cell: (+995) 599102555

ABSTRACT

The development of digital banks represents an essential innovation in the banking industry. These banks are financial institutions that offer services such as online banking, mobile banking, and virtual debit cards. Digital banks offer customers low fees, a convenient interface, innovative products, and 24-hour banking services. Digital banks are expected to become even more popular and offer many innovative products.

During the last few decades, the banking sector in Georgia has developed very actively. Leading banks have created many innovative products and listed their shares on the stock exchange. In the business sector, banks have created a certain trend associated with innovation and development. The regulations, policies, etc. adopted by the National Bank of Georgia have established a single standard in the banking sector, thereby protecting the interests of consumers and creating common rules for the financial sector. Along with constant changes, the National Bank of Georgia also develops new directions for the banking sector and tries not to lag behind world trends.

On November 17, 2022, the National Bank of Georgia issued the first license for digital banking activities. According to the digital bank licensing principles developed by the National Bank, after assessing the applicant's business model and compliance with the requirements established by law, a banking license is issued with certain restrictions, and a deadline is set for the full operation of the digital bank and the gradual filling of the minimum amount of supervisory capital. What opportunities does the development of digital banks in Georgia give us, and what is the experience of international digital banks?

In the modern world, the development of globalization and information technology has made it urgent to move the economy to a fundamentally new level. It should be noted that the use of existing methods in the modern economy does not contribute to rapid growth, and the digital economy allows a country to significantly change its position on the world stage. This leads to the generally accepted opinion that the development of the country as a whole is possible with the effective introduction of modern technologies in all spheres of the economy. An ecosystem is a group of organizations that provide continuous interaction with each other using Internet services, technological platforms, government services, and information systems. Initially, the active implementation of digital technologies began in the banking sector, which controlled gold and currency flows. As the most important segment of the economy of any state, the financial sector today reflects the most progressive solutions in digitalization. The innovations proposed in this area aim to improve financial efficiency through better and more personalized services, as well as lower costs for clients. Today, the financial system is undergoing a new evolution

in the digital economy. Digital transformation is transforming business models and the banking sector, from the creation of internet banking to remote financial transactions. Thus, modern technological evolution serves as the basis for the sustainable and long-term growth of banks' activities.

Keywords: *Digital bank, Innovative products, Modern technologies, POS terminal, Digitalization, E-commerce, FinTech, Online orders.*

REFERENCES:

1. Organic Law of Georgia on the National Bank of Georgia. www.nbg.ge.
2. On determining the minimum amount of supervisory capital for commercial banks. www.nbg.ge.
3. National Bank of Georgia, digital bank licensing rules. www.nbg.ge.
4. National Bank of Georgia, list of licensed commercial banks. www.nbg.ge
5. Digital bank: strategies to launch a digital bank/Chris Skineer. Singapore: Marshall Cavendish Buniss (2014)
6. Karjaluoto, Glavee-Geo, Ramdhony, Shaikh and Hurpaul, H. Karjaluoto, R. Glavee-Geo, D. Ramdhony, A.A. Shaikh, A. Hurpaul Consumption values and mobile banking services: Understanding the urban-rural dichotomy in a developing economy. (2021)
7. Aptekman A., Kalabin V., Klintsov V. et al. (2017). Digital Russia: New Reality. Digital McKinsey, 133 pages.
8. https://www.bankopedia.org/digital-banks, (Last checked - 10 March, 2023);
9. https://fintechmagazine.com/banking/top-10-digital-banks-of-2022, (Last checked - 10 March, 2023).

საბანკო საქმიანობის ახალი ერა საქართველოში: ციფრული ბანკის პერსპექტივები

თეიმურაზ გოდერძიშვილი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
ORCID ID - https://orcid.org/0009-0006-4541-7645
ელ. ფოსტა: temurgoderdzishvili@yahoo.com
ტელ: (+995) 599102555

აბსტრაქტი

ციფრული ბანკების განვითარება წარმოადგენს მნიშვნელოვან სიახლეს საბანკო ინდუსტრიაში. აღნიშნული ბანკები არიან ფინანსური ინსტიტუტები, რომლებიც მოიცავენ ისეთ მომსახურებას, როგორიცაა ონლაინ ბანკინგი, მობილური ბანკინგი და ვირტუალური სადებეტო ბარათები. ციფრული ბანკი მომხმარებელს სთავაზობს დაბალ საკომისიოს, მოსახერხებელ ინტერფეის, ინოვაციურ პროდუქტებს და საბანკო მომსახურებას 24 საათის განმავლობაში. ციფრული ბანკები, სავარაუდოდ, კიდევ უფრო პოპულარულები გახდებიან და შემოგვთავაზებენ ბევრ ინოვაციურ პროდუქტს.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოში საბანკო სექტორი ძალიან აქტიურად განვითარდა. წამყვანმა ბანკებმა შექმნეს ბევრი ინოვაციური პროდუქტი, გაიტანეს თავიანთი აქციები საფონდო ბირჟაზე. ბიზნეს სექტორში ბანკებმა შექმნეს გარკვეული ტრენდი, რომელიც სიახლესთან და განვითარებასთან ასოცირდება. საქართველო ეროვნული ბანკის მიერ მიღებულმა რეგულაციებმა, პოლიტიკებმა და ა.შ. ერთიანი სტანდარტი ჩამოაყალიბა საბანკო სექტორში, რითაც დაიცვა მომხმარებლების ინტერესები და შექმნა საფინანსო სექტორის თამაშის საერთო წესები. მუდმივ ცვლილებებთან ერთად, საქართველოს ეროვნული ბანკიც ავითარებს საბანკო სექტორის ახალ მიმართულებებს და ცდილობს არ ჩამორჩეს მსოფლიო ტენდენციებს.

2022 წლის 17 ნოემბერს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ციფრული საბანკო საქმიანობის პირველი

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ლიცენზია გასცა. ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული ციფრული ბანკის ლიცენზირების პრინციპების თანახმად, აპლიკანტის ბიზნეს მოდელისა და კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების შემდგომ, საბანკო ლიცენზია გარკვეული შეზღუდვებით გაიცემა, ხოლო ციფრული ბანკის სრულად გამართვისა და საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობის მოთხოვნის ეტაპობრივად შევსებისთვის ვადა განისაზღვრება. რა შესაძლებლობებს გვაძლევს საქართველოში ციფრული ბანკების განვითარება და როგორია საერთაშორისო ციფრული ბანკების გამოცდილება?

თანამედროვე მსოფლიოში, გლობალიზაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ, აქტუალური გახადა ეკონომიკის ფუნდამენტურად ახალ დონეზე გადასვლა. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ეკონომიკაში არსებული მეთოდების გამოყენება ხელს არ უწყობს სწრაფ ზრდას, ხოლო ციფრული ეკონომიკა საშუალებას აძლევს ქვეყანას მკვეთრად შეცვალოს თავისი პოზიცია მსოფლიო ასპარეზზე. ეს იწვევს საყოველთაოდ მიღებულ მოსაზრებას, რომ ეკონომიკის ყველა სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტური დანერგვით არის შესაძლებელი მთლიანობაში ქვეყნის განვითარება. ეკოსისტემა არის ორგანიზაციების გაერთიანება, რომელიც უზრუნველყოფენ ერთმანეთთან მუდმივ ურთიერთქმედებას ინტერნეტ სერვისების, ტექნოლოგიური პლატფორმების, სახელმწიფო სერვისების და საინფორმაციო სისტემების გამოყენებით. თავდაპირველად ციფრული ტექნოლოგიების აქტიური დანერგვა დაიწყო საბანკო სექტორში, რომელიც აკონტროლებდა ოქროს და სავალუტო ნაკადებს და როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი სეგმენტი, ფინანსური სექტორი დღეს ასახავს ყველაზე პროგრესულ გადაწყვეტილებებს დიჯიტალიზაციაში. ამ სფეროში შემოთავაზებული ინოვაციები მიზნად ისახავს ფინანსური ეფექტურობის გაუმჯობესებას უკეთესი და უფრო პერსონალიზებული მომსახურებით, აგრეთვე კლიენტების დაბალი დანახარჯებით. დღეს ფინანსური სისტემა ციფრული ეკონომიკის ახალ ევოლუციის პროცესს გადის. ციფრული ცვლილებებით იხვეწება ბიზნეს მოდელები და საბანკო სექტორი, ინტერნეტ ბანკინგის შექმნიდან დისტანციურ ფინანსურ ტრანზაქციებამდე. ამრიგად, თანამედროვე ტექნოლოგიური ევოლუცია ემსახურება ბანკების საქმიანობის მდგრადი და გრძელვადიანი ზრდის საფუძველს.

საკვანძო სიტყვები: *ციფრული ბანკი, ინოვაციური პროდუქტები, თანამედროვე ტექნოლოგიები, პოს ტერმინალი, ელექტრონული კომერცია, დიჯიტალიზაციაში, FinTech, ონლაინ შეკვეთები.*

შესავალი

ჩვენ შევდივართ ინოვაციების ახალ ეპოქაში, რომელიც შეცვლის მომხმარებელთა დამოკიდებულებას ბანკების მიმართ. იმისათვის, რომ გავიგოთ, როგორ განვითარდება საბანკო საქმე ციფრულ ეპოქაში, მნიშვნელოვანია გავიგოთ რა არის ციფრული ბანკი და რა მომსახურების შეთავაზება შეუძლია. ფინანსური სეგმენტის ევოლუცია დაჩქარდება და საბანკო სეგმენტში ციფრული ცვლილებები მნიშვნელოვანი უპირატესობა გახდება კონკურენტულ გარემოში. ბანკების ციფრული ტრანსფორმაცია შესაძლებლობას აძლევთ მათ, რომ გაიგონ კლიენტების საჭიროებები. ციფრულ ეკონომიკაში საბანკო სექტორი მზად უნდა იყოს ახალი მომსახურების შეთავაზებისთვის. ციფრული ტრანსფორმაციის პროცესი მოიცავს სხვადასხვა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას არსებული ბიზნეს მოდელების ოპტიმიზაციისა და მუშაობის გაუმჯობესების გზით. ეს პროცესი გაგებულია, როგორც უახლესი ტექნოლოგიების მუდმივი დანერგვა, რაც გამოიწვევს ციფრულ ცვლილებებს საბანკო სექტორში და ქვეყნის ეკონომიკაში.

ძირითადი ნაწილი

ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ, მსოფლიო ბაზარზე განხორციელებულმა ბევრმა ცვლილებამ, განაპირობა საბანკოს სექტორში ახალი პროცესის გააქტიურება. მიმდინარე ციფრული ტრანსფორმაცია და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა აჩენს კითხვებს იმ ცვლილებების შესახებ, რომლებსაც კომპანიები განიცდიან. პასუხი მოიცავს ინოვაციური ბიზნეს მოდელების შექმნას ან არსებულ ბიზნეს მოდელებში ცვლილებებსა და გაუმჯობესებას.

თანამედროვე კომპანიების მნიშვნელოვანი ასპექტია ახალი ტექნოლოგიების დანერგვით ბიზნესის ეფექტურობის გაზრდა. ახალი ბიზნეს მოდელები სხვადასხვა ინდუსტრიებში კონკურენციას უწევენ ერთმანეთს, ბაზრის ცვლილებებზე მოსარგებად, საწარმოებს უწევთ ადაპტირება, გადახედვა არსებული ტექნიკური ბაზის და მისი

შეცვლა. ციფრული ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი მამოძრავებელი ფაქტორია ფინანსური სექტორი. ფინანსური სისტემის ციფრული ტრანსფორმაცია ხდება (FinTech) ტექნოლოგიის დახმარებით, რომლებიც კონკურენციას უწევენ ძირითად ფინანსურ ინსტიტუტებს. ციფრული ბანკები ხასიათდებიან მომსახურების სწრაფი უზრუნველყოფით, ცვლილებების მუდმივი ტემპებით და ინოვაციური პროდუქტებით. ციფრული ტრანსფორმაცია გულისხმობს საბანკო მომსახურების მიწოდებას თანამედროვე ტექნოლოგიური მეთოდების გამოყენებით, ბანკის ფილიალების რაოდენობის შემცირებას და კლიენტების მომსახურებას ონლაინ რეჟიმში. ციფრული განვითარება ბანკების ეფექტურობის გაუმჯობესების მთავარი შესაძლებლობაა. ციფრული ტრანსფორმაციის მთავარი უპირატესობა კომერციული ბანკებისთვის არის ხარჯების შემცირება და ოპერაციების დაჩქარება. საერთაშორის კვლევებმა აჩვენეს, რომ პროცესების დიჯიტალიზაცია ბანკებს აძლევს საშუალებას პროდუქტის შექმნის და რეალიზაციის ღირებულება შეამცირონ 40-60%-ით. სრულმასშტაბიანი ციფრული ტრანსფორმაციები ბანკებს საშუალებას მისცემს კიდევ უფრო კონკურენტუნარიანები გახდნენ ფინანსურ ინდუსტრიაში. ციფრული ბანკები მომხმარებლებს უკვე სთავაზობენ პროდუქტებსა და მომსახურებას, რომელიც მოიცავს:

• **24/7 წვდომა:** ციფრული ბანკები გვთავაზობენ 24/7 წვდომას საბანკო მომსახურებას, რაც ნიშნავს, რომ მომხმარებლებს შეუძლიათ მართონ თავიანთი ანგარიშები დღის ან ღამის ნებისმიერ დროს.

• **ონლაინ ბანკინგი:** ეს პროდუქტი საშუალებას აძლევს მომხმარებლებს შევიდნენ თავიანთ ანგარიშებზე აპლიკაციის ან ვებ გვერდის საშუალებით. შეამოწმონ ანგარიშებზე ნაშთი, ნახონ ტრანზაქციების ისტორია, გადახდები ან გადარიცხვები.

• **მობილური ბანკინგი:** მობილური ბანკინგი მომხმარებელს საშუალებას აძლევს შევიდნენ თავიანთ ანგარიშებზე მობილური აპლიკაციის საშუალებით. კლიენტებს შეუძლიათ შეამოწმონ თავიანთი ანგარიშის ნაშთები, ნახონ თავიანთი ტრანზაქციის ისტორია, განახორციელონ გადახდები ან გადარიცხვები და დეპოზიტი.

• **ვირტუალური სადებეტო ბარათები:** ვირტუალური სადებეტო ბარათები არის უნიკალური პროდუქტი, რომელსაც სთავაზობენ ციფრული ბანკები. ისინი საშუალებას აძლევენ მომხმარებლებს განახორციელონ ონლაინ შესყიდვები ფიზიკურად სადებეტო ბარათების გამოყენების გარეშე. მომხმარებელს შეუძლია შექმნას ვირტუალური სადებეტო ბარათის ნომერი, რაც ხელს უწყობს თაღლითობისგან დაცვას.

• **ახალი ანგარიშის გახსნა:** ახალი ანგარიშის გახსნა, სერვისცენტრში მისვლის გარეშე. ციფრული ბანკი საფოსტო მისამართზე აგზავნის ბარათს.

• **კრიპტოვალუტით ვაჭრობა:** ზოგიერთი ციფრული ბანკი ასევე გვთავაზობს კრიპტოვალუტით ვაჭრობას, რაც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს შეიძინონ და გაყიდონ კრიპტოვალუტები, როგორიცაა Bitcoin, Ethereum და Litecoin.

• **სესხები:** შემოსავლებზე და საკრედიტო რეიტინგზე დაყრდონით დისტანციურად სესხის აღება.

• **ლოიალურობის პროგრამა:** ფასდაკლებების შეთავაზება სხვადასხვა ტიპის ონლაინ მაღაზიებში.

• **ვალუტის კონვერტაცია:** ყველა ძირითადი ვალუტის კონვერტაცია, საუკეთესი კურსით.

• **საერთაშორისო გადარიცხვები:** შემცირებული გადარიცხვის საკომისიო და დაჩქარებული ჩარიცხვის პერიოდი.

ციფრულ ბანკებს აქვთ უფრო დაბალი საკომისიო ვიდრე არსებულ ბანკებს, რადგან მათ აქვთ დაბალი საოპერაციო ხარჯები. ეს ნიშნავს, რომ მომხმარებელს შეუძლია დაზოგოს ფული ანგარიშის მომსახურების საფასურზე, ბანკომატზე, გადარიცხვებზე და სხვა გადასახადებზე. შეიძლება ვთქვათ, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ოპერაციებს არსებული ბანკებიც გვთავაზობენ და რა არის მაშინ განსხვავება მათ შორის? პირველი და მნიშვნელოვანია, რომ ციფრულ ბანკებს არ აქვთ ფილიალები, მომხმარებელს არ სჭირდებათ ბანკში მისვლა, ყველაფერი შეიძლება გაკეთდეს დისტაციურად. მარტივად ხდება აპლიკაციის ჩამოტვირთვა და ანგარიშის გახსნა. მომხმარებლის იდენტიფიკაცია ახდენენ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, აპლიკაციის მეშვეობით იგზავნება პირადობა/პასპორტი და კამერის მეშვეობით ხდება პირის ვერიფიკაცია. აღნიშნული რათქმაუნდა დაზოგავს მომხმარებლის დროს, ენერგიას და ამცირებს მის ხარჯებს. ციფრული ბანკი სწავლობს მომხმარებლების ძირითად საჭიროებებს, შესრულებული ტრანზაქციების მიხედვთ ხელოვნური ინტელექტის სისტემა ახდენს მონაცემების ანალიზს და შემდეგ სთავაზობს მომხმარებელს მისთვის საინტერესო პროდუქტებს.

იმისათვის, რომ ქვეყანაში განვითარდეს ციფრული ბიზნესი, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო სტრუქტურებიც განვითარდნენ ამ მიმართულე-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ბით. შევაფასოდ რამდენად არის საქართველოში განვითარებული სახელმწიფო სერვისები და თუ არის შესაძლებელი ეს სერვისები მოვარგოთ ციფრულ ბანკებს. საქართველოში ციფრული მომსახურება ძალიან აქტიურად ვითარდება, სახელმწიფო სერვისები მომხმარებლებს სთავაზობენ დისტანციურად მრავალი დოკუმენტის მომზადებას, რაც პოზიტიურ გავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებაზე, ბიზნესზე და ჩვეულებრივ მოქალაქეებზე. დღეს ბანკებს აქვთ შესაძლებლობა, საჯარო რეესტრიდან მომხმარებლების თანხმობით გამოითხოვონ მათი პერსონალური ინფორმაცია და გაუწიონ დაჩქარებული მომსახურება, აგრეთვე მოახდინონ საკრედიტო ბიუროში ინფორმაციის გადამოწმება კლიენტის გადახდისუნარიანობის შესახებ, შემოსავლების სამსახურიდან გამოითხოვონ შემოსავლების შესახებ ინფორმაცია, რაც შესაძლებლობას იძლევა დააჩქაროს სესხის დამტკიცების პროცესი. ზემოთ აღნიშნული სერვისების გამოყენებით, იზოგება ადამიანების დროს და შესაძლებლობა ეძლევათ გამონთავისუფლებული დრო მიმართონ უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე.

ქვეყანაში ბოლო წლებში გაიზარდა უნაღდო ანგარიშსწორება, ყოველწლიურად უფრო ნაკლები ადამიანი იყენებს გადახდის დროს ნაღდ თანხას, ბევრ ადამიანს ურჩევნია ბარათით მოახდინოს გადახდა და აღარ ატაროს ჯიბით ნაღდი თანხა. ქვეყნის ეკონომიკისთვის აღნიშნულ ოპერაციები არის დადებითი სიგნალი, ვინაიდან უფრო მეტია დადასტურებული ტრანზქციები და იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები. ბიზნესები, რომლებიც არ იყენებდნენ გადახდის აპარატებს მიხვდნენ, რომ მომხმარებლებისგან წამოვიდა მოთხოვნა უნაღდო ანგარიშსწორები, იმისათვის, რომ კომპანიებმა არ დაკარგონ პოტენციური კლიენტები ისინი უკვე გადახდას ტერმინალით სთავაზობენ. ერთ-ერთი ყველაზე ზრდადი მიმართულება არის ელექტრონული კომერცია, პანდემიის და შემდეგ პერიოდში გაიზარდა მოთხოვნა ონლაინ ვაჭრობაზე, ადამიანები უკვე სახლიდან გაუსვლელად არჩევენ მათთვის სასურველ ნივთებს და ახდენენ შეძენებს, რაც მათთვის დამატებითი კომფორტია.

თუ ჩვენ შევხედავთ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკას, ნათლად დავინახავთ, რომ ბოლო ხუთ წელიწადში გაიზარდა პოს ტერმინალებით შესრულებული ოპერაციების თანხის მოცულობაც და რაოდენობაც. 2018 წლიდან 2022 წლის ჩათვლით არის აღმავალი დინამიკა უნაღდო ოპერაციების. 2018 წელს ბოლოს პოსტერმინალებზე შესრულებული თანხის მოცულობა შეადგენდა 4,068,135,384 ლარს, ხოლო 2022 წლის ბოლოს 14,446,136,744 ლარს, რაოდენობრივად შესრულებული ოპერაციები 129,632,535 და 461,091,824 ტრანზაქცია, ეს ციფრები მეტყველებს, რომ ორივე პარამეტრში ზრდა თითქმის 72% აღწევს.რაც შეეხება ელექტრონულ კომერციით შესრულებული ოპერაციებს, 2018 წელს ბოლოს შესრულებული თანხის მოცულობა შეადგენდა 2,687,193,768 ლარს და 2022 წელის ბოლოს 8,165,976,957 ლარი, ზრდამ შეადგინა თითქმის 67%, ხოლო რაოდენობრივად შესრულებული ოპერაციები 2018 წელს იყო 43,789,739 და 2022 წელს 114,805,666 ტრანზაქცია, აქაც ზრდა არის 62% მდე. თუ ვიმსჯელებთ დიაგრამა **№1 და №2** მრუდით, ბოლო 5 წელიწადში პოს ტერმინალებზე გატარებული ოპერაციების ზრდაა, აგრეთვე ელექტრონული კომერციით შესრულებულ ოპერაციებზე. პოს ტერმინალით შესრულებული ოპერაციები არის ფინანსური ოპერაციების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტრუმენტი. ბარათით გადახდები სხვადასხვა ტიპის მაღაზიებში არის ძალიან მოთხოვნადი, განსაკუთრებით თუ კი მომხმარებელი შეძენას ახდენს მსხვილი ტექნიკის ან სამშენებლო მასალის, სადაც დახარჯული თანხა არის მოცულობითი.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ელექტრონული კომერცია საქართველოში პანდემიის პერიოდში განვითარდა, როდესაც შეზღუდული იყო გადაადგილება და სასურველი ნივთების მარტივად შეძენა. ამ პერიოდში მოთხოვნა გაიზარდა სწრაფი კვების მიტანის სერვისზე. კომპანია Glovo და Wolt-ტი საქართველოში ერთ-ერთი მოწინავე კომპანიები გახდნენ, მათ მომხმარებლებს შესთავაზეს აპლიკაცია, რომელიც საშუალებას იძლევა მამომხმარებელმა სახლიდან გაუსვლელად შეეკვეთოს სასურველი საკვები. ასეთი ტიპის მომსახურებაზე მოთხოვნა იმდენად გაიზარდა, რომ დღესაც კი ადამიანები აქტიურად იყენებენ აღნიშნულ მომსახურებას. მომხმარებლებს ონლაინ შეძენები, აპლიკაციის და ვებ საიტის გამოყენებით, ფაქტობრივად ყველა კომპანიამ შესთავაზა. ბანკებმა აქტიურად დაიწყეს თავიანთი ციფრული აპლიკაციების იტეგრაცია ინტერნეტ მაღაზიებში, სადაც სთავაზობენ, როგორც ბარათით გადახდას, აგრეთვე ონლაინ განვადებებს და სხვა ციფრულ პროდუქტებს. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ელექტრონული კომერციით დახარჯული თანხის მოცულობა ნაკლებია ვიდრე პოს ტერმინა-

დიაგრამა №1: საქართველოში გამოშვებული საბარათე მოწყობილობებით შესრულებული ოპერაციები თანხების მიხედვით.



დიაგრამა №2: საქართველოში განლაგებული საბარათე მოწყობილობებით შესრულებული ოპერაციები თანხების მიხედვით.

წყარო:https://cutt.ly/N4MlDwl

ლით შესრულებული ოპერაციები. ელექტრონული კომერცია ამ ეტაპზე წარმატებით მუშაობს წვრილ და საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე, სადაც ადამიანს არ სჭირდებათ ადგილზე მისვლა და ნივთის დათვალიერება.

მოცემული დიაგრამებით, შეგიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში ციფრული ფინანსური სექტორი აქტიურად ვიტარდება და აგრეთვე მომხმარებლების მოთხოვნა იზრდება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საფინანსო სექტორის განვითარება, ასევე დადებითად მოქმედებს სხვა სფეროების განვითარებაზე. დღეს უკვე შესაძლებელია აპლიკაციებით, ვებ გვერდების მეშვეობით ტაქსის გამოძახება, სადაც მომხარებლებმა წინასწარ იცის, რამდენ ხანში მოვა ტაქსი და რა დრო დასჭირდება მივიდეს სასურველ ადგილას. ძალიან აქტიურად

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ვითარდება საკურიერო მომსახურება და სხვა სფეროები. ქვეყანაში ციფრული მიმართულების განვითარება, სწორი მიმართულებით მიდის და ციფრული ბანკის არსებობა დღეს უკვე საჭიროებას წარმოადგენს.

საქართველოს ეროვნული ბანკმა უკვე გამოაქყვენა დოკუმენტი „ციფრული ბანკის ლიცენზირების პრინციპები" შესახებ, საიდანაც შეიძლება დეტალურად გავიგოთ რა წესები და მოთხოვნები უნდა დაიცვან კომპანიებმა, რომლებსაც სურთ საქართველოში აიღონ ციფრული ბანკის ლიცენზია. ამ დოკუმენტის თანახმად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს პროცესი არის რამოდენიმე ეტაპიანი და ციფრული ბანკის საბოლოოდ ჩამოსაყალიბლებლად დაინტერესებულ სუბიექტს შეიძლება დასჭირდეს 3 წლამდე ვადა. ვინაიდან დღეს უკვე გაიცა პირველი ციფრული ლიცენზია სს "პეისერა საქართველოზე" ვფიქრობ უახლოს მომავალში უნდა ველოდოთ ახალ და საინტერესო ციფრულ პროდუქტებს. მე-15 ბანკი ქართულ ბაზარზე შექმნის კონკურენციას, ეს იქნება სტიმული ბანკებისთვის კიდე მეტად განავითარონ ციფრული ტექნოლოგიები.

მსოფლიო მასშტაბით, უკვე არიან აღიარებული საერთაშორისო ციფრული ბანკები, რომლებმაც შეძლეს უმოკლეს დროში მიეღწიათ წარმატებისთვის, კონკურენცია გაეწიათ წამყვანი ბანკებისთვის და შესულიყვნენ ბაზარზე თავიანთი პროდუქტებით. წამყვანი ციფრული ბანკების არიან:

Chime - ონლაინ ბანკინგი ყოველთვიური გადასახადის გარეშე;

Revolut - დაბალი და გამჭვირვალე გადასახადები, ვალუტის კონვერტაცია საშუალო გაცვლითი კურსით;

Digital International Bank - ჰიბრიდული და ხარისხის მომსახურება ;

SoFi- ბანკომატებში თანხის განაღდება უფასოდ;

Ally - კონკურენტული ტარიფები და დაბალი გადასახადები;

N26 - პროდქუტები, რომლებიც იდეალურია ხშირი მოგზაურებისთვის.

წყარო: https://www.bankopedia.org/digital-banks

დასკვნა

ციფრულ ბანკებს აქვთ პოტენციალი, მოახდინონ რევოლუცია საბანკო ინდუსტრიაში. საქართველო, როგორც სწრაფად განვითარებადი ქვეყანა, ციფრულ ბანკს შეუძლია უამრავი სარგებელი მოუტანოს ჩვენ ქვეყანას და მოსახლეობას. ციფრულ ბანკებს შეუძლიათ უზრუნველყონ იაფი, ხელმისაწვდომი და მოსახერხებელი სერვისები მომხმარებლებისთვის, იგი შეიძლება იყოს ეფექტური ინსტრუმენტი ქვეყნის შორეულ რეგიონებში მომსახურეობის გასაწევად. იმისათვის, რომ ქვეყანა უფრო წარმატებული გახდეს, მნიშვნელოვანია განვითარდეს ციფრული ტექნოლოგიები. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და მთავრობამ ერთობლივად უნდა შექმნან შესაძლებლობა იმ კომპანიებისთვის, ვისაც აქვთ სურვილი ციფრული ტექნოლოგიებით შემოვიდნენ საქართველოს ბაზარზე.

გარდა ამისა, საქართველოში ახალგაზრდა თაობა უკვე მიჩვეულია ციფრული ტექნოლოგიების ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებას. ძალიან მნიშვნელოვანია ტექნოლოგიური მიმართულებით ახალგაზრდების ცოდნის გაღრმავება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება. ციფრულ ბანკებზე მოთხოვნა წლიდან წლამდე იზრდება, რაც თავის მხრივ მოითხოვს კვალიფიციურ IT სპეციალისტებს, ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე კადრებს და სხვებს. საქართველო ჯერ არ არის მზად, რომ ეს მოთხოვნა დააკმაყოფილოს საერთაშორისო ან შიდა ბაზარზე, ამიტომ უფრო მეტი რესურსი უნდა ჩაიდოს განათლებაში. სწორი ინფრასტრუქტურის, ტექნოლოგიისა და კანონმდებლობის პირობებში, ციფრულმა ბანკმა შეიძლება ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას მცირე და საშუალო ბიზნესში. ციფრული ბანკები შესაძლებლობას მისცემენ ბიზნეს, სწრაფად შეასრულონ ევროპის ქვეყნებში გადარიცხვები, ამ გადარიცხებზე დაზოგონ თანხები, მიიღონ მეტად მოსახერხებელი მომსახურება და განავითარონ ბიზნესი უფრო სწრაფად. ციფრულ ბანკს შეუძლია უფრო ინკლუზიური, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი ფინანსური სისტემის შექმნა, რომელიც სარგებელს მოუტანს მთელ ქვეყანას.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

THE IMPORTANCE OF QUALITY MANAGEMENT AND ITS IMPACT ON THE ORGANIZATION'S REPUTATION

Copyright © 2023 The Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: February 28, 2023
Published: March 16, 2023
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC18012023-59

Madona Kantidze,
PhD student in Business Technologies
Technical University of Georgia
ORCID ID: https://orcid.org/0009-0005-0930-5673
E-mail: madona.kantidze@gmail.com
Cell: (+995) 598114525

ABSTRACT

The purpose of the study is to investigate how important quality management control is and whether it affects the reputation of the organization. The research presented in the article is based on various studies and scientific literature. The quality assessment methods, types, measures of customer satisfaction level and the main characteristics that are important for improving the reputation of the organization are discussed. The reviewed studies and literature have clearly shown that the quality of service has a direct impact on the reputation of the organization. Improving product or service quality management approaches and tools helps companies to increase their competitiveness. Constant care to meet customer needs has a positive impact on the company's reputation. The company's existing customers play a big role in attracting new customers, and for this the good reputation of the organization is a decisive factor.Quality control approaches to product manufacturing, whether they serve to produce with fewer defects, efficient delivery, or more, have a major impact on a company's ultimate success. Often, it is precisely in this respect that successful companies become market leaders.Those organizations that constantly monitor the management of service or product quality have a better reputation than others.

Keywords: *quality, reputation, service, customer, loyalty.*

REFERENCES:

1. Grigolashvili, G. (2017). «Operations Management», Tbilisi: SEU Publishing House, Pg: 107-136 (in Georgian)

2. Kotler, F. Armstrong, G. (2013). «Fundamentals of Marketing», 14th edition,. Tbilisi: Bakur Sulakauri Publishing House, Pg: 329-335 (in Georgian)

3. Kazakhashvili, N. (2019). «Ensuring, managing and improving the quality of medical services». Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Pg: 8-28 (in Georgian)

4. Berger C, B. R. (1993).» Kano's Methods for Understanding Customer-defined Quality». Center for Quality Management Journal, Pg: 3-36.

5. Oakland, J. (2014). «TOTAL QUALITY MANAGEMENT AND OPERATIONAL".

6. Sampson, Q. (2019). "Why Is Quality Important for a Business?"

7. Lee J. Krajewski, Larry P.Ritzman. (2011) "Operations Management: Processes and Supply Chains". Pg: 8-12.

8. Robert G. Eccles, Scott C. Newquist. (2007) "Reputation and Its Risks" (Identify, quantify, and manage the risks to your company's reputation long before a problem or crisis strikes.) Pg: 4-7

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ხარისხის მართვის მნიშვნელობა და მისი გავლენა ორგანიზაციის რეპუტაციაზე

მადონა კანტიძე,
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ელ. ფოსტა: madona.kantidze@gmail.com
ტელ: (+995) 598114525

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია გამოიკვლიოს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ხარისხის მართვის კონტროლი და ახდენს თუ არა გავლენას იგი, ორგანიზაციის რეპუტაციაზე. სტატიაში წარმოდგენილი კვლევა, ეყრდნობა სხვადასხვა კვლევებსა და სამეცნიერო ლიტერატურას. განხილულია ხარისხის შეფასების მეთოდები, სახეები, მომხმარებელთა კმაყოფილების დონის საზომები და ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც მნიშვნელოვანია ორგანიზაციის რეპუტაციის გაუმჯობესებისათვის. მიმოხილულმა კვლევებმა და ლიტერატურამ, ცხადად აჩვენა, რომ მომსახურების ხარისხს პირდაპირი გავლენა აქვს ორგანიზაციის რეპუტაციაზე. პროდუქტისა თუ მომსახურების ხარისხის მართვის მიდგომების და ინსტრუმენტების დახვეწა, კომპანიებს ეხმარება კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში. მუდმივი ზრუნვა მომხმარებლის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, დადებითად აისახება კომპანიის რეპუტაციაზე. კომპანიის არსებული მომხმარებლები დიდ როლს თამაშობენ ახალი მომხმარებლების მოზიდვის მხრივ, ამისათვის კი ორგანიზაციის კარგი რეპუტაცია გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს.

პროდუქტის წარმოების ხარისხის კონტროლის მიდგომები, რომლებიც ემსახურება ნაკლები ხარვეზით წარმოებას, ეფექტურ მიწოდებასა თუ სხვას, დიდ გავლენას ახდენენ კომპანიის საბოლოო წარმატებაზე. ხშირად, სწორედ ამ მხრივ წარმატებული კომპანიები, ბაზრის ლიდერები ხდებიან. ის ორგანიზაციები, რომლებიც მუდმივად აკონტროლებენ მომსახურებისა, თუ პროდუქტის ხარისხის მართვას, არიან უკეთესი რეპუტაციის მქონენი, ვიდრე სხვანი.

საკვანძო სიტყვები: *ხარისხი, რეპუტაცია, მომსახურება, მომხმარებელი, ლოიალობა.*

შესავალი

მომსახურების ხარისხის მნიშვნელობა სულ უფრო დიდ როლს ასრულებს თანამედროვე ბიზნესში. ბაზარი მუდმივად იზრდება,შემოდიან ახალი ბიზნეს კომპანიები, რომლებიც ზრდიან კონკურენციას კონკრეტულ დარგში. მომხმარებლებს უფრო მეტი არჩევანი აქვთ, შესაბამისად უფრო მომთხოვნნი ხდებიან, რადგან ჩნდება კონკრეტული პროდუქტის რამდენიმე ალტერნატივა- ისინი არამარტო პროდუქტის, არამედ კომპანიის მომსახურების ხარისხითაც ინტერესდებიან. [6]

ორგანიზაციის რეპუტაციაზე ზრუნვა დიდ ძალისხმევას მოითხოვს, ძალზე რთულია წინასწარ შესაძლო რისკების გაზომვა. რისკების წარმოქმნაზე, სამი ძირითადი ფაქტორი ახდენს გავლენას, ესენია: რეპუტაცია- „რეალობის უფსკრული“, რწმენისა და მოლოდინების შეცვლა და სუსტი შიდა კოორდინაცია. გამოცდილი მენეჯერები, მუდმივად იკვლევენ რეპუტაციის შესაძლო რისკებს და ახდენენ მათ მინიმიზაციას. [8]

მომხმარებლი შეფასებას დიდი დადებითი, თუ უარყოფითი ძალა აქვს ტექნოლოგიებისა და სოციალური ქსელების ეპოქაში. სწორედ ამიტომ, საჭიროა მეტი ლოიალური მომხმარებლისა და კარგი რეპუტაციისათვის, მუდმივად ყურადღებით ყოფნა, მომსახურების ხარისხის დონის კვლევა და ხარვეზების დროული აღმოფხვრა.

ხარისხის მართვის მიდგომები. Oakland ხარისხის მენეჯმენტს განსაზღვრავს, როგორც მთელი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული სისტემური საქმიანობის ერთობლიობას, რომლის მიზანია- ორგანიზაციამ ეფექტურად მიაღწიოს მიზნებს ისე, რომ პროდუქტისა და მომსახურების ხარისხის დონე აკმაყოფილებდეს მომხმარებლებს, შესაბამის დროსა და ფასში. ხარისხის მენეჯმენტის შესახებ მიდგომებმა, რომლებიც 1980-იან წლებში შემუშავდა, როგორც კომპანიის წარმატების წინაპირობა, ფართო გავრცელება ჰპოვა. იგი აერთიანებს ბიზნესს, ორგანიზაციებს, პოლიტიკასა და სტრატეგიებს. იმ დროისათვის, მრავალი მეცნიერი

ცდილობდა შეექმნა კომპანიებისათვის ხარისხის ჩარჩო, რომელსაც გამოიყენებდნენ, როგორც უნივერსალურ გზას წარმატებისაკენ. სწორედ ამ მიდგომებმა შეკრიბა, ხარისხის შემადგენელი მრავალი კომპონენტი, პრობლემების გადაჭრის გზები, სტატისტიკური პროცესის კონტროლი და ხარისხის ისეთი სისტემები, როგორიცაა BS5750 და მოგვიანებით, ISO 9000 სისტემები. კომპანიები სხვადასხვა ქვეყნებში იყენებდნენ მათ მიერ შემუშავებული ხარისხის მენეჯმენტის მიდგომებს- ხარისხის გასაუმჯობესებლად და წარმატების მისაღწევად. [5]

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იმ ქვეყნის კულტურამ, სადაც ხარისხის მენეჯმენტის მიდგომები დანერგეს, უზარმაზარი როლი ითამაშა მის წარმატებით განხორციელებაში. მნიშვნელოვანია ასევე, სწორი კომუნიკაცია და კომპანიის თითოეული თანამშრომლის ვალდებულება, რომ წარმატებით გაართვან თავი დაკისრებულ მოვალეობას.

1980 წელს ამერიკაში, ხარისხის მართვის დარგში, დაწესდა ედვარდ დემინგის სახელობის წლიური პრიზი - „ Deming Prize". ამ გზით, აღიარეს მისი წვლილი ხარისხის მართვის თეორიის განვითარებაში. ავტორი გადმოგვცემს, რომ ამ ჯილდოს კატეგორიები ჯერ კიდევ, 1950 წელს დაარსდა, როდესაც იაპონელი ინჟინრები და მეცნიერები გაერთიანდნენ და დააწესეს პრიზი მონაწილეებისათვის, პროდუქტის ხარისხისა და საიმედოობის მიდგომის შესაქმნელად.

იაპონიაში მოპოვებულმა დემინგის პრიზმა, კომპანიები დააინტერესა ხარისხის ჩარჩოს სამი მნიშვნელოვანი გზის გამოყენებით, რომლებსაც Oakland სახელმძღვანელოში „Total Quality Management and Operational Excellence" განიხილავს: 1. როგორც ჯილდოს საფუძველს;

2. როგორც საფუძველს, თვითშეფასების ფორმისათვის;

3. როგორც აღწერა" რა უნდა იყოს ადგილზე „ მოდელს.

დემინგის პრიზის მიზანია, რომ ხარისხის მენეჯმენტის მიდგომები გამოიყენონ ორგანიზაციაში, მენეჯმენტის გაუმჯობესებისა და გარდაქმნის ინსტრუმენტად, რაც გააუმჯობესებს კონკურენტუნარიანობას და კომპანიას შესძენს უკეთეს რეპუტაციას.

ხარისხის მართვის ევროპული ფონდის სრულყოფის მოდელი (EFQM), მოქმედებს მარტივი პრინციპით, რომ ურთიერთთანამშრომლობა აუმჯობესებს პროცესებს. „წარმატებული ორგანიზაციები აღწევენ და ინარჩუნებენ სამუშაოს შესრულების ისეთ მაღალ მაჩვენებლებს, რომლებიც შეესაბამება, ან აღემატება ყველა დაინტერესებული მხარის მოლოდინს," - ასე ახასიათებს ხარისხის მართვის ევროპული ფონდი წარმატებულ ორგანიზაციას. [4]

ხარისხის მართვის სისტემები სახელმძღვანელოში „ოპერაციათა მენეჯმენტი", ავტორი განიხილავს ხარისხის საყოველთაო მართვას, როგორც ორგანიზაციის მართვის სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლისათვის საინტერესო მახასიათებლების უპირატესობას. სისტემის შექმნის მიზანია, მოხდეს მაღალხარისხიანი პროდუქტის და მომსახურების დაგეგმარება და მათი წარმოების უზრუნველყოფა. ხარისხის უზრუნველყოფის ხარჯების ანალიზი ეყრდნობა სამ დაშვებას:

1. ნებისმიერ წუნს, კონკრეტული მიზეზი აქვს;

2. პრევენციული ღონისძიებები, წუნის გამოსწორებასთან შედარებით, უფრო იაფია;

3. განმსაზღვრელი პარამეტრები, გაზომვას ექვემდებარება.

ავტორი განიხილავს ხარისხის გაუმჯობესების: ექვს სიგმა კონცეფციას - იგი ეხმარება კომპანიებს, დეფექტის თავიდან არიდებაში. დეფექტი, თავის მხრივ არის განსაზღვრული ტექნიკური მოთხოვნილებებიდან გადახრა, რომელიც წარმოშობს წუნს. ექვსი სიგმა ხარისხის სისტემა, სწორედ ასეთი გადახრების აღმოსაფხვრელადაა მოწოდებული. ექვსი სიგმის უპირატესობად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის, რომ ეს მიდგომა გვეხმარება აღვწეროთ პროცესის ხარისხი, მისი სტაბილურობის თვალსაზრისით და ასევე, შეგვიძლია ერთნაირი მაჩვენებლების საშუალებით, ერთმანეთს შევადაროთ სხვადასხვა პროცესები. *შინგოს* მეთოდი უზრუნველყოფს შეცდომებისა და დეფექტების შეზღუდვას. ეს მეთოდი გულისხმობს, დაუყოვნებლივ რეაგირებას დაშვებულ შეცდომაზე, რათა დასაწყისშივე აღმოფხვრან იგი. ამგვარი უკუკავშირისთვის, აუცილებელია წარმოებული პროდუქციის სრული კონტროლი. შინგოს მეთოდის განხორციელება გულისხმობს, კონტროლის სამ სახეს:

1. თანმიმდევრული შემოწმება;

2. თვით შემოწმება;

3. წყაროს კონტროლი;

მომსახურების ხარისხის შეფასება, ხდება მომხმარებლის შეხედულებისა და კმაყოფილების დონის მიხედვით. სერვისის მიღებამდე, მომხმარებელს არ აქვს სერვისის წინასწარი „გასინჯვის" შესაძლებლობა, რის გამოც, მომხმარებლის მიერ

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

სერვისის მიმწოდებლის მიმართ ნდობის, რწმენისა თუ განწყობის ჩამოყალიბება, ხდება სხვადასხვა ფაქტორების გავლენით.

გაყიდვების სფეროში, ორგანიზაციები მომხმარებელთა მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, ადგენენ სტრატეგიებს, შეიმუშავებენ მომსახურების სისტემებსა და გადაამზადებენ მომსახურე პერსონალს. მომსახურების ბიზნესი, საქმიანობის ისეთ სფეროს წარმოადგენს, რომლის მიზანია მომხმარებლისათვის კონკრეტული მომსახურების, ან მომსახურებათა ნაკრების მირთმევა, მასთან ურთიერთქმედებით და მისი მონაწილეობით. მომხმარებელთან ურთიერთობის დროს, მიწოდებული მომსახურების მოხმარება, მომსახურების გაწევის პროცესში ხდება, ხოლო პროდუქტის მოხმარება კი, შეძენის პროცესის დასრულების შემდგომ.

ტერმინი მომხმარებელთან კონტაქტი, ასახავს სისტემაში კლიენტის ფიზიკურ ყოფნას. ტერმინი მომსახურების გაწევა - სამუშაო პროცესი, როდესაც ხდება მომხმარებლის მომსახურება. კონტაქტის ხარისხი შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც მომხმარებლის მომსახურების სისტემაში ყოფნის დროის, იმ მთლიან დროსთან თანაფარდობა, რომელიც მომსახურების პროცესის დასრულებისათვის არის საჭირო. მომსახურების გაწევისას, მომხმარებლის მონაწილეობა ძლიერ გავლენას ახდენს მომსახურების ხარისხზე, შემადგენლობასა და ხანგრძლივობაზე. ხშირად, კომპანიებს წინასწარ აქვთ გაწერილი სისტემები, რომლის მიხედვითაც მოქმედებს პერსონალი. რაც უფრო მაღალია მომსახურე პერსონალის მომზადების დონე, მით მაღალია მომხმარებლის კმაყოფილება. სირთულეს წარმოადგენს ხანგრძლივი კონტაქტი მომხმარებელთან, რადგან ასეთი შემთხვევებისთვის წინასწარ გაწერილი სქემა არ არის და პროცესის მიმდინარეობა, მომსახურე პერსონალმა უნდა წარმართოს.[3]

მომსახურების სამ ძირითად ტიპს გამოყოფენ, რომლებიც ერთმანეთისაგან მომსახურების მიწოდების მეთოდებით განსხვავდებიან. ესენია: ნაკადური ხაზის მეთოდი, თვითმომსახურების მეთოდები და ინდივიდუალური მომსახურების მეთოდი. [2]

მომსახურების ხარისხის გავლენა ორგანიზაციის რეპუტაციაზე. ორგანიზაციის რეპუტაცია დამოკიდებულია ხარისხზე, საიმედოობაზე, მიღებასა და ფასზე. ხარისხი განიხილება, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი კონკურენტული იარაღი, რადგან იგი პირდაპირ კავშირშია რეპუტაციასთან. ხარისხი აკმაყოფილებს მომხმარებლის მოთხოვნებს და ეს არ მოიცავს მხოლოდ პროდუქტისა და მომსახურების ფუნქციურ მახასიათებლებს. ხარისხის მართვა შეიძლება ისწავლო და გამოიყენო რეპუტაციის გასაუმჯობესებლად. საიმედოობა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. ეს არის შესაძლებლობა, რომ მომხმარებლებმა გააგრძელონ პროდუქტის ან მომსახურების მოხმარება. საიმედოობა მნიშვნელოვანია ხარისხისათვის, ერთგვარი გასაღებია შესყიდვის დროს გადაწყვეტილების მიღებაზე, როდესაც არსებობს შესყიდვის სხვა ალტერნატივა. [1]

ზოგადი მენეჯმენტის მრავალი საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია პროდუქტის, ან მომსახურების ხარისხის მიღწევასთან, აგრეთვე, დაკავშირებულია საიმედოობასთან. ყოველივე ეს, უზრუნველყოფს კომპანიის წარმატებასა და ერთგული მომხმარებლების ზრდას. ოთხი ძირითადი ასპექტი, რომლებიც გასათვალისწინებელია ნებისმიერი ორგანიზაციისათვის რეპუტაციის გასაუმჯობესებლად:

1. იგი დაფუძნებულია კონკურენტუნარიან ელემენტებზე დაყრდნობით - ხარისხზე, დროზე და ღირებულებებზე;

2. თუ ორგანიზაცია ერთხელ შეიძენს ცუდ რეპუტაციას პროდუქტის, ან მომსახურების უხარისხობის, ან არასაიმედოობის გამო, მის შეცვლას ძალიან დიდი დრო დასჭირდება;

3. კარგი, ან ცუდი რეპუტაცია, შეიძლება სწრაფად გარდაიქმნას ქვეყნის რეპუტაციად;

4. კონკურენტუნარიანი იარაღის მართვა, როგორიცაა ხარისხი, შეიძლება ისწავლო როგორც სხვა უნარ-ჩვევები და გამოიყენო იგი, ცუდი რეპუტაციის წინააღმდეგ.

მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება, რომ „მომხმარებლის მოთხოვნილებებთან შეხვედრისას“, ხარისხის განსაზღვრა არ ზღუდავს პროდუქტისა და მომსახურების ფუნქციურ მახასიათებლებს. ზოგიერთი პროდუქტის ხარისხი, მომხმარებლისათვის ასოცირდება საკუთრების კმაყოფილებასთან. ჩვენ შეგვიძლია, გადავიდეთ კმაყოფილების სხვა ეტაპზე - აღფრთოვანებული მომხმარებელი. ბევრ ორგანიზაციას კარგად აქვს გაანალიზებული, თუ როგორ შეხვდეს მომხმარებელთა მოთხოვნილებებს.

მომხმარებლის ლოიალურობა, არის მნიშვნელოვანი ცვლადი ორგანიზაციის წარმატებაში. კვლევებმა აჩვენა, რომ მომხმარებელთა ლოიალურობაზე ფოკუსირებით, კომპანიამ შესაძლოა მოიპოვოს კომერციული უპირატესობა:

• არსებული მომხმარებლების შენარჩუნება უფრო იაფია, ვიდრე ახლის შეძენა; რაც უფრო ხანგრძლივია ურთიერთობა მომხმარებელთან, მით უფრო მაღალია მომგებიანობა;

• ერთგული მომხმარებელი დახარჯავს უფრო მეტს;

• ახალი მომხმარებლების მოზიდვა ხდება არსებული მომხმარებლებისაგან. [7]

დასკვნა

ბევრი ორგანიზაცია ზომავს მომხმარებელთა ლოიალურობას იმის დასადგენად, თუ მომხმარებელთა რომელ კატეგორიას ეკუთვნიან ისინი: „კმაყოფილი მომხმარებლები“, „ნამდვილად გირჩევთ“ თუ „ნამდვილად შეისყიდის“. მნიშვნელოვანია, რომ ორგანიზაცია მუშაობდეს როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი. იმისათვის, რომ იყოს ეფექტური, მისი თითოეული კომპონენტი სწორად უნდა მუშაობდეს. ორგანიზაციის თითოეულ ნაწილს, თითოეულ ადამიანს შეუძლია გავლენა მოახდინოს ორგანიზაციის რეპუტაციაზე. ხარისხი, როგორც მომხმარებლის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, საშუალებას აძლევს ყველა ადამიანს, განსხვავებული შესაძლებლობებითა და პრიორიტეტებით, მარტივად დაუკავშირდნენ ერთმანეთს, საერთო მიზნის მისაღწევად. ორგანიზაციის ყველა წევრის ვალდებულებაა, ორგანიზაციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ითანამშრომლონ და იზრუნონ მის რეპუტაციაზე.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

NARRATIVE OF COLLECTIVE TRAUMA IN GEORGIAN MEDIA

Copyright © 2023 The Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: February 06, 2023
Published: February 20, 2023
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC18012023-64

Liana Sigua
Sokhumi State University,
PhD student in the Faculty of Humanities,
ORCID ID: https://orcid.org/0009-0007-6344-4935
E-mail: Likasigua3@gmail.com
Cell: (+995)555 51 82 51

ABSTRACT

The theory of trauma has been one of the current approaches in scientific discourse since the 90s of the 20th century, the foundation for its study was laid in the American humanities and social sciences, which later became the subject of study by researchers in various fields and profiles.

Rising tide of interest towards collective trauma or traumatic memory was conditioned by wars or difficult post-conflict psychological status of people, who had to deal with both trauma-containing memories and struggle against them.

It should be noted, that the paradigms defining collective trauma have been determinative in the Georgian media since the 1990s, which was related to the dissolution of the Soviet Union on the one hand, and the difficult political or social situation caused by the events of April 9, Georgian-Abkhazian and Georgian-Ossetian conflicts and civil war.

Here we also would like to note that the Georgian media has become a source of inspiration for those creators, in the literary narrative of which so-called war literature was formed and acquired different perspectives.

At this stage, the subject of our interest is to comprehend the Georgian media space in the context of theories of traumatic memory, we will focus on the material of the 90s, which presents the narrative of the Georgian-Abkhazian conflict, also on the modern discourse of the Russian-Ukrainian war, which will allow us to study by the method of comparative analysis and determine, how the concepts of collective trauma are reflected in the media space.

Kyewords: *Collective trauma, traumatic memory, narrative, Georgian media.*

REFERENCES:

1. Bregadze, L. (2013). Questionnaire - modern Georgian prose. Tbilisi, publishing house «Saunje». (in Georgian)

2. Kvatchantiradze, M. (2009). Traumatic memory, the post-Soviet Georgian narrative, http://www.nplg.gov.ge (in Georgian)

3. Mindiashvili, N. Gogilashvili A. (2019), «Hallelujah» collection, ideological-artistic perspectives, Tbilisi, materials of the conference «Georgian-Ossetian relations development perspectives». (in Georgian)

4. https://www.youtube.com/@TVIMEDI.

5. Sztompka, Cultural Trauma, pp. (155-195) University of California Res, 2004. (in Georgian)

6. Tsifuria B., Georgian Text in the Post-Soviet Postmodern Context, Tbilisi: Ilia State University, 2016. (in Georgian)

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

კოლექტიური ტრავმის ნარატივი ქართულ მედიაში

ლიანა სიგუა
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი
ORCID iD: https://orcid.org/0009-0007-6344-4935
ელ.ფოსტა:Likasigua3@gmail.com
ტელ:(+995) 555 51 82 51

აბსტრაქტი

ტრავმის თეორია მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან სამეცნიერო დისკურსში ერთ-ერთი აქტუალური მიმართულებაა, რომლის შესწავლასაც ამერიკულ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში ჩაეყარა საფუძველი, შემდგომ კი სხვადასხვა დარგისა და პროფილის მკვლევართა შესწავლის ობიექტი გახდა.

კოლექტიური ტრავმისა თუ ტრავმული მეხსიერების მიმართ გაცხოველებული ინტერესი განაპირობა ომებმა თუ კონფლიქტების შემდგომმა რთულმა ფსიქოლოგიურმა მდგომარეობამ ადამიანებში, რომლებსაც უწევდათ, როგორც ტრავმის შემცველ მოგონებებთან გამკლავება, ასევე მათ წინააღმდეგ ბრძოლა.

აღსანიშნავია, რომ ქართულ მედიასივრცეში სწორედ მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან აქტიურდება კოლექტიური ტრავმის განმსაზღვრელი პარადიგმები, რაც დაკავშირებული იყო ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირის რღვევასთან, ხოლო მეორე მხრივ, იმ რთულ პოლიტიკურ თუ სოციალურ ვითარებასთან, რაც გამოიწვია 9 აპრილის მოვლენებმა, ქართულ-აფხაზურმა, ქართულ-ოსურმა კონფლიქტებმა და სამოქალაქო ომმა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ სწორედ ქართული მედია გახდა ინსპირაციის წყარო იმ შემოქმედთათვის, რომელთა ლიტერატურულ ნარატივში ჩამოყალიბდა და განსხვავებული რაკურსები შეიძინა ე. წ. ომის ლიტერატურამ.

ამ ეტაპზე ჩვენი ინტერესის საგანია ტრავმული მეხსიერების თეორიების კონტექსტში გავიაზროთ ქართული მედიასივრცე, ყურადღებას გავამახვილებთ 90-იანი წლების იმ მასალაზე, რომელშიც წარმოჩენილია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ნარატივს , ომის თანამედროვე დისკურსზე, რაც საშუალებას მოგვცემს შედარებითი ანალიზის მეთოდით ვიკვლიოთ და განვსაზღვროთ, თუ როგორ ისახება მედიასივრცეში კოლექტიური ტრავმის კონცეპტები.

საკვანძო სიტყვები: *კოლექტიური ტრავმა, ტრავმული მეხსიერება, ნარატივი, ქართული მედია.*

ტრავმის ფენომენი მეცნიერების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთა ინტერესის საგანია. ეს საზოგადოების ან მისი ნაწილის მტკივნეული გამოცდილება იწვევს იდენტობის კრიზისს. ტრავმა ქმნის სტრესულ გამოცდილებას, რომელმაც შესაძლოა, ახალი ღირებულებები წარმოშვას. საკითხის კვლევის მნიშვნელობა განპირობებულია იმ ეფექტით, რომელსაც კოლექტიური ტრავმა საზოგადოებაზე ახდენს. საზოგადოებისთვის უმთავრესი ხდება, ტრავმის შემდგომი სტრესული გამოცდილების დაძლევა და მასზე პასუხი. სტრესი დაძლევადია და მსხვერპლს შეუძლია სრულფასოვანი ცხოვრების გაგრძელება. რასაკვირველია, ეს ურთულესი პროცესია,თუმცა შესაძლებელი, თუ გვეცოდინება ამ ფენომენის ბუნება და მისი მახასიათებლები. კოლექტიური ტრავმის გაანალიზება და დაძლევა საზოგადოების განვითარებისა და თვითშესწავლის მთავარი წინაპირობაა.წარმოადგენს კოლექტიური ტრავმის თეორია, რომლის თანახმადაც, დროში შეზღუდულმა, შოკისმომგვრელმა მოვლენამ, შეესაძლოა განმსაზღვრელი ეფექტი იქონიოს საზოგადოების ცხოვრების მრავალ მხარეზე. ეს ეხება საზოგადოების ყველა წევრს და არღვევს ჩვეულ რიტმს, იგი იწვევს დეპრესიასა და მელანქოლიას. ტრავმირებული საზოგადოება ცდილობს, დაძლიოს პოსტტრავმული სტრესი მრავალი სხვადასხვა ხერხით. ტრავმა ილექება მეხსიერების არხებში, ინახება და სიმბოლიზდება საზოგადოების მიერ.

მეოცე საუკუნე „ტრავმების საუკუნედ" იწოდება. კულტურული ტრამვა თავს იჩენს მაშინ, როდესაც რამე საშინელი მოვლენა წარუშლელ კვალს ტოვებს კოლექტივის წევრების ჯგუფურ ცნობიერებაზე, სამუდამოდ ასვამს დაღს მეხსიერებასა და ფუნდამენტურად ცვლის მათ მომავალ იდენტობას .

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ტრავმის თეორია მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან სამეცნიერო დისკურსში ერთ-ერთი აქტუალური მიმართულებაა, რომლის შესწავლასაც ამერიკულ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში ჩაეყარა საფუძველი, შემდგომ კი სხვადასხვა დარგისა და პროფილის მკვლევართა შესწავლის ობიექტი გახდა.

კოლექტიური ტრავმისა თუ ტრავმული მეხსიერების მიმართ გაცხოველებული ინტერესი განაპირობა ომებმა თუ კონფლიქტების შემდგომმა რთულმა ფსიქოლოგიურმა მდგომარეობამ ადამიანებში, რომლებსაც უწევდათ, როგორც ტრავმის შემცველ მოგონებებთან გამკლავება, ასევე მათ წინააღმდეგ ბრძოლა.

აღსანიშნავია, რომ ქართულ მედიასივრცეში სწორედ მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან აქტიურდება კოლექტიური ტრავმის განმსაზღვრელი პარადიგმები, რაც დაკავშირებული იყო ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირის რღვევასთან, ხოლო მეორე მხრივ, იმ რთულ პოლიტიკურ თუ სოციალურ ვითარებასთან, რაც გამოიწვია 9 აპრილის მოვლენებმა, ქართულ-აფხაზურმა, ქართულ-ოსურმა კონფლიქტებმა და სამოქალაქო ომმა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ სწორედ ქართული მედია გახდა ინსპირაციის წყარო იმ შემოქმედთათვის, რომელთა ლიტერატურულ ნარატივში ჩამოყალიბდა და განსხვავებული რაკურსები შეიძინა ე. წ. ომის ლიტერატურამ.

ამ ეტაპზე ჩვენი ინტერესის საგანია ტრავმული მეხსიერების თეორიების კონტექსტში გავიაზროთ ქართული მედიასივრცე, ყურადღებას გავამახვილებთ 90-იანი წლების იმ მასალაზე, რომელშიც წარმოჩენილია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ნარატივი, ასევე, რუსულ-უკრაინული ომის თანამედროვე დისკურსზე, რაც საშუალებას მოგვცემს შედარებითი ანალიზის მეთოდით ვიკვლიოთ და განვსაზღვროთ, თუ როგორ ისახება მედიასივრცეში კოლექტიური ტრავმის საინფორმაციო ომი , „ფეიკ ნიუსები'', დეზინფორმაცია ,ეს ის ტერმინებია, რომელიც ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. ექსპერტები და ანალიტიკოსები აქტიურად მუშაობენ ,საინფორმაციო ომის გამოწვევებთან გასამკლავებლად, მაგრამ მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ არამარტო დღევანდელი გარემოებები , არამედ წარსული. ჯორჯ სანტაიანა ბრძანებს :„ ისინი ვისაც არ ახსოვს წარსული, განწირული არიან მისი გამეორებისთვის" ზუსტად ამიტომ ,მნიშვნელოვანია შევისწავლოთ საინფორმაციო ომის როგორც წარსული, ასევე აწმყო.

კვლევის მიზანია; დაკვირვება საქართველოს სეპარატისტული რეგიონის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე. 1993წელი 27 სექტემბერ-ოქტომბერი,ეს პერიოდი საგანგებოდ შეირჩა ,რადგან ეს ეხება აფხაზეთის ტერიტორიაზე განვითარებულ მოვლენებს.

საინფორმაციო ეპოქაში, ტელევიზია და სოციალური მედია 24 საათიან საინფორმაციო გარემოს ქმნიან. სადაც ადამიანისთვის იმაზე მეტი ინფორმაცია არის ხელმისაწვდომი, ვიდრე ოდესმე. დღეს ყველას მიუწვდება ხელი ინტერნეტთან და თითოეული ჩვენგანი განურჩევლად განათლებისა, სტატუსისა, ჩართულია ამ საინფორმაციო გარემოში.

საგანგებოდ შეირჩა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, მეორე არხი, ტაბულა .

ბეჭვდითი მედიიდან დაკვირვება განხორციელდა „ასავალ-დასავალი"„ქრონიკა"„კვირის პალიტრა."

ომზე ისტორიები მხოლოდ მოსასმენად არის ამაღლებული, განსაცდელად და მოსაყოლად -არა. ძნელია ისაუბრო იმაზე, რასაც სიამოვნებით დაივიწყებდი და ალბათ ,კიდე უფრო ძნელია დამარცხების განცდის ხელახლა „გადაყლაპვა'.'

საინტერესოა, როგორ იბრძოდა მასმედია, პირველი არხის გადაცემა **„საზოგადოებრივი მაუწყებელი "**მთელი შემოქმედი ჯგუფი ომგამოვლილია ,ისინი რიგითი ჯარისკაცები იყვნენ. რასაც შეეწირა ბევრი ჟურნალისტის სიცოცხლე ,რადგან ომი არ ინდობს არავის.(დათო ბოლქვაძე, პაატა ქიტუაშვილი , გოგა პოპიაშვილი.) ისინი იდგნენ იქ და ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას და არ ტოვებდნენ გაყიდულ სოხუმს.

ერთთვიანი დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ ტელევიზიები თავიანთ მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ნაკლებ ყურადღებას უთმობენ კონფლიქტური რეგიონებისა და მათ ირგვლივ განვითარებული მოვლენების გაშუქებას .

პირველ არხს აფხაზეთის თემასთან დაკავშირებით აქვს (14)სიუჟეტი, ახალი ამბები,(6) მოამბე (11) თუ დავაკვირდებით ყველაზე მეტად პირველი არხი აშუქებს მოვლენებს.

„პირველი არხი ''1993 წელი 27 სექტემბერი .ყველაზე მძიმე დღე სოხუმელებისთვის „ბოევიკების" 'მეშვეობით, აფხაზი სეპარატისტების მიერ აღებულ იქნა ქ. სოხუმი.

1993წ-27 სექტემბერ-ოქტომბერი დაიწყო წარმოუდგენელი სისასტიკე.

. ქართველი მოსახლეობის მასობრივი ხოცვა -ჟლეტა

. 350- ათასზე მეტი ადამიანი საკუთარ სამშობლოში დევნილად იქცა.

დაიწყო ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა ,რაც დადასტურებულია ეუთო-ს 1994წ,ბუ-

დაპეშტის ,1996წ,ლისაბონისა და 1999წ სტამბულის სამიტების რეზოლუციებში.

მე-2 არხი -საზოგადოებრივი მაუწყებლობა(1993 წ 27 სექტემბერი) ამ კონფლიქტს განიხილავდნენ როგორს რუსეთ-საქართველოს ომს. აფხაზი სეპარატისტების მხარეს ასევე იბრძოდნენ ადგილობრივი სომხები, კაზაკები .საზოგადოებრივი მაუწყებელი მეორე არხი ეთერში იყო ყოველდღე (10:00, 12:00,15:00,18:00,21:00)

დაკვირვების ფარგლებში გამოვლინდა, კონფლიქტის გაშუქების კუთხით ყველაზე ობიექტური იყო საზოგადოებრივი მაუწყებლობა. „პირველი არხის" მიერ განხილულია 11 სტატია , სადაც არ არის სიღმისეული ანალიზი ძირითადათ ინტერვიუების ფორმითაა დაბეჭდილი ,რომელიც ეხება კონფლიქტის განვლილ ქრონიკებს და არარსებულ მდგომარეობას ან მოგვარების გზებს. ყველაზე ობიექტურად მოვლენებს აშუქებს „კვირის პალიტრა"სულ 4 პუბლიკაცია მიუძღვნა კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებს.

„ქრონიკის" (9 საათიანი გამოშვება)რეპორტაჟი ეძღვნება 90-იან წლებში აფხაზეთის ომის ამბებს, რომლებსაც ყოფილი მხედრიონელი დოდო გუგეშაშვილი საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიასა და მისი მომხრეების საწინააღმდეგო კონტექსტში ყვება. განსაკუთრებულად მძაფრია მისი სიტყვები სტატიის დასასრულს, სადაც რესპოდენტი ამბობს, რომ სეპარატისტები და „ბოევიკები" ჩრდილოეთ კავკასიიდან „საქართველოსთვის ნასროლი ტყვიით მკერდშენგრეულ ბიჭებს ჰალსტუხებად უკეთებდნენ საკუთარ ენას, მკერდს აგლეჯდნენ ქალებსა და ორსულებს მუცლებს უფატრავდნენ... ჩექმის ქუსლით სრესდნენ ჩვილებს". უდავოა, რომ ასეთი ლექსიკა შეიარაღებული კონფლიქტის მოგონებებს უარყოფით კონტექსტში ამძაფრებს და მას მხოლოდ კონტრპროდუქტიული ეფექტი შეიძლება ჰქონდეს. ასეთი უმძიმესი იყო სოხუმელი ხალხის ცხოვრება, რომლებმაც ყველაფერი დაკარგეს, მატერიალური დანაკარგი ეს არაფერი იყო, იმ შეურაცხყოფასთან, რასაც სეპარატისტები სჩადიოდნენ: ანადგურებდნენ ყველაფერს, კლავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. „იყიდება ქართული ხორცი" - ასეთი წარწერებით ამახინჯებდნენ გვამებს. განა შეიძლება ეს ტრამვა არ გაგყვეს მთელი ცხოვრების მანძილზე, სვანეთის გზა ბევრი დევნილისთვის გოლგოთის გზის ფასად იქცა. სანამ ქართველებს გვიყვარს სამშობლო და ხალხთა თავისუფლება, რუსეთის იმპერიის იდეოლოგია ვერ გაიმარჯვებს.

იმისათვის, რომ კარგად გავიაზროთ საინფორმაციო ომი ,საჭიროა ვიცოდეთ მისი ელემენტები: პირველი უნდა ვიცოდეთ მიზნები ,ვინ იყო საინფორმაციო ომის ძირითადი სამიზნე? როგორი ნარატივის გავრცელებას ცდილობდა მათ წინააღმდეგ? რა იყო ის ზოგადი მიზეზები, რის მიღწევასაც საინფორმაციო ომით ცდილობდნენ. საინფორმაციო ომისათვის საჭიროა არხები (საზოგადოებრივი მაუწყებელი მე-2 არხი, მოამბე.)

პირველი არხი(რეპორტაჟი მოამზადა გურამ როგავამ 21:10)14 აგვისტოს სოხუმის მთავარმა ვლადიმერ არძიმბამ საყოველთაო მობილიზება გამოაცხადა. დადეგით აფხაზების გვერდით. სოხუმი პანიკამ მოიცვა 16 აგვისტოს, ქართველთა შენაერთებმა ქალაქში შესვლა დაიწყეს. სეპარატისტების ხემძღვანელები გუდაუთაში გაიქცა. მაგრამ რუსეთი მათ ახალისებდა, ამარაგებდა იარაღითა და ცოცხალი ძალით. აფხაზეთში ჩადიოდნენ დაქირავებული მეომრები.ესენი იყვნენ კაზაკები, სომხები. ქართველების ავიაციის დაბომბა დაიწყო. ქართული შენაერთი არ იხევდა უკან. მაგრამ რუსეთმა დილის ხუთ საათზე 600 კაციანი დესანტი გადმოსხა. აფხაზები გააქტიურდნენ, რუსეთის დახმარებით იბომბებოდა სოხუმი. 27 ივლისს სოჭში მორიგი ხეშეკრულება გაფორმდა და ეს მოჩვენებითი სიმშვიდე ომზე უარესი აღმოჩნდა.

პირველი არხი(15:13 წთ) სიუჟეტი მოამზადა (ანა ნადიამ)ბაბუშერაში აფეთქდა თვითფრინავი. თბილისიდან საომრად წასული ხუთი მეგობარი ,მათგან დაიღუპა ოთხი (ვალიკო ივანიშვილი ,ირაკლი ქადეიშვილი ,ზურაბ ოქრუაშვილი ,მერაბ კასრაძე) სასწაულად გადარჩა მეხუთე მეგობარი გიორგი სტურუა.

საინფორმაციო ომს დღეს პოპულარობა მოუტანა ინტერნეტმა ინფორმაციის მიწოდება არ არის რთული. ის რაც ხდებოდა 1992-1993 წლებში იყო ინფორმაციულობის სიმცირე ,თავად ჩვენ ხალხთან გვიწევდა ახსნა -განმარტება თუ რატომ მოხდა ომი, რატომ ვიქეცით „დევნილებად' 'ჩვენს ქვეყანაში.

საინფორმაციო ომი ეს არ არის ერთჯერადი მოვლენა. ის ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურობაა .შეუძლებელია წინასწარ განსაზღვრო მოწინააღმდეგე რა ტაქტიკას, მიდგომებსა და საინფორმაციო არხებს გამოიყენებს იმისთვის, რომ ჩვენზე და ჩვენს გარშემომყოფებზე გავლენა იქონიოს. ავტორიტარული რეჟიმი მუდმივად ცდილობს ინფორმაციის ცენზურას, თუმცა, თანამედროვე ქვეყანაში ინფორმაციის გავრცელება გარდაუვალია. თანამედროვე საინფორმაციო გარემოში ცხოვრება ,სანდო ინფორმაციის მოძიება და გადამოწმება აუცილებლად უნდა გახდეს თითოეული მოქალაქის ცოდნის არსენალის ნაწილი.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

კოლექტიური ტრავმა ფსიქოლოგიური პრობლემაა და მას ხალხის გარკვეული ნაწილი განიცდის. ტრავმის ეს ტიპი შესაძლოა, შეეხოს ადამიანთა ნებისმიერ ჯგუფს. ძირითადად, ტრავმა უყალიბდება ტრაგიკული მოვლენების თვითმხილველებსა და უშუალოდ მონაწილეებს. 21-ე საუკუნე, მსგავსად მე-20 საუკუნისა, ტრავმების საუკუნედ იქცა ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია 2021 წლის 24 თებერვალი, ტრაგიკული თარიღი რუსეთ-უკრაინის ომის დასაწყისისა.ტრავმული მეხსიერების მიმართ ინტერესი განაპირობა ომებისა და კონფლიქტების ფსიქოლოგიურმა შედეგებმა, რაც გულისხმობს ტრავმის შემცველი მოგონებების გააზრებასა და ასევე მათ წინააღმდეგ ბრძოლას.

ცნობილი ამერიკელი მკვლევარი, ჯეფრი ალექსანდერი, თავის კონცეფციაში აღნიშნავს, რომ „კულტურული ტრავმა წარმოიშობა მას შემდეგ, როდესაც საზოგადოების წევრები იაზრებენ, რომ იძულებით გადაიტანეს საშინელი მოვლენები, რომელთა მეხსიერებაში ჩაბეჭდვამ სამუდამოდ და ძირფესვიანად შეცვალა მათი ცხოვრება“. [Alexander, 2004:79].

პიეტრ შტომპკას თვალსაზრისით ტერმინი „ტრავმა“ სოციალურ სფეროს უკავშირდება, რომელსაც გააჩნია დესტრუქციული ზემოქმედების ძალა სოციალურ სხეულზე.“ [штомпка, 2001;7].

როგორ მოქმედებს ომი ადამიანების ცხოვრებაზე? ეს კითხვა დიდი ხანია აწუხებს საზოგადოებას. 21-ე საუკუნეში თითქმის არ არის ოჯახი, რომელსაც ომი არ შეეხო.

ტელევიზია წარმოადგენს ფართო მასებზე ზემოქმედების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სეგმენტს. კვლევიდან კარგად ჩანს, თუ როგორ იზრდება ხალხის მასების დამოკიდებულება საინფორმაციო საშუალებებზე. მიუხედავად იმისა, მთელი სამყარო ჩაერთო ომის მსვლელობაში. კოლექტიური ტრავმის თეორიის თანახმად კი დროში შეზღუდულმა მოვლენამ განმსაზღვრელი ეფექტი იქონიოს საზოგადოების ცხოვრების მრავალ მხარეზე. ომის თემა შეეხო საზოგადოების ყველა წევრს და დაარღვია ჩვეული რიტმი. ეს აისახა ქრონიკის ეთერების დინამიკაში. საეთერო დროის ერთი მესამედი დათმობილია ომის თემატიკაზე. რასაკვირველის, ეს გამომდინარეობს საზოგადოების დიდი ინტერესიდან.

ტრავმა ბუნებრივად განვითარებული მოვლენების შედეგია,რომელიც ამსხვრევს ინდივიდუალური თუ კოლექტიური ავტორების კეთილდღეობის განცდას. დამანგრეველი ენერგია-„ტრავმა“-მომდინარეობს უშუალოდ მოვლენებიდან. ამგვარ დამანგრეველ მოვლენებზე რეაქცია-„ტრავმის განცდა“-დაუყოვნებელია და არარეფლექტირებული. ამ თეორიის შესაბამისად,ტრავმული გამოცდილება თავს იჩენს მაშინ,როდესაც ტრავმული მოვლენები უშუალოდ ურთიერთქმედებაშია ადამიანურ ბუნებასთან. ადამიანები საჭიროებენ უსაფრთხოებას,წესრიგს და სიყვარულს. იმ შემთხვევაში თუ მათ რაიმე მოვლენა საფრთხეს უქმნის,არ არის გასაკვირი,რომ ადამიანები ტრავმირებულები დარჩნენ.

გასაანალიზებელი ტექსტის მოკლე მიმოხილვა.

„ტრავმის პროცესი შესაძლოა როგორც განხეთქილება მოვლენასა და რეპრეზენტაციას შორის. საზოგადოება გადაწყვეტილებებს არ ღებულობს,მას უფრო მოქმედი აგენტები იღებენ [Szhtomka 1991,1993,Aalexander 1987,Alexander Giesen, Smelser 1987,Munch].

დროში შეზღუდულმა ,შოკისმომგვრელმა მოვლენამ, შესაძლოა, განმსაზღვრელი ეფექტი იქონიოს საზოგადოების ცხოვრების მრავალ მხარეზე. კოლექტიური ტრავმა საზოგადოების ყველა წევრს ეხება და ცხოვრების ჩვეულ რიტმს არღვევს, იწვევს სტრესს, მელანქოლიას,დეპრესიას, ტრავმირებული საზოგადოება პოსტტრავმული სტრესის დაძლევას სხვადასხვა გზით ცდილობს. წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით, საინტერესოა ტრავმული გამოცდილების დაძლევის ხერხების დადგენას.

კოლექტიური ტრავმის საკითხი ძალიან აქტუალურია თანამედროვე მეცნიერებაში. მას საინტერესო კვლევები მიუძღვნეს ჯერფი ალექსენდერმა,დომინიკ ლაკაპრამ, პიოტრ შტომპკამ და სხვებმა. თითოეული მათგანი აღნიშნულ საკითხს სხვადასხვა კუთხით იკვლევს ალექსანდრე. მისთვის მეტად საინტერესოა კოლექტიური ტრავმის კონკრეტული გამოხატულება,კერძოდ, ომები,ხოლო ლაკაპრისთვის მნიშვნელოვანია თავად კოლექტიური ტრავმის ბუნების კვლევა.

ფსიქოანალიზის ფუძემდებელ ზიგმუნდ ფროიდს ეკუთვნის რამდენიმე საინტერესო დებულება კოლექტიურ ტრავმასთან დაკავშირებით. მის თეორიაზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა პოსტ-ტრავმული სტრესის მაჩვენებელი ნარატივების გამოყოფა და მათი დაჯგუფება.

ზიგმუნდ ფროიდმა ტრავმის კვლევა ინდივიდუალური დონიდან დაიწყო. მისი აზრით,ტრავმაზე პასუხის გაცემა ყველა ინდივიდს ძალუძს, თუმცა ტრავმული მოვლენა იწვევს ემოციების გადაჭარბებულად გამოხატვას. თავდაპირველად ინდივიდი ტრავმის საწინააღმდეგოდ ფსიქოლოგიურ ფარს აღმართავს. ამ დროს იგი ყურადღებას სხვა რამეზე მიმართავს. ამ პროცესში ყალიბდება პათოლოგიური დაცვის ინსტიქტი. ეს შეიძლება გადაიზარდოს

დეპრესიაში. თუ ინდივიდი გადაწყვეტს ემოციის ჩახშობას,ის განწირულია ტრავმასთან დასაბრუნებლად. ფროიდი აღნიშნავს,რომ ტრავმული მოვლენა სამუდამოდ ილექება და ემოციური რეფლექსების დათრგუნვით ადამიანი მუდმივად უბრუნდება მომხდარ მოვლენას. მეხსიერება ტრავმულ მოვლენას გონებაში მუდამ იბეჭდავს და ჩნდება შიში და სხვადასხვა ტიპის ფობია.

ჯეფრი ალექსენდერი ნაშრომში "Cultural trauma and collective identity" [London 2004]. განსაზღვრავს ტრავმისადმი მიძღვნილ ნარატივების მახასიათებლებს. ასევე კოლექტიურ იდენტობის ჩამოყალიბებაზე შესწავლილია პიოტრ შტომპკას მიერ ნაშრომში „Society in action;The theory of social becoming". [Chicago 1991].

რა მახასიათებლები აქვს ტრავმას? პოლონელმა მეცნიერმა პიოტრ შტომპკამ გამოყო 4 ძირითადი კრიტერიუმი,რომლითაც მოვლენის კოლეტქიურ ტრავმად კლასიფიცირება ხდება [Sztompka 2004:158].

1.ტრავმული მოვლენა დროში შეზღუდულია,ის მოულოდნელად და სწრაფად ხდება.

2.ტრავმა მრავალი ადამიანის ცხოვრებას ეხება და ბევრ ადამიანზე ტოვებს კვალს. ტრავმული მოვლენა ყველასთვის გასაგებია: მაგალითად,ომი მთელ საზოგადოებას ეხება და ის ყველასთვის გასაგები მოვლენაა.

3.ტრავმულ მოვლენას ახლავს რადიკალური,ღრმა და ფუნდამენტური ცვლილებები. ისინი საზოგადოების ყველა ფენას მოიცავს ძირითადად, დეზორიენტაციისა და ღირებულებათა აღრევის სახით ვლინდება.

4.ტრავმული მოვლენა ქმნის შოკურ განწყობას;ის მოულოდნელი,წარმოუდგენელი და დაუჯერებელია.

ტრავმული მოვლენა, როგორც წესი, მოულოდნელი და არასასიამოვნოა. მისი მონაწილეები თავს მსხვერპლად მიიჩნევენ. ტრავმული მეხსიერება უკავშირდება ინდივიდის პასუხს ტრავმაზე [Hunt 2010;7].აგრესიას ტრავმისა და ტრავმირებულთა ღალატი იწვევს,რაც ცხოვრების ჩვეულებრივ გაგრძელებას გულისხმობს. არსებობს ასევე გამარჯვების ტრავმაც: ცვლილებებს უკეთესისკენ, შესაძლოა მოჰყვეს არასასურველი შედეგი. პიოტრ შტომპკა თავის ნაშრომში „trauma of social change; a case of post-communist societies" ამტკიცებს,რომ როდესაც საზოგადოება აცნობიერებს,რომ რაც კარგია ერთისთვის,შესაძლოა აღმოჩნდეს ცუდი სხვისთვის. თავს იჩენს „გამარჯვების ტრავმა". ამის ნათელი მაგალითია საბჭოთა კავშირის დაშლა.

კოლექტიურ ტრავმას სხვაგვარად მასობრივ ტრავმადაც მოიხსენიებენ. 1980 წლიდან,როცა პოსტ-ტრავმული სტრესი ფსიქიკურ დაავადებათა კლასიფიკაციაში შევიდა, ტრავმულ მოვლენებად დასახელდა ომი,კატასტროფა ან რაიმე სტიქიური უბედურება. ტრავმული მოვლენა არაორდინალური და ადამიანთა ყოფისთვის არადამახასიათებელია [Lacapra 2001:9]. იგი რადიკალური და შოკისმომგვრელია.

მკვლევართა ნაწილი ხაზს უსვამს ერთ საინტერესო გარემოებას. მათი აზრით, კოლექტიურ ტრავმაზე პასუხი არაერთგვაროვანია აღმოსავლურსა და დასავლურ კულტურებში. მაგალითად, რიჩარდ ლებოუს აზრით, აღმოსავლური და დასავლური კულტურები,სხვა მახასიათებლებთან ერთად ,ტრავმაზე პასუხითაც განსხვავდებიან. აღმოსავლური კულტურები ცდილობენ ფორმალურად შემოსაზღვრონ „ბნელი წლები" ან წარმოაჩინონ ისინი გააზრებული ნაციონალური ისტორიისთვის ანომალურ მოვლენებად.

თანამედროვე ლიტერატურაში ტრავმულ და პოსტტრავმულ მოვლენებზე წერა მნიშვნელოვან ნაკადს ქმნის. ტრავმა ნარატივებში საკრალიზდება და ერთგვარ მითოლოგიურ იერს იძენს. ბამბერგისა და მაკაბის [Michael Bamberg,Allyssa McCabe]. მიხედვით ნარატივისადმი დამოკიდებულებაც ძალიან მნიშვნელოვანია. ადამიანები ქმნიან გარემოსა და სივრცეს,ამჟღავნებენ ავტორთა იდენტობასა და ქმედებათა ფარდობითობას სცენათა მიხედვით. ნარატივებში ინდივიდი საკუთარი თავის ლოკალიზებას ახდენს სცენათა და ქმედებათა მიხედვით. [Bamberg 1998:3-5]

XX საუკუნეში,თავდაპირველად დასავლურ საზოგადოებაში,ხოლო შემდეგ უკვე მთელ მსოფლიოში ხალხი მუდმივად საუბრობდა,რომ ისინი ტრავმირებულნი იყვნენ რომელიმე მოვლენით ძალადობის ან დაშინების აქტით. ხალხი მუდმივად საუბრობს ტრავმაზე მაშინ,როდესაც აღწერენ არა მხოლოდ პირად, არამედ იმ საზოგადოების მიერ განცდილ მოვლენას რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან.

კულტურული ტრავმა თავს იჩენს მაშინ,როდესაც რაიმე საშინელი მოვლენა წარუშლელ კვალს ტოვებს კოლექტივის წევრების ჯგუფურ ცნობიერებებზე. ასვამს მეცნიერებას დაღს და ფუნდამენტურად ცვლის მათ მომავალ იდენტობას. ტრავმა ბუნებრივად განვითარებული მოვლენების შედეგია,რომელიც ამსხვრევს კეთილდღეობის განცდას. დამანგრეველი ენერგია-„ტრავმა"-მომდინარეობს უშუალოდ მოვლენებიდან. ტრავმული გამოცდილება თავს იჩენს მაშინ, როდესაც ტრავმული

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

მოვლენები უშუალოდ ურთიერთქმედებაშია ადამიანურ ბუნებასთან. ადამიანები საჭიროებენ უსაფრთხოებას,წესრიგსა და სიყვარულს. იმ შემთხვევაში, თუ მათ რაიმე მოვლენა საფრთხეს უქმნის,არ არის გასაკვირი,რომ ადამიანები ტრავმირებულები დარჩნენ.

არსებობს ტრავმის თეორიის ორი ძირითადი ნაირსახეობა: „განათლების ფილოსოფია" და „ფსიქოანალიზი". განათლების ფილოსოფიის განმარტებით ტრავმა არის ინდივიდისა და თუ საზოგადოების რაციონალური

რეაქცია მკვეთრ ცვლილებებზე. ტრავმის წარმომშობი ობიექტები თუ მოვლენები მკაფიოდ აღიქმება ავტორიების მიერ.

ტრავმის ასეთი დამკვიდრება ყოველდღიურ ცხოვრებაში,მისი განსხვავებული კუთხით განხილვს,რაც ასე მნიშვნელოვანია თავდაპირველი ინტუიციური შემეცნებისთვის, გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს,რომლის დაძლევაც აუცილებელია. ტრავმის კვლევითი კუთხით განხილვას აქამდე ხშირად ხელს უშლიდა ტრავმის საყოველთაოდ დამკვიდრებული განმარტება . ეს განმარტება წარმოადგენს ტრავმის პოპულარულ თეორიას:

ტრავმის პოპულარული თეორიის მიხედვით, იგი ბუნებრივად განვითარებული მოვლენების შედეგია,რომელიც ამსხვილებს ინდივიდუალური თუ კოლექტიური ავტორების კეთილდღეობის განცდას.

დამანგრეველი ენერგია-ტრავმა-მომდინარეობს მოვლენებიდან. რეაქცია დამანგრეველ მოვლენებზე-„ტრავმის განცდა"-დაუყოვნებელი და არარეფლექტირებულია. ამ პოპულარული თეორიის შესაბამისად,ტრავმული გამოცდილება თავს იჩენს მაშინ,როდესაც ტრავმული მოვლენები უფრო ურთიერთქმედებაშია ადამიანურ ბუნებასთან.

ცვლილება სოციალური ცხოვრების უნივერსალური და ყველაზე გავრცელებული ისტორია. არ არსებობს საზოგადოება ცვლილების გარეშე. სოციოლოგიის კლასიკურ ეპოქაში მე-19 საუკუნეში სოციალური ცვლილებები პროგრესად განილებოდა. ის საზოგადოების მდგომარეობის გამოსწორებასთან გაუმჯობესებასთან კეთილდღეობასთან ასოცირდებოდა და მუდმივად დადებით მოვლენად მიაჩნდათ. თუმცა უკვე მე-19 საუკუნეშივე გაჩნდა პირველი ეჭვები რომლებიც მე-20 საუკუნეში უფრო მეტად გამყარდა.ცვლილების პროგრესულად განხილვა ნელ-ნელა ჩაანაცვლა შეხედულებამ ცვლილებაზე როგორც კრიზისზე. მრავალი ავტორი აღნიშნავს რომ მნიშვნელოვანმა სოციალურმა ცვლილებამ რომელიც გარკვეულწილად პროგრესული და განვითარების მომტანია შესაძლოა მძიმე შედეგები გამოიწვიოს. დაკვირვებები ცხადყოფს, რომ პროგრესული პროცესი არ მიმდინარეობს რბილად და სწორაზოვნად არამედ მეტაფორულად, რომ ვთქვათ, ის მოითხოვს „სისხლს ოფლს და ცრემლებს. ამასთან პროგრესი არ აღწევს სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში და მას შეიძლება მრავალი გვერდითი ეფექტი ჰქონდეს. ამიტომ როგორც ფერდინანდ ტონისი აღნიშნავდა წინ იწევს ისეთი თემები როგორიცაა დაკარგული თაობა დაქსაქსული საზოგადოება ან ემილ დიურკ ჰაიმისეულიანომია თუ მორალური ქაოსი. [Cultural trauma and collective identity. University of California Press,2004].

ეს ყოველივე ცხადყოფს რომ პროგრესი არ შეიძლება საზოგადოების ყველა წევრისთვის ცალსახად დადებითად განვიხილოთ: ის რაც კარგია ერთი ნაწილისთვის შესაძლოა, ცუდი იყოს სხვებისთვის. შესაბამისად დაისმის კითხვა: „პროგრესი ვისთვის"? ან ვინ იხდის პროგრესის საფასურს?;ველაზე პარადოქსულია ფაქტი რომ ის ცვლილებებიც კი რომლებიც ნამდვილად კეთილდღეობის მომტანია და რომელზეც ხალხი ოცნებობდა რომლისთვისაც იბრძოდა და რომელსაც მიესალმება შეიძლება ტკივილის მომტანი იყოს.

არსებობენ გარკვეული მიზნობრივი ჯგუფები, რომლებიც, სავარაუდოდ, ტრავმულ გამოცდილებას მძაფრად აღიქვამენ და პერიფერიული ჯგუფები, რომელთათვისაც მსგავსი გამოცდილება ირელევანტური თუ მარგინალურია. ზოგიერთი ჯგუფი მისი სტრუქტურული და კულტურული პოზიციის გამო უფრო ჩაკეტილი და იზოლირებულია, ხოლო ზოგი უფრო მეტად მგრძნობიარეა ტრავმული ცვლილებების გავლენის მიმართ. ვცადოთ ვუპასუხოთ კითხვას - „ტრავმა ვისთვის?"

ჩვენ ვსაუბრობთ იმ მიზეზებზე, რომლებიც განსხვავებულ ჯგუფებში ტრავმის მიმართ მგრძნობელობის ხარისხს განაპირობებენ. როგორც ჩანს, აქ, ძალზე მნიშვნელოვანია რესურსების არსებობა, სოციალური და კულტურული კაპიტალი, რაც ტრავმის გაცნობიერების განსაზღვრასა და აქტიურ წინააღმდეგობაში გვეხმარება. კულტურულად ცენტრალურ ფაქტორს განათლება წარმოადგენს. ერთი მხრივ, რაც უფრო მაღალია ხალხის განათლების დონე, მით უფრო მიმღები და მგრძნობიარენი ხდებიან ისინი კულტურული ტრავმის მიმართ, თუმცა, მეორე მხრივ, ეს სეგმენტი უკეთესადაა აღჭურვილი მასთან საბრძოლველად. ჩვეულებრივ უფრო მეტად განათლებულ ჯგუფებს აქვთ უკეთესი უნარ-ჩვევები, აქტიურად გამოხატონ და გაუმკლავდნენ კულტურულ ტრავმას. გასაკვირი არ არის, რომ

გარკვეული ფარული ტრავმები პირველად გააცნობიერეს და აღწერეს ინტელექტუალებმა, ფილოსოფოსებმა და სოციოლოგებმა. მოგვაწოდეს რა მზა განსაზღვრებები და სიმბოლური გამოხატულებები. მრავალმხრივი ფართო განათლება, ალბათ, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ვიწრო სპეციალიზაცია, რადგან კულტურული ტრავმა ხშირად ხელახალი შესწავლის ახალ უნარ-ჩვევებსა და სოციალურ ადაპტაციას მოითხოვს და ამგვარი მოქნილობა, უფრო მეტად, სწორედ მრავალი მიმართულების განათლებისთვისაა დამახასიათებელი. მაგალითად, კომუნიზმის კრახი აღმოსავლეთ ევროპაში, დასავლეთისკენ გზის გახსნა, კონკურენცია, ბაზარი, დემოკრატიული პოლიტიკა, როგორც ჩანს ნაკლებად ტრავმული იყო განათლებული ხალხისთვის, ვიდრე გაუნათლებელისთვის. უცხო ენების ცოდნისას პროცესიული უნარ-ჩვევებისა და კოსმოპოლიტური ხედვისას გარდამავალ პერიოდში ნაკლები პრობლემა იქმნება. ასევე აღსანიშნავია „სოციალური თანადგომის" ფაქტორი თუ ფართო პიროვნული კონტაქტები. მაგალითად, პოსტკომუნისტური საზოგადოებების კვლევების შედეგად გამოვლინდა, რომ ისინი, ვისაც მდიდარი სოციალური კონტაქტები აქვთ, ჰყავთ მრავალი მეგობარი და აქვთ მტკიცე ოჯახური მხარდაჭერა, უკეთესად არიან მომზადებულნი ტრავმასთან გასამკლავებლად. მრავალი ტიპის ტრავმის დროს სიმდიდრესა და ძალაუფლებას შემარბილებელი ფაქტორების როლი აქვთ. ამ დროს ხდება ტრავმის იზოლირება და არსებობს შესაბამისი საშუალებები მასთან გასამკლავებლად.

კულტურული ტრავმა

კულტურული ტრავმა თავს იჩენს მაშინ, როდესაც რამე საშინელი მოვლენა წარუშლელ კვალს ტოვებს კოლექტივის წევრების ჯგუფურ ცნობიერებაზე, სამუდამოდ ასვამს დაღს მეხსიერებას და ფუნდამენტურად ცვლის მათ მომავალ იდენტობას. კულტურულ ტრავმას ჩვენ განვიხილავთ, პირველ რიგში, როგორც სამეცნიერო კონცეფციას და გთავაზობთ მრავალმნიშვნელოვან არსობრივ და მიზეზობრივ დამოკიდებულებას ერთმანეთთან კავშირის არმქონე მოვლენებს, სტურქტურებს, წარმოდგენებსა და ქმედებებს შორის. ეს ახალი მეცნიერული კონცეფცია შუქს ფენს პოლიტიკური მოღვაწეობისა და სოციალური პასუხისმგებლობის სფეროებსაც. სოციალური ჯგუფები, ნაციონალური ერთობები, ზოგჯერ კი მთელი ცივილიზაციები, სწორედ კულტურული ტრავმის კონსტრუირებით არა მხოლოდ ადგენენ კოგნიტურ დონეზე ადამიანური ტანჯვის არსებობისა და წარმოშობის წყაროს, არამედ, ყოველივე ამის გამო, საკუთარ თავზე იღებენ არსებით პასუხისმგებლობას. კოლექტივის (ერთობის) წევრები ადგენენ ტრავმის წარმოშობის მიზეზებსა და ამით საკუთარ თავზე იღებენ მორალურ პასუხისმგებლობას. ეს მათ საშუალებას აძლევს, გაიზიარონ სხვათა ტანჯვა. შეიძლება თუ არა, რომ „სხვების" ტანჯვა საკუთარ ტანჯვად აღვიქვათ? რამდენადაც ეს ნამდვილად შესაძლებელია, საზოგადოება აფართოებს „ჩვენ" ჯგუფის საზღვრებს. თუმცა ამასთანავე, სოციალურ ჯგუფს შეუძლია, უარი თქვას და ხშირად უარყოს კიდეც „სხვების" ტრავმა. ამის გამო მათ არ შეუძლიათ მორალური კუთხით განიხილონ და აღიქვან ეს პრობლემა. „სხვების" ტანჯვის რეალურობის უარყოფით ჯგუფი არა მხოლოდ ამცირებს თავის პასუხისმგებლობას, არამედ საკუთარ ტანჯვაშიც ხშირად სწორედ ამ „სხვებს" ადანაშაულებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს სოციალური ჯგუფები უარს აცხადებენ, მონაწილეობა მიიღონ ქვემოთ აღწერილი ტრავმის ფორმირების პროცესში, ზღუდავენ სოლიდარულ თანაგანცდას და მარტო ტოვებენ „სხვებს" განსაცდელში.[Cultural Trauma and Collective Identity. University of California Press, 2004, გვ. 1-30).

ამ ახალი თეორიული კონცეფციის უდიდესი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ის მყარადაა ფესვგადგმული ყოველდღიურ ცხოვრებაში. მეოცე საუკუნეში, თავდაპირველად დასავლურ საზოგადოებებში, ხოლო შემდეგ უკვე მთელ მსოფლიოში ხალხი მუდმივად საუბრობდა, რომ ისინი ტრავმირებულნი იყვნენ რომელიმე მოვლენით, ძალადობის ან დაშინების აქტით, გამოცდილებით, ან ხშირად მკვეთრი და მოულოდნელი სოციალური ტრანსფორმაციითა თუ ცვლილებებით. ხალხი მუდმივად საუბრობს ტრავმაზე მაშინ, როდესაც აღწერენ არა მხოლოდ პირად, არამედ იმ საზოგადოების მიერ გადატანილ (განცდილ) მოვლენას, რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან. ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ ტრავმირებულ ორგანიზებულ ჯგუფზე, მათი ლიდერის გადადგომისა თუ გარდაცვალების, მმართველი რეჟიმის დაცემისა თუ მოულოდნელად მომხდარი ცვლილებისას. ავტორები ხშირად საუბრობენ გადატანილ ტრავმაზე, როდესაც მათი ინდივიდუალური თუ საზოგადო გარემო მოულოდნელად იცვლება არასასურველი და გაუთვალისწინებელი გზით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველდღიური კომუნიკაციიდან გამომდინარე, ვიცით, რომ საუბარია ინტუიციურად გასაგებ და ხშირად განცდილ საკითხზე. ყოველდღიურ ცხოვრებაში ამ საკითხის ამგვარი აქტუალურობა ნაყოფიერი ნიადაგია სოციალური მეცნიერული კონცეფციისთვის. ეს ერთგვარი ხრიკია რეფლექსიისთვის, რათა საზოგადო

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

(საერთო) განცდიდან რაღაც უცნობ განცდაზე გადავინაცვლოთ, რაც ჩვენ საშუალებას მოგვცემს, ვიფიქროთ სოციოლოგიურ ჭრილში, რადგან ტრავმა არ არის ბუნებრივად არსებული მოვლენა; მას ქმნის საზოგადოება. ტრავმის ასეთი დამკვიდრება ყოველდღიურ ცხოვრებაში, მისი განსხვავებული კუთხით განხილვა, რაც ასე მნიშვნელოვანია თავდაპირველი ინტუიციური შემეცნებისთვის, გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს, რომლის დაძლევაც აუცილებელია. ტრავმის კვლევითი კუთხით განხილვას აქამდე ხშირად ხელს უშლიდა ტრავმის საყოველთაოდ დამკვიდრებული განმარტება. მართლაც, შეიძლება ითქვას, რომ ეს საყოველთაოდ აღიარებული განმარტება წარმოადგენს „ტრავმის პოპულარულ თეორიას" ("Lay trauma theory"), რომელსაც აუცილებლად უნდა დავუპირისპიროთ ტრავმის კვლევის უფრო თეორიული, რეფლექსიური მიდგომა.

ტრავმის პოპულარული თეორიის მიხედვით, ტრავმა ბუნებრივად განვითარებული მოვლენების შედეგია, რომელიც ამსხვრევს ინდივიდუალური თუ კოლექტიური ავტორების კეთილდღეობის განცდას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დამანგრეველი ენერგია - „ტრავმა"- მომდინარეობს უშუალოდ მოვლენებიდან. ამგვარ დამანგრეველ მოვლენებზე რეაქცია - „ტრავმის განცდა" - დაუყოვნებელია და არარეფლექტირებული. ამ პოპულარული თეორიის შესაბამისად, ტრავმული გამოცდილება თავს იჩენს მაშინ, როდესაც ტრავმული მოვლენები უშუალო ურთიერთქმედებაშია ადამიანურ ბუნებასთან. ისინი ხაჭიროებენ უსაფრთხოებას, წესრიგს, სიყვარულსა და ურთიერთობას. თუ რამე მოვლენა საფრთხეს უქმნის ამ მოთხოვნილებებს, მაშინ, პოპულარული თეორიის მიხედვით, სულაც არ არის გასაკვირი, რომ შედაგად ხალხი ტრავმირებული რჩება.

არსებობს ტრავმის პოპულარული თეორიის ორი ძირითადი ნაირსახეობა: „განათლების ფილოსოფია" და „ფსიქოანალიზი". განათლების ფილოსოფიის განმარტებით, ტრავმა არის ინდივიდისა თუ საზოგადოების რაციონალური რეაქცია მკვეთრ ცვლილებაზე. ტრავმის წარმომშობი ობიექტები თუ მოვლენები მკაფიოდ აღიქმება ავტორების მიერ, მათი რეაქცია ნათელია, ამ რეაქციის შედეგები კი პრობლემის გადაჭრისა და წინსვლისკენაა მიმართული. როდესაც კარგ ადამიანებს ცუდი რამ ემართებათ, ისინი განიცდიან შოკს, აღშფოთებას, გულისწყრომას. განათლების ფილოსოფიის პერსპექტივიდან, ცხადია, ჩვეულებრივად აღიქმება ის ფაქტი, რომ პოლიტიკური სკანდალები აღშფოთების მთავარი მიზეზია; ეკონომიკური დეპრესია - სასოწარკვეთის, წაგებული ომები კი სიბრაზისა და დაუცველობის შეგრძნებას ტოვებს; სტიქიურ უბედურებებს პანიკამდე მივყავართ; ფიზიკური ძალადობა ძლიერ შფოთვას იწვევს, ტექნოლოგიურ კატასტროფებს მსგავსი რისკების მიმართ ფობიაც კი მოსდევს. ასეთი ტიპის ტრავმების მიმართ საპასუხო რეაქცია მდგომარეობს იმ მიზეზების გამოსწორებაში, რომელთაც ტრავმა გამოიწვიეს. წარსულის მეხსიერება მომავალზე ფიქრს განსაზღვრავს. შეიმუშავებენ სამოქმედო პროგრამებს, აღადგენენ ინდივიდებისა თუ კოლექტივის ჩვეულ გარემოს და ტრავმის შეგრძნება თანდათანობით გაუფერულდება. სულ მცირე ხნის წინ, არტურ ნილმა თავის ნაშრომში „ნაციონალური ტრავმა და კოლექტიური მეხსიერება" (National Trauma and Collective Memory), მოახდინა ტრავმის პოპულარული თეორიის ილუსტრირება განათლების ფილოსოფიის პერსპექტივიდან. იმის დასადგენად, ტრავმირებულია თუ არა ესა თუ ის საზოგადოება, ნილი ყურადღებას ამახვილებს თავად მოვლენის თავისებურებებზე. ის ამტკიცებს, რომ ნაციონალურ ტრავმას ადგილი ჰქონდა მაშინ, როცა „ინდივიდუალური თუ კოლექტიური რეაქციები ვულკანის ამოფრქვევის მსგავს მოვლენებზე იმდენად მძაფრი იყო, რომ ამან შეარყია სოციალური სამყაროს საძირკველი" (Neal 1998, ix). მოვლენა ტრავმულია საზოგადოებისთვის, როცა ის „განსაკუთრებულია", მოვლენა, რომელსაც ისეთი „ფეთქებადი ძალა" აქვს, რომ ის იწვევს „ნგრევას" და „რადიკალურ ცვლილებებს ... დროის მოკლე მონაკვეთში" (Neal 1998, 3, 9-10). მოვლენების ეს ობიექტური, ემპირიული მახასიათებლები „იპყრობს მოსახლეობის ყველა მთავარი ქვეჯგუფის ყურადღებას", იწვევს საზოგადოების ემოციურ რეაქციასა და ყურადღებას, რადგან რაციონალურ ხალხს სხვაგვარი რეაქცია, უბრალოდ, არ ძალუძს (Neal 1998, 9-10). „ტრავმული გამოცდილების უარყოფა ან იგნორირება, ისევე როგორც „განზრახ უყურადღებობა" თუ „ცინიკური ინდიფერენტულობა" - არაგონივრული არჩევანია" (Neal 1998, 4, 9-10). იმდენად, რამდენადაც ავტორები გონიერები არიან, ტრავმულ მოვლენებს საბოლოოდ პროგრესამდე მივყავართ: „თავად ის ფაქტი, რომ დამანგრეველი მოვლენა მოხდა", ნიშნავს, რომ „ეს ახალი შესაძლებლობაა ინოვაციისთვის და ცვლილებებისთვის" (Neal 1998, 18). სხვაგვარად რომ ვთქვათ, სრულიადაც არ არის გასაკვირი, რომ „სამოქალაქო ომის, დიდი დეპრესიისა და მეორე მსოფლიო ომის ტრავმის შედეგად, (ამერიკელი) ხალხის ცხოვრებაში გრძელვადიანი ცვლილებები განხორციელდა" (Neal 1998, 5).

მიუხედავად იმისა, რომ ქვემოთ განვიხილავთ ტრავმის ნატურალისტურ განსაზღვრებას განათ-

ლების ფილოსოფიის კუთხით, ძალზედ საყურადღებოა ნილის პოზიცია. ის ყურადღებას ამახვილებს კოლექტივზე და არა ინდივიდზე, ამდენად, გვერდს უვლის ინდივიდზე ფოკუსირებულ ფსიქოანალიტიკურ მოსაზრებებს, რომელიც ქვემოთაა განხილული. ნილი გამოყოფს არა ინდივიდუალურ იდენტობებს, არამედ კოლექტიური ტრავმის გამომწვევ მოვლენებს. იგი ხელმძღვანელობს ნოვატორული სოციოლოგიური მოდელით, რომელიც განხილულია კაი ერიკსონის მეტად გავლენიან წიგნში „Everything in its Path". აპაჩების პატარა თემს თავსდამტყდარი გამანდაგურებელი წყალდიდობის ეს სულისშემძვრელი მიმოხილვა ასევე ნატურალისტური ხედვის ჩარჩოებშია მოქცეული, თუმცა ამან საფუძველი ჩაუყარა მოცემულ წიგნში განხილულ სპეციფიკურ სოციოლოგიურ მიდგომას. ერიკსონის თეორიული ინოვაცია მდგომარეობს იმაში, რომ მან კონცეპტუალურად განასხვავა კოლექტიური და ინდივიდუალური ტრავმა. ქვემოთ მოყვანილ აბზაცში კარგად ჩანს, ის თავისებურებები და ნატურალიზმი, რომლებიც დამახასიათებელია კოლექტიური ტრავმისთვის: „ინდივიდუალურ ტრავმად მე განვიხილავ დარტყმას ფსიქიკაზე, რომელიც ადამიანის დამცავ მექნიზმში აღწევს იმდენად მოულოდნელად და უხეში ძალით, რომ მასზე შეუძლებელია ქმედითი რეაქცია..... მეორე მხრივ, კოლექტიური ტრავმის შემთხვევაში, მე ვგულისხმობ დარტყმას სოციალური ცხოვრების საბაზისო ნაწილზე, რომელიც არღვევს ხალხის ურთიერთკავშირსა და ზღუდავს საზოგადოების ერთიანობის განცდას. კოლექტიური ტრავმა ხალხის ცნობიერებაში აღწევს ნელა და ვერაგულადაც კი, ამიტომ მას არ ახასიათებს მოულოდნელობა, რომელიც, ჩვეულებრივ, „ტრავმასთან" ასოცირდება, მაგრამ ეს მაინც შოკის ნაირსახეობაა, თანდათანობით გაცნობიერება იმისა, რომ საზოგადოება აღარ არსებობს, როგორც თანადგომის ეფექტური წყარო, რომ „მე"- ს მნიშვნელოვანი ნაწილი გაქრა ... „ჩვენ" აღარ არსებობს როგორც ერთმანეთთან დაკავშირებული წყვილი ან როგორც ურთიერთდაკავშირებული უჯრედები საზოგადოების ერთიან სხეულში (Erikson 1976, 153-54). როგორც მეორე თავში სმელზერი ამტკიცებს, ტრავმის პოპულარულმა თეორიამ ყოველდღიურ ენასა და სამეცნიერო დისკუსიაში დამკვიდრება „ომის შოკის" (shell shock) გააზრების მცდელობისას დაიწყო. პირველი მსოფლიო ომის დროს უამრავი ჯარისკაცი იტანჯებოდა ამ შოკით, რომელიც მეოცე საუკუნის სხვა ომების შედეგად კიდევ უფრო გაფართოვდა და გართულდა. როდესაც გლენ ელდერმა შეიმუშავა „ცხოვრებისეული გზის ანალიზი", რათა დაედგინა, როგორ გავლენას ახდენს ინდივიდუალურ იდენტობაზე მეოცე საუკუნის სოციალური კატაკლიზმების კოჰორტული (ერთმანეთის თანამდევი) ეფექტები, ის და მისი მოწაფეები ეყრდნობოდნენ განათლების ფილოსოფიის პოზიციიდან ტრავმის საწყის განმარტებას (Elder 1974). მსგავს განმარტებებს ხშირად ვაწყდებით სხვა დისციპლინებთან მიმართებაშიც, მაგალითად, მრავალრიცხოვან კვლევებში, რომლებიც ეხება მე-19 საუკუნის ევროპასა და შეერთებულ შტატებში ფრანგული რევოლუციის „ტრავმის" გრძელვადიან შედეგებს. ტრავმის პოპულარული თეორიის ვერსიების ცალკეულმა ელემენტებმა, რომლებიც დაკავშირებულია განათლების ფილოსოფიასთან, გავლენა მოახდინა ჰოლოკოსტის და ასევე მეოცე საუკუნეში მომხდარ მასობრივი მკვლელობების თანამედროვე გააზრებაზე.

დასკვნა

ჩვენ მიერ გაანალიზებული მკვლევარების შეხედულებები პოსტტრავმული სტრესის ნარატივებია. სამეცნიერო ლიტერატურაში განასხვავებენ დომინანტ და არადომინანტ ნარატივებს. დომინანტი ნარატივის მიზანი მომხდარი ისტორიული მოვლენის შესახებ გაბატონებული და საყოველთაოდ მიღებული აზრის შექმნაა. ჯეფრი ალექსანდერის აზრით, „კულტურული ტრავმა თავს იჩენს მაშინ, როდესაც რამე საშინელი მოვლენა წარუშლელ კვალს ტოვებს კოლექტივის წევრების ჯგუფურ ცნობიერებაზე, სამუდამოდ ასვამს დაღს მეხსიერებასა და ფუნდამენტურად ცვლის მათ მომავალ იდენტობას" [Alexander, 2004: 1]. კულტურულ ტრავმას ჯეფრი ალექსანდერი განიხილავს, როგორც სამეცნიერო კონცეფციასა და გვთავაზობს მრავალმნიშვნელოვან არსობრივ და მიზეზობრივ დამოკიდებულებას ერთმანეთთან კავშირის არმქონე მოვლენებს, სტურქტურებს, წარმოდგენებსა და ქმედებებს შორის. მისი აზრით, კოლექტივის (ერთობის) წევრები ადგენენ ტრავმის წარმოშობის მიზეზებს და ამით საკუთარ თავზე იღებენ მორალურ პასუხისმგებლობას. „შეიძლება თუ არა, რომ „სხვების" ტანჯვა საკუთარ ტანჯვად აღვიქვათ? რამდენადაც ეს ნამდვილად შესაძლებელია, საზოგადოება აფართოებს „ჩვენ" ჯგუფის საზღვრებს" [ალექსანდერი, 2015: 96]. მკვლევრის აზრით, ამ ახალი თეორიული კონცეფციის უდიდესი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ის მყარადაა ფესვგადგმული ყოველდღიურ ცხოვრებაში. მეოცე საუკუნეში, მთელ მსოფლიოში, ხალხი მუდმივად საუბრობდა, რომ ისინი ტრავმირებულნი იყვნენ

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

რომელიმე მოვლენით. „ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ ტრავმირებულ ორგანიზებულ ჯგუფზე მათი ლიდერის გადადგომისა თუ გარდაცვალების, მმართველი რეჟიმის დაცემისა თუ მოულოდნელად მომხდარი ცვლილებისას. ავტორები ხშირად საუბრობენ გადატანილ ტრავმაზე, როდესაც მათი ინდივიდუალური თუ საზოგადო გარემო მოულოდნელად იცვლება არასასურველი და გაუთვალისწინებელი გზით“ [ალექსანდერი, 2015:96]. მისი აზრით, ტრავმა არ არის ბუნებრივად არსებული მოვლენა; მას ქმნის საზოგადოება. შესაძლებელია, კონკრეტულ საზოგადოებაში მოხდეს უამრავი მძიმე მოვლენა, რომლებმაც თითქოს უნდა შექმნას კულტურული ტრავმის ეფექტი – შეიცვალოს მთავრობა, ჩამოიშალოს ინსტიტუციები, მთავრობამ ვერ იმუშაოს შესაბამისად და ა.შ. - მაგრამ, ალექსანდერის აზრით, „ტრავმამ რომ საზოგადოებრივი სახე მიიღოს, სოციალური კრიზისი კულტურულ კრიზისად უნდა გარდაიქმნას. მოვლენა – ეს ერთი მხარეა, ხოლო მისი რეპრეზენტაცია – სულ სხვა საქმეა“ [ალექსანდერი, 2015: 103]. ალექსანდერის აზრით, მოვლენებმა და ფაქტებმა კულტურული ტრავმის ეფექტი რომ შეიძინოს, უნდა გაჩნდეს ტრავმის მატარებელი ჯგუფები, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს მასტერ ნარატივის სახით. თავის მხრივ, ნარატივის წარმატებით დამკვიდრებისთვის იგი უნდა განიხილავდეს: ტკივილის ბუნებას, მსხვერპლის ბუნებას, ტრავმის მსხვერპლთა კავშირს უფრო ფართო აუდიტორიასთან, პასუხისმგებლობის გადანაწილების საკითხს, რადგან კოლექტიური ტრავმის ამსახველი ნარატივმა უნდა ასახოს მოვლენა, აჩვენოს, რა მოხდა, მკაფიოდ უნდა ასახოს დაზარალებული ჯგუფი, ნარატივმა უნდა გვაჩვენოს, რომ ტრავმულმა მოვლენამ არა მხოლოდ ერთ ჯგუფზე, არამედ მთელ საზოგადოებაზე მოახდინა გავლენა, ნარატივმა უნდა წარმოადგინოს, ვინ არის დამნაშავე, ვინ უნდა აგოს პასუხი მომხდარის გამო (Alexander, 2004).

პიოტრ შტომპკა კულტურული ტრავმის კონცეფციას სოციალური ცვლილების კონცეფციასთან აკავშირებს. მისი აზრით, ყველაზე პარადოქსული ფაქტი ის არის, რომ ცვლილებებიც კი, რომლებიც ნამდვილად კეთილდღეობის მომტანია და, რომელზეც ხალხი ოცნებობდა, რომლისთვისაც იბრძოდა და რომელსაც მიესალმება, შეიძლება ტკივილის მომტანი იყოს.

ალექსანდერის მსგავსად, შტომპკაც მიიჩნევს, რომ ნებისმიერი სახის ცვლილება არ არის ტრავმული. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოვიდოდა, რომ მთელი საზოგადოება პერმანენტულად და მუდმივად ტრავმირებული იქნებოდა. იგი თვლის, რომ მხოლოდ გარკვეული ტიპის ცვლილებებია ტრავმული და მხოლოდ გარკვეული საზოგადოებები, თავიანთი ისტორიის კონკრეტულ პერიოდში არიან ტრავმირებულნი. შტომპკას აზრით, „მხოლოდ ისეთ მოვლენებს განვიხილავთ ტრავმულად, რომლებიც უცაბედი, მასშტაბური, ფუნდამენტური და მოულოდნელია“ [Sztompka, 2004: 157-158].

რაც შეეხება თეორიულ ჩარჩოს, რომლის ფარგლებში შესაძლებელია კოლექტიური ტრავმისა და მისი თანმდევი პოსტტრავმული მდგომარეობის კვლევა, ეს გახლავთ კოლექტიური ტრავმის თეორია, რომლის თანახმადაც დროში შეზღუდულმა, შოკისმომგვრელმა მოვლენამ შეძლება დამღუპველი ეფექტი იქონიოს ცხოვრების მრავალ მხარეზე. კოლექტიური ტრავმა კი იწვევს პოსსტრავმულ სტრესს, მელანქოლიასა და დეპრესიას.

The New ECONOMIST ახალი ეკონომისტი

International Precise and Review Scientific-Practical Magazine

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of Sylfaen font 12, interval between lines - 1.5, borders in right and left side- 3 and 2sm. Also, up and down borders- 2.5 and 2.5sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEC. The minimal size of article is 5pages of A4 format.

2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEG.

3. The article must have abstract in Georgian and English languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in Sylfaen and in Times New Roman, size of font-12. Scientific article must have list of used literature.

4. The article will published in English, Russian, German and France languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian, Egnlish and Raussian languages too.

The price of article's publication is- one page of journal 10 GEL (Lari) or 5 USD. And auhor will pay this price after getting positive respond. Also, the price of journal is 10 GEL (Lari) or 5 USD.

5. The price of publication article, buying journal and subscription fee could be payed in Ltd. LOI's account: identification code – 204439296, the account number- GE33LB0113168905809000,, "liberty bank", central office, bank code LERTGE22.

Our coordinates:

e-mail: loidk@yahoo.com; www.neweconomist.com.ge; www.loi.com.ge
Tel: 299 05 76; 555 277 554; 558 944 800.
PS. Giving articles with papres or CD-s, is not necessary.

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

სტატიების მიიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, Sylfaen-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა — 2,5 და 2,5სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG-ში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.

2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კორდინატები, (ტელეფონები, ელ.ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში;

3. სტატიას უნდა ახლდეს ანოტაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე, მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად Sylfaen-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12. სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.

4. სტატია იბეჭდება ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზეც. ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელი მოთხოვნაა, რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს – ჟურნალის ერთი გვერდი 10 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება — 10 ლარი.

5. სტატიის გამოქვეყნების, ჟურნალის შეძენისა და/ან გამოწერის ღირებულების გადახდა შესაძლებელია შპს "ლოი"-ს ანგარიშზე: საიდენტიფიკაციო კოდი 204439296, ანგარიშის ნომერი GE33LB0113168905809000, სს „ლიბერთი ბანკი", ბანკის კოდია LERTGE22.

ელექტრონული ფოსტა: loidk@yahoo.com; www.neweconomist.com.ge; www.loi.com.ge
tel: 299-05-76; 555 277 554; 558 944 800.
PS. სტატიების მოწოდება ფურცლებით ან CD-თ აუცილებელი არ არის.

www.neweconomist.com.ge
E-mail: editor@neweconomist.com.ge